# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 24 ივლისი 2001 №137 (1410) | ფასი 50 თეთრი





ქუთაისში ჩამოსვლამდე, დანიის ჩემპიონატის პირველ ტურში „კოპენჰაგენის“ ქერა ზანგმა სიბუსისო ზუმამ წყვილი გოლი გაიტანა

# დინამოს აცდენილი ტორპედოს შეხვდა

რვა წლის წინ იყო, „კოპენჰაგენს“ რომ ველოდით. მაშინ ქართული გუნდი საქართველოს სახელით პირველად გავიდა ევროსარბიელზე. „დინამოს“ ახალი ისტორიის თავფურცელი უნდა დაეწერა... ჯერ „ლინფილდი“, მერე „კოპენჰაგენი“ და წინ „მილანი“... არაფერი გამოვიდა. „ლინფილდის“ მომგები „დინამო“ გათამაშებიდან მოხსნეს, „კოპენჰაგენამდე“ ვეღარ მიაღწია. ისტორია თითქოს გამეორდა. კვლავ „ლინფილდი“, მერე „კოპენჰაგენი“ და წინ ისევ იტალიური „ლაციო“... ოღონდ მათი მეტოქე ქუთაისის „ტორპედო“ და ტრიბუნებზე ნამდვილ ფეხბურთს მონატრებული ხალხი...


იხილეთ მეორე გვერდი


# გუჯეჯიანმა ქართული ყულაბა ოქროთი დაამძიმა

გუშინ ესპანეთის ქალაქ მურსიაში დაიწყო ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები. პირველი დღე ქართველთათვის წარმატებული გამოდგა — ჩვენმა სპორტსმენებმა თითო ოქროს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ეაოდ-ის ჩემპიონი გახდა მძიმეწონოსანი ძიუდოისტი ლაშა გუჯეჯიანი. მან ოთხი შეხვედრა გამართა, ოთხივე წმინდად მოიგო და სულ ამ საქმეს ოთხ წუთზე ნაკლები მოანდომა. მეორე მედალიც ძიუდოისტისგანაა — თედორე აბელაშვილმა (90 კგ) მესამე ადგილი დაიკავა.

გუშინვე ჩოგბურთელმა ლადო ჩიხლაძემ (მერვე ნომრადაა განთესილი) შვედ მეტოქეს 6:3, 4:6, 7:6 (7:3) მოუგო და მერვედფინალში გავიდა. დღეს მისი მეტოქე ჰოლანდიელი ჩოგბურთელი იქნება. გუშინ ისვენებდა ნანა უროტაძე. იგი დღეს ჩაებმება ტურნირში და მაკედონიელ მეტოქეს შეხვდება. მოცურავე ანა სალნიკოვამ კი ბრასით 200 მეტრზე 22-ე ადგილი დაიკავა.

ეაოდ-ში 46 ქვეყანა მონაწილეობს. დელეგაციები არ მოავლინეს თურქეთმა და კვიპროსმა. მათ მურსიაში არჩასვლის მიზეზად ესპანეთში მძვინვარე მავანი ეპიდემია დაასახელეს. მურსიაში მყოფმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა გაკვირვება გამოთქვა ამ ფაქტის გამო და თურქებსა და კვიპროსელებს გადაწყვეტილება არ მოუწონა.

**ბაჩა ბერიძე მურსიიდან**

# ვარსკვლავის ბედი საქართველოში

## შენ გინდა სამშობლო. სამშობლოს კი იმგვარი რამ გამოხატავს შენს სამშობლოში, რომ აღარაფერი გინდა.

ძნელია, როცა განცდა, რომელსაც შენი სამშობლო ჰქვია, ტკივილის, სიღარიბის, ჯავრის მეტს ვეღარაფერს გიგროვებს გულში. შენ ერთი უბრალო ბიჭი ხარ. ათი წლის წინათ მთლად უბრალო ბიჭი იყავი. ახლა გამარჯვებული, ჯილდოებით დახუნძლული, მდიდარი უბრალო ბიჭი ხარ. შენს თავს დიდ არაფრად თვლი და საყვარელ საქმეს აკეთებ — სპორტსმენი ხარ. მაშინაც ერთი უბრალო ბიჭი იყავი, ცდილობდი, შენით მიგეღწია რაღაცისთვის, ვარჯიშობდი გაყინულ დარბაზში, ქვადქცეულ მინდორზე დააგორებდი ბურთს, დარბოდი და ექაჩებოდი სიმძიმეებს. მაშინაც იცოდი, რომ უბრალო ბიჭი იყავი, მაგრამ მაშინაც იცოდი, რომ ვარსკვლავი იქნებოდი. გარშემოც იცოდა ყველამ, რომ ვარსკვლავი იქნებოდი, მაგრამ არავის გახარებია. მაინც გახდი, ჯერ შენს ქვეყანაში, მერე სხვაგანაც. იმას, ვისაც უპირველესად ევალებოდა დაგხმარებოდა, ხელიც არ გაუნძრევია. იმას, ვისაც პირველს უნდა გახარებოდა, არ გახარებია. გაეხარდათ შენისთანა უბრალო ბიჭებს, ხალხს, იმიტომ, რომ თქვენ ყველანი უბრალოები ხართ. უბრალოები ხართ და უბრალოდაც გიყვართ ის ქვეყანა, სადაც დაიბადეთ და გაიზარდეთ, სადაც წვალობდით და შრომობდით.


იხილეთ მესამე გვერდი





ძმაგატაცებული, გულდამძიმებული, მაგრამ პირნათელი კახა კალაძე იტალიასთან მატჩის წინ

ჩემპიონთა თასი 2001-02. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

## ტორპედო — კოპენჰაგენი

ქუთაისი. „ტორპედო". ტევადობა 19 432. 25 ივლისი

# კენტ კარლსონმა კოპენჰაგენი ქუთაისურში არ ამცადინა

**გუშინ** საღამოს ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა თბილისში „კოპენჰაგენი". მწვრთნელ-ფეხბურთელები პილოტებთან და სტუარდესებთან ერთად დაბინავდნენ „შერატონ მეტეხში". გუნდს გულშემატკივართა მცირე ჯგუფიც ჩამოჰყვა. სტუმრებმა გვიან, ღამის თერთმეტი საათისთვის ივახშმეს და ნომრებში შეიყუჟნენ. „კოპენჰაგენის" მთავარი მწვრთნელი კენტ კარლსონი კი თავის თანაშემწესთან ერთად სასტუმროდან გაუჩინარდა, ალბათ, ღამის თბილისის დათვალიერება მოუნდა, რადგან დღეს, ნაშუადღევს უკვე ქუთაისისკენ გაემართება „კოპენჰაგენი".

...ჰოლში დანიელთა ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჩამოვიდა, ფული გადაახურდავეს, ლარებით ჯიბედატენილები აქეთ-იქით მიდი-მოდიოდნენ, მაგრამ მათი მოსაწონი კაფე თუ ბარი ვერ იპოვეს. ინტერვიუზე კი სიამოვნებით დაგვთანხმდნენ — *კიმ მადსენი* და *ბო სვენსონი* დანიის ახალგაზრდული ნაკრების და „კოპენჰაგენის" მცველები არიან.

**— ქუთაისის „ტორპედოზე" გსმენიათ რამე?**

*მადსენი:* არაფერი, ჩვენ მეტოქეს ფაქტობრივად არ ვიცნობთ. მწვრთნელსაც არაფერი უთქვამს.

**— „ლინფილდი" — „ტორპედოს" მატჩიც არ გინახავთ?**

*სვენსონი:* ჩვენი მთავარი მწვრთნელის თანაშემწე დაესწრო ბელფასტში ამ თამაშს, თუმც ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის ამის შესახებ არ ულაპარაკია. მწვრთნელებმა მხოლოდ ის გვითხრეს, ვიცით თუ რა სისტემით თამაშობს „ტორპედოო".

**— ქუთაისში ფრედ რომ ითამაშოთ, კმაყოფილი დარჩებით?**

*სვენსონი:* ვერ გიპასუხებთ, რადგან არ ვიცი რა სიძლიერისაა მეტოქე.

*მადსენი:* ფრე ნებისმიერ შემთხვევაში ურიგო შედეგი არ იქნება და ამ ეტაპზე დაგვაკმაყოფილებს კიდეც — მეორე მატჩი ხომ შინ გველის.

**— უკვე „ლაციოსთან" მატჩზე ხომ არ ფიქრობთ?**

*მადსენი:* არა, მეტოქეს პატივს ვცემთ.

**— ქართულ ფეხბურთზე თუ გაქვთ რამე წარმოდგენა?**

*მადსენი:* არავითარი

**— რომელიმე ჩვენი ფეხბურთელი მაინც არ გაგიგიათ?**

*სვენსონი:* ვიცით, რომ „მილანში" კალაძე თამაშობს, „აიაქსში" კი არველაძე.

*მადსენი:* არველაძე გამიგია, ვიცი ეს ფეხბურთელი. მასთან ერთად „აიაქსში" ხომ ლაუდრუპებსაც უთამაშიათ და გრონკიაერსაც.

**— დღესდღეობით ვინ ითვლება დანიის ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელად?**

*სვენსონი:* ასეთი ებე სანდია.

**დავით თავართქილაძე**

# კოპენჰაგენი მოდის?! მოვიდეს!

**ეკლიანია** ჩემპიონთა ლიგის გზა. რაც უფრო წინ მიიწევ, მეტ სირთულეებს აწყდები, უფრო ძლიერთან გეძლევა საქმე.

ლიგის საწყის რაუნდში ჩრდილოირლანდიური „ლინფილდის" ძლევის შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს" მორიგ მეტოქედ დანიური „კოპენჰაგენი" რომ ერგო, ამ ამბავს ესეც ადასტურებს.

სად „ლინფილდი" და, სად „კოპენჰაგენი"?! დიახ, ასეა და ამაში სულ მალე დავრწმუნდებით, ჯერ ხვალ, ქუთაისურ მატჩში და მერე, ერთი კვირის თავზე, კოპენჰაგენურშიც.

თბილისში გუშინ ჩამოფრენილი და „მეტეხში" ღამენათევი დანიის ჩემპიონი ქუთასში დღეს 13 საათისთვის იქნება. დანიელები, ისევე როგორც წინა კვირაში ჩრდილოირლანდიელები, ორ დღეს „ტორპედოს" ბაზაზე იცხოვრებენ, ჩვენი გუნდი კი წყალტუბოში, თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში გადაბარგდება.

დანიელთა ოფიციალური დელეგაცია 35-კაციანია და ამათში ჟურნალისტებიც შედიან. ქუთაისში, თურმე, „კოპენჰაგენის" ქომაგებიც აპირებენ ჩამოსვლას.

ორი აზრი არ უნდა იყოს, უმძიმესი ბრძოლების გადატანა მოუწევს ჩვენს ჩემპიონს და, სხვა რა დარჩენია, „ტორპედოც" საამისოდ ემზადება. ლიგის ყველა თამაშში მეტოქეთა შანსები 50-50-ზეაო — თქვა ამასწინათ ტორპედოელთა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა და ჩვენც ამის იმედად უნდა ვიყოთ.

ძოძუაშვილი შეგირდებს წვრთნას არ აკლებს. „ტორპედომ" გუშინ, დანიელებთან პირველ მატჩამდე ორი დღით ადრე, საკონტროლოც ითამაშა წყალტუბოს „სამგურალთან". ფრე 1:1.

რევაზ ძოძუაშვილმა გუშინ არ ათამაშა ძირითადი შემადგენლობის 6 ფეხბურთელი. აშვეთიამ, დიდავამ, ქემოკლიძემ, თოდუამ, ასათიანმა და ქუთათელაძემ თამაშის შემდეგ ლვარეს ოფლი. „კოპენჰაგენთან" ალბათ ვერ ითამაშებს მცველი ვახტანგ აკოფიანი. მას ფეხი აწუხებს. დისკვალიფიცირებულია ხვადაგიანი. ასე რომ ძოძუაშვილს დაცვაში კორექტივების შეტანა მოუწევს.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

# ნაიკის სამოსით, კარლსბერგის ნიშნით და ქერა ზანგის გოლებით

**დღეს** „კოპენჰაგენი" ლამის გადაულახავი ზღუდე გამხდარა, 24 წლის წინათ კი ამ გუნდის წინაპარ „კბ კოპენჰაგენს" ჩვენმა „დინამომ" კუდით ქვა ასროლინა. განა გასაკვირი იყო, მანამდე ხომ, უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში დინამოელებმა იტალიური „ინტერი" დასცეს თავისი ფაქტით, ორიალითა და ალტობელით. „კოპენჰაგენს" იქ ჩივაძის, ყიფიანის, ჩელებაძისა და შენგელიას გოლებით 4:1, თბილისში კი იმავ ჩელებაძის ორი გოლით 2:1 მოუგეს.

„კოპენჰაგენს" არც მაშინ ჰყავდა ვარსკვლავები და არც დღეს ჰყავს, მაგრამ მოწინააღმდეგე?.. არადა, „ფკ კოპენჰაგენი" სულ რვა წლისაა. ორი დედაქალაქური კლუბის, KB-სა და B1903-ის შერწყმით შეიქმნა. ამდენად, ქუთაისელთა ხვალინდელი მეტოქე სკანდინავიაში ერთგვარ უნიკალურ კლუბად ჩამოყალიბდა. რვა წლისააო ვთქვით, მაგრამ მისი ერთი წინაპარი როცა დაარსდა ციფრებიდანაც ჩანს, მეორე კი სულაც 1876 წელს ჩამოყალიბებულა და ჩრდილოეთ ევროპაში ყველაზე ძველიცაა.

წლები წლებად მაგრამ ამ ხნის მანძილზე კოპენჰაგენელთა მიღწევები შინაურ სარბიელს არ გასცილებია, დანიის ჩემპიონატი 1913 წლიდან ტარდება და პირველი გამარჯვებულიც KB გახლდათ. მერე ამათ კიდევ თოთხმეტი ტიტული მოიხვეჭეს, 1903-მა შვიდი. აი, ევროპაში კი...

დღევანდელი „კოპენჰაგენის" დაარსების ოფიციალურ თარიღად 1992 წლის 1 ივლისს მიიჩნევენ. ანუ ახალი კლუბი დანიის ნაკრების ევროტრიუმფიდან ხუთი დღის მერე აკურთხეს. მას შემდეგ „თეთრები" ორჯერ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები 1993-ში და წლეულს. 1994-ში ვერცხლი, ხოლო 98-ში ბრინჯაო ირგუნეს. ქვეყნის თასიც ორჯერ — 95 და 97 წლებში მოიპოვეს.

ზემოთაც ვთქვით, ამ გუნდში არასოდეს უთამაშია დიდ ფეხბურთელს. ერთადერთი ბრაიან ლაუდრუპი გახლდათ, რომელმაც სამი წლის წინ დედაქალაქელების მაისურა 12-ჯერ მოირგო და 2 გოლი გაიტანა.

დღევანდელი გუნდიდან გამორჩევენ ყმაწვილ მეკარე რუნე პედერსენს, დანიის ნაკრების წევრ იაკობ ლაურსენს, რომელიც თავის დროზე ინგლისურ „დერბიშიც" თამაშობდა, ფარერელ ტოდი იონსონსა და ჭაბუკ სამხრეთაფრიკელ სიბუსისო ზუმას.

ამ შაბათს დანიის ჩემპიონატი დაიწყო. პირველ ტურში „კოპენჰაგენმა" შინ „ვიბორგს" 2:1 მოუგო. არადა, თავიდან აგებდა და მეორე ტაიმში ზუმას ორი გოლით გაიმარჯვა. ეს თამაში „პარკენის" სტადიონზე გაიმართა. „პარკენი" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი გახლავთ, სადაც „კოპენჰაგენის" გარდა საშინაო მატჩებს დანიის ნაკრებიც ატარებს. „ვიბორგთან" შეხვედრას კი ცნობილი კიმ მილტონ ნილსენი სჯიდა.

ამ გაზაფხულზე „კოპენჰაგენი" ინგლისელი როი ჰოჯსონის მთავარმწვრთნელობით გახდა დანიის ჩემპიონი. ზაფხულში კი ის კენტ კარლსონმა შეცვალა, ვისაც დედაქალაქელებთან ადრეც უმუშავია.

აი, ასე. დღეს კი „კოპენჰაგენი" ქუთაისში ჩავა. კარლსონი იმერეთში ამ 20 ფეხბურთელს იახლებს: რუნე პედერსენი, მაგნუს კილსტედტი, ბენი გალი, პეტერ კრისტიანსენი, დიეგო ტური, ბო სვენსონი, ტომას რიტერი, კიმ მადსენი, იაკობ ლაურსენი, ტომას როლი, მიკაელ მიო ნილსენი, დონატას ვენცევიჩიუსი, სუბისისო ზუმა, კრისტიან ლიონსტრუპი, მორტენ ბისგაარდი, კრისტიან პოულსენი, კარსტენ ფრედგაარდი, ტომას ტორნინგერი, ჰაინე ფერნანდესი, ნიკლას იენსენი.

გუნდს ვერ დაეხმარებიან დაშავებული ფარერელი ტოდი იონსონი და შვედი ფორვარდი პასკალ სიმპსონი, ასევე ფინეთში თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე წასული კრისტიან ტრაორე და პეტერ ჰანსენი.

და კიდევ, ქუთაისში „კოპენჰაგენი" „ნაიკის" საგანგებო ფორმით ითამაშებს. დანიელებს ან სულ თეთრი, ანაც წითელი მაისურები და შავი ტრუსები ეცმევათ. კლუბის მესვეურთა თქმით, წლევანდელ ევროტურნირში გუნდი სწორედ ამ ფორმით ითამაშებს. მაისურებს კი ისევე როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, გენერალური სპონსორის, ლუდი „კარლსბერგის" ლოგო დაამშვენებს.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ძოძუაშვილს ორი აქილევსის ქუსლი აქვს

**საქართველოს** მეთორმეტე ჩემპიონატის პირველი წრის მიწურულს თბილისის „ლოკომოტივის" 21 წლის ფორვარდი მერაბ ძოძუაშვილი თურქულ „ერზურუმსფორში" ჩაირიცხა განათხოვრების წესით. თუმცა ახალგაზრდა თავდამსხმელის თურქული კარიერა მეტად უიღბლოდ წარიმართა — ჯერ ერთი, ფეხის ტერფის ძვალი გაიბზარა, მოგვიანებით კი მეორე ფეხზეც იგივე დაემართა.

მკურნალობის მერე ძოძუაშვილი საქართველოში დაბრუნდა და „ლოკომოტივში" განაგრძო მომავალი ჩემპიონატისთვის მზადება. თუმცა იღბალმა ფეხბურთელს ამჯერადაც უმტყუნა — ძველმა ტრავმამ თავი შეახსენა და ორივე ფეხი საოპერაციო გაუხდა.

ოპერაცია ძოძუაშვილს მშობლიურ ქუთაისში ცნობილმა ქირურგმა სულიკო ხაბეიშვილმა გაუკეთა და დაახლოებით თვენახევარი ორივე ფეხი თაბაშირში ექნება.

ვარჯიშს კი ძოძუაშვილი, სავარაუდოდ, ოთხი-ხუთი თვის შემდეგ განაახლებს. მას „ლოკომოტივთან" კონტრაქტი 2003 წლის იანვარში უმთავრდება.

**ბაკა ზალამბერიძე**




მერაბ ძოძუაშვილი

# დანკე, დონკოვ, გაკვეთილისთვის!

**არჩილ არველაძის** გარეშე დაუხვდა „კიოლნი" ჩვენს „დინამოს" და 5:0 დაამარცხა. ორივე გუნდმა ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა. „კიოლნის" ქართველი კი წვივის კუნთის დაჭიმულობის გამო ვერ შეეშველა თანაგუნდელებს „დინამოს" გვემაში.

პირველ ტაიმში „დინამო" გაუძლიანდა ბუნდესლიგელ მეტოქეს. გერმანელები მე-7 წუთზე მარკუს კურტმა დააწინაურა. ჩვენებურთაგან ორჯერ ბობოხიძეს, ერთხელ მიქაძეს მიეცათ გოლის გატანის შანსი, მაგრამ ვერ ივარგეს.

მეორე ტაიმში „კიოლნის" ბულგარელმა ფორვარდმა გეორგი დონკოვმა აიწყვიტა და ჰეთ თრიქიც შეასრულა (53, 57, 76 წთ), მეხუთე გოლი კი იუგოსლავიელმა დარკო პივალიევიჩმა მიითავალა 65-ე წუთზე.

გივი ნოდიას გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: *ბათიაშვილი, სვანაძე (მანწკავა), ვაშაკიძე (ამისულაშვილი), მაშიაშვილი, კანდელაკი, სახვაძე (შავგულიძე), ბურდული, მაზიაშვილი, დარასელია (იაგორაშვილი), ბობოხიძე, მიქაძე.*

**დავით თავართქილაძე**


**დანია**
I ტური
ოლბორგი 2:1 მიდტიულანდი

**შვედეთი**
XIV ტური
სუნდსვალი 2:1 მალმიო
ნორჩიოპინგი 2:3: გიოტებორგი



ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)



იყიდება

ქუთაისში
☎ (231) 7 17 58
ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ²
პირველ სართულზე.
ირაკლი აბაშიძის გამზირი 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"



იყიდება!
ნახმარი კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ვარსკვლავის ბედი საქართველოში

სპორტსმენისთვის სამშობლო განსაკუთრებული რამ არის. უბრალო ბიჭისთვის, თორემ ყოყლოჩინებისთვის ყველაფერი ერთია. დიდი სპორტული შეჯიბრება სამშობლოს დიდებისთვის მოგებულ ჯილდოს გულისხმობს. უბრალო და წესიერი ბიჭისთვის კი, ვისაც სპორტში წარმატებებისთვის მიუღწევია, სამშობლო სულ უფრო და უფრო რთული რამ შექნილა. შენ უბრალო ბიჭი ხარ და ვერ გაგირკვევია, სჭირდები თუ არა სამშობლოს. ალბათ სჭირდები ხალხს, თუმცა უბედურ ქვეყანაში, ხალხშიც ბევრი მოიძებნება ისეთი, რომელსაც გაალიზიანებს შენი სიმდიდრე, შენი სასახლე, შენი მანქანა და როგორღაც მიავიწყდება, რომ უბრალო ბიჭი ხარ. ბევრად არაფრად სჭირდები ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომელთაგან საერთოდ ვერ გაიგებ, რა უნდათ, გარდა იმისა, რომ არაფრად სჭირდები. ვერ გაიგებ, იმიტომ, რომ მათ თავიანთი საქმე აქვთ და შენი და სამშობლოს ურთიერთობა არ აღელვებთ. შენთვის კი სამშობლო თანდათან დადის სწორედ ამათ განწყობამდე, პირად პრობლემებამდე და ასე შემდეგ. ამას ისიც ემატება, რომ შენ ბევრი რამ იცი. იცი, მაგალითად, როგორი უნდა იყოს სპორტსმენი, როგორ უნდა იცხოვროს სპორტსმენმა, შეგიძლია მოიქცე და ილვაწო ისე, როგორც ნამდვილ სპორტსმენს შეეფერება. ბევრ შენს კოლეგას კი სრულიად არ აწყობს, რომ ნამდვილი სპორტსმენი იყო, ვინაიდან ნამდვილი სპორტსმენი მაგალითის მიმცემია, მაგალითი კი გადამდებია.

შენ კი ამ დროს მეტი და მეტი გინდა. უბრალო ბიჭი ხარ, მაგრამ გინდა ეს მეტი და მეტი, იმიტომ, რომ სპორტი მეტის და მეტის ამბავია, მაღლა და მაღლა სვლის საკითხია. იყო კახი კახიაშვილი ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ მას სურდა, კიდევ ყოფილიყო, მეორედაც გამხდარიყო, მესამედაც გამხდარიყო. შეშას ეზიდებოდა, რათა სავარჯიშო ოთახი გაეთბო. ეს მხოლოდ სტალონეს ფილმებშია, რომ შეშას ეზიდები, გარშემოც სულ მტრები გყავს, არავის აინტერესებ და მაინც იმარჯვებ. სტალონეს ფილმები კი ზღაპრებია. მერე წავა უბრალო ბიჭი უცხო მხარეში და იქაური დროშის ქვეშ გაიმარჯვებს. ვინც მისახედი ჰყავს იმ სამშობლოში, რომელსაც მისი არაფერი აინტერესებს, მიხედავს და იქნება იქ, სხვაგან, იმიტომ, რომ მაღლა და მაღლა უნდა, იმ საქმის უმაღლეს დონეზე კეთება უნდა, რომელიც იცის და უყვარს და მერე ატყდება ამბავი: წავიდაო, წავიდა და წავიდესო, ჯიგარი არა ჰქონიაო, აქაურობა არ ჰყვარებიაო, ეგეთები იქამც იყვნენო.



კახი კახიაშვილის ატლანტური და სიდნეური ოქროს მედლები ბერძნებმა მიითვალეს

უბრალო ბიჭი კი მართალია, რადგან ერთი მისხალი ჯიგარი, ერთი მისხალი დახმარება და მხარში ამოდგომა ვერ იპოვა იქ, სამშობლოში. არა ვჭირდებითო, არ ჩამოდისო, არ ვუნდივართო. ვუნდივართ, მაგრამ, აბა, ჰა, სამშობლო მონგრეულია და ავი, სადაც წასწვდება, იქ მოაღრღნის ფეხს. ერთეულებზე ნუ ვიტყვითო, ერთეული ცუდი ყველგან არისო. ყოველ უბანზე, ყოველ ნაბიჯზე არის მთავარი ცუდი, რომელიც უზარმაზარ ჯებირს ახვედრებს უბრალო ბიჭს, ქართველ ვარსკვლავს სამშობლოსთან ურთიერთობისას. რაღა სულიერი კავშირი, რაღა ერთობა უნდა ჰქონდეს, ვთქვათ, კახა კალაძეს თავის სამშობლოსთან, რომელსაც ყოველთვის ერთგულად ედგა თავისი ხელობით. კახა კალაძის ძმა მოიტაცეს. ყველამ იცის, „მილანში“ დიდი ხელფასები აქვთ. კახა კალაძე მოტაცების პირველ დღეებში ჩამოვიდა და ორჯერ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში. მეორე მარცხის შემდეგ მწვრთნელმა თქვა, კალაძემ არ გაგვიმართლაო. ახლა კალაძე ამბობს, ვერ გადამიწყვეტია, ვითამაშო თუ არა ნაკრებშიო. ძალიან დიდი და მძიმე ფიქრი ხომ არ არის 22 წლის უბრალო ბიჭისთვის? კახა კალაძე ცდილობს, რაღაცას ჩაებღაუჭოს, არ დაკარგოს ის, რაც ძვირფასია მისთვის, თუმცაღა, ძნელი სათქმელია, რაღაა ძვირფასი.

გულის აცრუება ჩვეულ ამბად ქცეულა უბრალო, პატიოსანი, ბიჭებისთვის, რომელთაც ეგებ კალაძისოდენი პრობლემები არ შექმნიათ, მაგრამ ღირსების შენარჩუნება სწადიათ და სულ უფრო და უფრო გაურბიან იმას, რაც დღეს ამოფარებია სიტყვა „სამშობლოს“.

ყოველ წერტილში, ყოველ სამოქმედო ადგილას, ქუჩაშიც და სასახლეშიც, ასეთი უბრალო ბიჭი ეჩეხება იმას, რომ მისი ცხოვრება და საქმე არ იყოს ისე, როგორც ყველგან არის. არადა, ამათ, ამ ბიჭებმა უკვე იციან, რა არის ნამდვილი და რა არის ყალბი, რა არის კარგი და რა არის ცუდი და თუ მათი სიმართლე, მათი ღირსება, მათი პროფესიონალიზმი არ არის საჭირო, ისინი მიდიან, ქრებიან და მერე აღარ ედარდებათ, რომ სამშობლო...

ღირსება.

ღირსების ორდენები და მედლები შეიქნა სათუო და სავაჭრო ქართველი მორაგბეებისთვის, უბრალო, თავდადებული ბიჭებისთვის, რომლებიც არათუ სპორტულ გუნდს, საქართველოს ყველაზე დიდი დროების ლაშქარს დაამშვენებდა. შეიქნა სათუო ჩვეულებრივი მიზეზის გამო: იმიტომ, რომ ნაღდია, იმიტომ, რომ სამშობლოსთვის არის, იმიტომ, რომ იმარჯვებს და ერთგულად ილვწის დაქცეულ ქვეყანაში, სადაც არაფერი მუშაობს ისე გამართულად, როგორც რაგბის ნაკრები. ნაღდია, ღირსეულია და უდგას პრობლემა იმისა, რომ იმათ, ვინც რომელიმე სამსახურში განასახიერებს სამშობლოს, აღიაროს, რომ ამ უბრალო, წესიერ ბიჭებს უყვართ სამშობლო. რამხელა სისულელეა, არა?!

შენ უბრალო ბიჭი ხარ და შენი შრომითა და წვალებით მიაღწიე ყველაფერს. შენ მდიდარი უბრალო ბიჭი ხარ, რადგან ნამდვილი სპორტსმენები დღევანდელ მსოფლიოში ასეთები არიან.

შენ გინდა სამშობლო. სამშობლოს კი იმგვარი რამ გამოხატავს შენს სამშობლოში, რომ აღარაფერი გინდა.

**ირაკლი გამყრელიძე**



ყველაზე ალალად, ყველაზე კაცურად, ყველაზე ქართულად მოთამაშე მორაგბეებისთვის ღირსების ორდენ-მედლები არ გაიმეტეს



# ხიზანიშვილი შუაშია. ქეცბაია ძვირი

**ბუნდესლიგის**, საფრანგეთისა და ერთი-ორი ევროპული ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მსგავსად, შოტლანდიური პრემიერლიგაც ამ შაბათს, 28 ივლისს იწყებს ახალ სეზონს.

გიორგი ნემსაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის „დანდი“ პირველ ტურში თანაქალაქელ „დანდი იუნაიტედს“ უნდა დაუპირისპირდეს და არ არის გამორიცხული, ორ ჩვენებურს „დანდის“ იტალიელმა მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ პირველსავე მატჩში მესამეც, ამჟამად ინგლისის „ვულვერჰემპტონის“ წევრი თემურ ქეცბაია დაუმატოს. ყოველ შემთხვევაში, როგორც აქამდე ვწერდით, ქეცბაიას გადაბირებით „დანდი“ სერიოზულად არის დაინტერესებული და ფეხბურთელიც თანახმაა, კარიერა შოტლანდიაში გააგრძელოს. პრობლემა ერთია, სატრანსფერო თანხა — „ვულვზი“ ქეცბაიას „დანდისთვის“ ძვირად აფასებს.

— რამდენადაც ვიცი, ინგლისელები თემურ ქეცბაიას სანაცვლოდ მილიონამდე გირვანქას ითხოვენ — გვითხრა **ზურაბ ხიზანიშვილმა**, რომელსაც გუშინ შოტლანდიაში დავუკავშირდით — ახლა „დანდი“ და „ვულვზი“ ვაჭრობენ და შესაძლოა, საქმე ამ კვირაშივე მოგვარდეს. მწვრთნელ ბონეტის ძალიან სურს, ქეცბაია გადაიბიროს, მაგრამ რამდენსაც ინგლისელები ითხოვენ, მას და კლუბის ხელმძღვანელებს ის თანხა ეძვირებათ. ახლაც, იტალიაში ყოფნისას, ბონეტი „ვულვზის“ მესვეურთ რამდენჯერმე ესაუბრა, თუმც ფულზე საბოლოოდ მაინც ვერ მოელაპარაკა.

**— შოტლანდიაში განაცხადების წარდგენის ვადა როდემდეა?**

— ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატის დაწყების შემდეგაც შეიძლება ახალი ფეხბურთელის განაცხადში შეყვანა. ბონეტის კი დიდი იმედი აქვს, რომ ქეცბაიას გადმობირებას ჩემპიონატის მესამე ტურამდე მაინც მოასწრებს.

**— იტალიური შეკრებით კმაყოფილები ხართ?**

— გუშინ დავბრუნდით. იტალიაში სამი კვირა ვიყავით და, ვფიქრობ, ნორმალურად, კარგად მოვემზადეთ. ამხანაგური მატჩები არ დაგვკლებია. აშკარაა, „დანდი“ შარშანდელზე უკეთესი გუნდი იქნება.

**— ცვლილება ბევრია?**

— ერთი იტალიელი თავდამსხმელი დაგვემატა. ბონეტის ის „რეინჯერსში“ წასული კანიჯას შემცვლელად ეგულება. ეგაა და მეორე ახალწვეული ალბათ ქეცბაია იქნება.

**— მიზნები?**

— იტალიაში გამოგვიცხადეს, რომ უეფას თასის საგზური უნდა მოვიპოვოთ. წლეულს ინტერტოტოზე ვითამაშეთ, მაგრამ მეორე შემადგენლობით და პირველსავე წრეში დავმარცხდით. ეს „დანდისთვის“ მეორეხარისხოვანი იყო. აი, პირდაპირ უეფას თასზე თამაში კი წარმატებად ჩაგვეთვლება, რაც რეალური მგონია.

**— სათამაშო პოზიცია ხომ არ შეგიცვალა ბონეტიმ?**

— ცენტრალურ მცველად მათამაშებს. „დანდიში“ რომ ახალგადასული ვიყავი, მარჯვენა მცველი ტრავმირებული იყო და მე მომიხდა მის ადგილას თამაში. ახლა კი ის გამოჯანმრთელდა და ამ ამხანაგური მატჩებისას სულ ცენტრალური მცველის ფუნქციას ვასრულებდი. ბონეტი მეუბნება, შენი ადგილი შუაშიაო.

**ქობა ინასარიძე**

# მუხა ისევ გაისვრის

**თბილისურმა** „მერანმა“ ჩემპიონატის დაწყებამდე ყვავილნარს მიაშურა. ავჭალელებს ზღვისპირეთში ერთკვირიანი შეკრება გამოუვათ. 28 ივლისს კი დასავლეთ საქართველოს ჰავას შეგუებულები ლანჩხუთს ეწვევიან.

ოთარ გაბელიას გუნდში რადიკალური არა, მაგრამ გარკვეული ცვლილებებია. კლუბის თავკაცთა გასახარად, „მერანს“ უკრაინელი ლეგიონერი ანდრეი მუხინი დაუბრუნდა. ჩვენში „მუხად“ მონათლული ნახევარმცველი მეთორმეტე ჩემპიონატის შემდეგ რუსულ გუნდებში ისინჯებოდა, მაგრამ რადგან ავჭალაში დაბრუნდა, ყველაფერი გასაგებია.

„მერანს“ ზღვისპირა შეკრებაზე გაჰყვა ნახევარმცველი მალხაზ ჭინჭარაული, რომელიც გერმანიაში იყო გასინჯვაზე.

თბილისშია აკაკი დევაძეც, რომელიც უკრაინიდან დაბრუნდა დედაქალაქში და ისევ უცხოეთში წასასვლელად ემზადება. ამბობენ, მეკარის მორიგი გაჩერება ავსტრია იქნებაო. რახან დევაძე ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს ჯერჯერობით უარობს, გაბელიას ორი მეკარე დარჩა — რევაზ ნაჭყეპია და გიორგი გაბელია.

მეცამეტე ეროვნულში ავჭალელები საშინაო მატჩებს „შევარდენზე“ ჩაატარებენ. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

„მერანს“ ამ ფეხბურთელების უნდა ეიმედებოდეს:

*მეკარეები: ნაჭყეპია, გაბელია;*

*მცველები: გოგიტაძე, ცქიფურიშვილი, კვეკვესკირი, ნათობაძე, დევიძე, ილურიძე, გ. ხიზანიშვილი;*

*ნახევარმცველები: ბოლქვაძე, მუხინი, ი. შენგელია, რევაზიშვილი, გაგუა, ჭინჭარაული, ჩხაიძე, კოშკაძე;*

*თავდამსხმელები: დავითაშვილი, ბაჯელიძე, მუშკუდიანი, კრავეიშვილი;*

ავჭალელთა განაცხადში ბოლო მომენტამდე სულ 22 ფეხბურთელი იყო, მაგრამ ყვავილნარში გუნდს არ გაჰყოლია ვეტერანი მცველი გოჩა გუჯაბიძე. კლუბის წარმომადგენლის თქმით, გუჯაბიძეს უცხოეთში თამაშის შანსი გაუჩნდა და გოჩაც თურმე დღე-დღეზე გაემგზავრება თბილისიდან. მის სანაცვლოს ოთარ გაბელია ალბათ მოგვიანებით მოძებნის, თუმც დროც რომ ცოტაა...

**დათო დანელია**



[illegible] ფოტო

ანდრეი მუხინი „მერანს“ ორთვიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა

# ბოლნისში ბევრი სიახლეა; რკინიგზაში — ერთი

**გუშინ** ვიცე-ჩემპიონმა „ლოკომოტივმა“ ვაკეში ბოლნისის „სიონი“ ისტუმრა და ამხანაგურად გაეჯიბრა. თამაში საღამოს 7 საათზე დაიწყო და ფეხბურთელები სიცხეს მაინც და მაინც აღარ შეუწუხებია.

მასპინძლებმა შესამჩნევი უპირატესობით გალიეს ორივე ტაიმი და მეტოქეს 2:0 მოუგეს. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. ჯერ კაიდარაშვილმა გამოიჩინა თავი, მეორე გოგიჩაიშვილმა პენალტით გააორმაგა რკინიგზელთა უპირატესობა.

„ლოკომოტივში“ სიახლეს არც ველოდით, გუნდი უკვე დაკომპლექტებულია, მაგრამ მეორე ტაიმში მოედანზე დავით გოდერძიშვილის გამოჩენა მაინც მოულოდნელი იყო. 21 ივლისს „სარბიელთან“ საუბარში რკინიგზელთა თავკაცმა კახა ცხადაძემ გოდერძიშვილი გუნდიდან წასულად მოიხსენია. როგორც ჩანს, „გოდორას“ კიდევ ერთი შანსი მისცეს.

სიახლე თუ გნებავთ, მაშინ ბოლნისელებთან უნდა იკითხოთ. „სიონი“ დედაქალაქში, კერძოდ, დილმის საკალათბურთო ბაზაზე გადის შეკრებას. 28 ივლისამდე ბოლნისელები თბილისში დარჩებიან და „დინამოსაც“ აქვე დაუპირისპირდებიან.

მეცამეტე ეროვნულის პირველ ტურში „სიონს“ ათგზის ჩემპიონისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ რადგან „თემურ სტეფანიაზე“ სარეკონსტრუქციო სამუშაოებია, გათამაშების კალენდარში ფედერაციამ ცვლილებები შეიტანა.

„სიონს“ დაუბრუნდა შალვა ისიანი, რომელსაც თითქოს ქუთაისურ „ტორპედოში“ უნდა გაეგრძელებინა კარიერა. ბოლნისშივე გადაბარგებულან ყოფილი იბერიელები — შალვა ლაცაბიძე და ლადო კაკაშვილი. წარსულში ბათუმელი ზვიად პაპიძეც გუშინ სიონელი იყო. დაუშვილი და გლუნჩაძეც რეხვიაშვილის განკარგულებაში არიან.

ბოლნისელები ვორონეჟის „ფაკელში“ გასასინჯად მყოფ მამუკა მინაშვილსაც მოელიან, რომელიც რუსეთში თბილისური „მერანიდან“ წავიდა.

რაც შეეხებათ გორელებს, ფორვარდ ხორგუაშვილსა და მცველ ხაჭაპურიძეს, მათ ბოლნისელებისთვის უარი შეუთვლიათ. მიწვევისთვის მადლობა, მაგრამ „დილაში“ ვრჩებითო.

**დათო დანელია**

# აფხაზავას პახმელია არ სცოდნია

**კვირას** მოსამზადებელი ეტაპის ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა „ბათუმმა“.

ზღვისპირელებს მეტოქედ ისევ თურქული „ხოფასფორი“ ჰყავდათ. შეგახსენებთ, ამ გუნდების პირველი მატჩი „ბათუმის“ გამარჯვებით დასრულდა — 1:0.

თურქებს ბათუმელებმა კვირასაც მოუგეს.

ასლან ბალაძის გუნდს მეორე მატჩში შალვა აფხაზავა და გრიგოლ ჭანტურია შეუერთდნენ. აფხაზავას ქორწილი ჰქონდა, მეჯვარე ჭანტურია იყო და ამ მიზეზით ნეფე-მეჯვარეს საბურთაოდ არ ეცალათ. კვირას კი ორივემ ითამაშა და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა მასპინძელთა წარმატებაში.

თურქებმა ამჯერად უფრო მონდომებულად ითამაშეს და მატჩის დებიუტში გარკვეული უპირატესობაც მოიპოვეს. ჭანტურიასაც ორჯერ მოუხდა თამაშში ჩართვა და ამდენჯერვე გადაარჩინა თავისიანები გოლს. მერე კი „ბათუმმაც“ გამოიდო თავი და ტულუშის პასით მაჭუტაძემ გახსნა ანგარიში, თუმცა თურქებმა ქართველ მცველთა უყურადღებობით ისარგებლეს და მალევე გაათანაბრეს.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული აფხაზავას ჯერი დადგა. ნაქორწილევზე სიძემ მოხდენილი გოლით გამოიჩინა თავი და „ბათუმმაც“ 2:1 გაიმარჯვა.

ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილ ხუთ დღეს „ბათუმი“ ჩაქვის „ოაზისში“ გაატარებს.

28 ივლისს კი პირველი ტურის მატჩში დებიუტანტ „მეტალურგს“ უმასპინძლებს.

**ბაატა ძვანტალიანი**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *რევაზ ძოძუაშვილი* | ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (კოლხეთი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (დინამო), პ. ჯინჭარაძე (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი), ა. შეყრილაძე (სამგურალი), კ. ჩხეტიანი (დებრეცენი, უნგრეთი), ვაჩიბერაძე, ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. ჯანაშია, ზოიძე (ტრანსფერზეა), ტოგონიძე, ლევან სილაგაძე (?) | სტურუა (თსუ), აკოფიანი (დილა), ლ. ჭელიძე, ბერელიძე, გამეზარდაშვილი (ინტერი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (სამგურალი), გ. შენგელია, პარამონოვი (ლოკომოტივი), პოროშინი (მერიფი, მოლდოვა), თ. მალანია (სკონტო 2, ლატვია), ძამსაშვილი (იბერია), გ. ჩხეტიანი (შევარდენი, ქუთაისი) | სამგურალი 0:0, 2:1, 1:1, გურია 5:0, ბათუმი 4:2, მეტალურგი 6:1, 1:0, 8:1, სიონი 5:1, ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 0:0, 1:0 |
| **ლოკომოტივი** *კახა ცხადაძე* | გ. შენგელია, პარამონოვი (ტორპედო), გივი კვარაცხელია (სკონტო, რიგა, ლატვია), ასლანაძე (გურია); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, დინამო) | გოდერძიშვილი, დავითიძე (მერანი), ძოძუაშვილი (ერზერუმსფორი 2, თურქეთი), კობერიძე, ხურცილავა (ლოკომოტივი 3), სირბილაძე (თბილისი), გელა ქორიძე (ბათუმი); კახა ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 1:1, მარეკი (დუპნიცა, ბულგარეთი) 1:2, ეალეკსი (ტრიავნა, ბულგარეთი) 1:0 (თამაში ჩაიშალა), სიონი 2:0 |
| **დინამო** *გივი ნოდია* | ი. შენგელია (მერანი), ხაჩირაშვილი (გორდა) | შალამბერიძე, შავგულიძე (კოლხეთი), ხუციშვილი (მერანი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (ტორპედო), ამისულაშვილი (იბერია), დარასელია (ცსკა, კიევი, უკრაინა), მამალაძე (ინტერი), ბ. შელია (დინამო 2), მიქავა (ტრაბზონსფორი 2, თურქეთი), ვ. ქუთათელაძე (?); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი) | ფრაიბურგი (გერმანია) 0:1, მატლახი (გერმანია) 4:1, გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 1:2, ლევერკუზენი (გერმანია) 0:2, კიოლნი (გერმანია) 0:5 |
| **ვიტ ჯორჯია** *ჯანი კარნევალი* | | ლ. კვარაცხელია, ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია 2), მამარდაშვილი, არეშიძე, გ. მეტრეველი, ბეროშვილი (თსუ), ზაზაშვილი (ხალიბი), თედორაძე (ტავრია, უკრაინა) | რიდი (ავსტრია) 1:0, 1:2, ტრუა (საფრანგეთი) 0:6, 1:1 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | შალამბერიძე, შავგულიძე (დინამო), ხუჭუა (გურია), ღლანიძე (მეტალურგი, კრასნოიარსკი, რუსეთი) | ივეჩიანი (იბერია), მიქელთაძე (იბერია), ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (ტორპედო), ქუტიძე (ქობულეთი), გიორგი კვარაცხელია, მ. ფილია (კოლხეთი 2) | სამგურალი 1:0, ბათუმი 2:1, ქობულეთი 2:1, 2:0, დობრუჯა (ბულგარეთი) 1:0, ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) 0:2, სოლნიჩნი ბრიაგი (ბულგარეთი) 1:2 (თამაში ჩაიშალა), ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:3 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | დავითიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (დინამო), კოროშინაძე (გორდა), გ. ჩხაიძე, ქადაგიძე, ხუჯაძე (ბათუმი), გ. კვეტენაძე (იესილი, კოკჩეტავი, ყაზახეთი), მ. მინაშვილი, თოლორდავა, ივანიშვილი, ოდიშარია, დევაძე, დ. გოდერძიშვილი (?) | რევაზიშვილი (დილა), ი. შენგელია (დინამო), დავითაშვილი (სიონი), გაგუა, გ. ხიზანიშვილი (იბერია), თ. ჩხაიძე, ჯ. თოდუა, ავალიანი, ნათობაძე, ფურცელაძე (ამირანი), მინჯია (თსუ), დათუნაშვილი (თბილისი), გაბელია (არ თამაშობდა), მუშკუდიანი (ეტარი, ველიკო ტარნოვო, ბულგარეთი) | თსუ 3:2, ჭაბუკიანი 3:2, ლოკომოტივი-3 4:0, თსუ 0:1 |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | მჟავანაძე (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), თედორაძე (ტავრია, უკრაინა), კაკაბაძე (ტორპედო მაზ, მინსკი, ბელარუსი), გელა ქორიძე (ლოკომოტივი), პაპიძე (სიონი), მახარაძე, ელონტი, ა. მუჯირი, ყულეჯიშვილი (?) | თურმანიძე (სამგურალი), გ. ჩხაიძე, ქადაგიძე, ხუჯაძე (მერანი), ზ. გვაზავა (თსუ), გალოგრე (ინტერი), ვაჩიბერაძე, ზ. არჩვაძე (ტორპედო), ჭითანავა (ბათუმი 2) | კოლხეთი 1:2, ტორპედო 2:4, სამგურალი 3:0, გურია 1:1, 1:0, ხოფასფორი (თურქეთი) 1:0, 2:1 |
| **სიონი** *ფირუზ რეხვიაშვილი* | ასპინძელაშვილი (მილანი), დავითაშვილი (მერანი), კ. მეტრეველი, გაბისონია (?), სოლოღაშვილი (თამაში მიატოვა); სპარტაკ არჩვაძე (მთავარი მწვრთნელი) | დაუშვილი (არ თამაშობდა), გლუნჩაძე (თორი), შ. ლაცაბიძე, კაკაშვილი (იბერია), პაპიძე (ბათუმი); ფირუზ რეხვიაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ნორჩი დინამოელი 2:0, ტორპედო 1:5, გორდა 1:0, ლოკომოტივი 0:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | სოხაძე (თსუ); თ. მეტრეველი, ა. გელაძე, ს. ბაჩილავა, მჭედლიძე (?), გუგუნავა (თსუ), პატარიძე (მეტალურგი); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი) | ვ. კოლასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), კოროშინაძე (მერანი), ზვ. ლაბაძე (თსუ), ნ. ლობჟანიძე (უეფასგან დისკვალიფიცირებულია), ხაჩირაშვილი (დინამო); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ლოკომოტივი 1:1, თსუ 2:0, ზოოვეტი 5:2, სიონი 0:1 |
| **გურია** *ზაზა გურიელიძე* | დ. მინაშვილი, ძნელაძე (?), კირკიტაძე (?, გერმანია) | ასლანაძე (ლოკომოტივი), მარლიშვილი (ცხინვალი), ნინუა (იბერია), ტაბატაძე, ნ. ბაქრაძე, სიამაშვილი (ლოკომოტივი 3), მგელაძე (მერცხალი), ხუჭუა (კოლხეთი), ებრალიძე (თსუ), გენაძე, კაციაშვილი (მეტალურგი) | ტორპედო 0:5, ბათუმი 1:1, 0:1, სამგურალი 5:0 |
| **მეტალურგი** *ვასილ ჭეიშვილი* | გენაძე, კაციაშვილი (გურია), აჭარაძე, ფანცხავა, მახათაძე (?) | ჯ. თავბერიძე (ინტერი), ჭყონია (მილანი), სუხიაშვილი (თორი), ლ. ხმალაძე (იბერია), ჩიგოშვილი (მილანი), ყუფარაძე (ლოკომოტივი-3), ჩიგოშვილი (მილანი), პატარიძე (გორდა) | ტორპედო 1:6, 0:1, 1:8, სამგურალი 1:2, 1:0, მილანი 0:3 |
| **სამგურალი** *გია გიგატაძე* | კვერნაძე (დებრეცენი, უნგრეთი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), ვადაჭკორია (?) | ა. შეყრილაძე (ტორპედო), ო. ფხაკაძე (ოკეანე), ნებიერიძე (მეტალურგი, პერნიკი, ბულგარეთი), კ. ჯანაშია (თორი), ხუნდაძე (ქაფაზი, განჯა, აზერბაიჯანი), ნაროუშვილი (ინტერი) | კოლხეთი 0:1, ტორპედო 0:0, 1:2, 1:1, ბათუმი 0:3, მეტალურგი 2:1, 0:1, გურია 0:5 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

40º Copa América
Colombia 2001
11 al 29 de julio



ურუგვაი — კოსტა რიკა. პაულო ვანჩოპემ ბოლო თამაშშიც გაიტანა

# კოსტარიკაობა დასრულდა

### მეოთხედფინალები

**ურუგვაი 2:1 კოსტა რიკა**

0:1 ვანჩოპე (51), 1:1 ლემოსი (61გ), 2:1 ლიმა (87)

**მექსიკა 2:0 ჩილე**

1:0 არელანო (18), 2:0 ოსორნო (80)

კოსტარიკელებს მეოთხედფინალში მარცხის მიუხედავად შეუძლიათ, მშობლიურ სან ხოსეში თავაწეულები დაბრუნდნენ. პატარა კარიბული ქვეყნის ნაკრებს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე თავი არ შეურცხვენია.

კოსტა რიკის ნაკრები ქალაქ არმენიის სტადიონზეც მოსაგებად გავიდა. სპეციალისტთა უმრავლესობა ურუგვაელებთან შედარებით მცირე უპირატესობას ანიჭებდა და რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ფავორიტადაც მიიჩნევდა. ნახევარფინალში თამაშს, კაცმა რომ თქვას, ორივე გუნდი იმსახურებდა. მატჩი დაძაბული და ერთობ ხისტი გამოდგა. კოსტარიკელთა შორის, კვლავ პაულო ვანჩოპე ბრწყინავდა. გამოცდილმა ურუგვაელებმა მეტოქის სწრაფ და ლაღ თამაშს დაცვაზე, მოწინააღმდეგის შეტევის ჩაშლაზე აწყობილი ტაქტიკა დაუპირისპირეს. სამხრეთამერიკელები ხშირადაც უხეშობდნენ, თუმცა თამაშის ამ კომპონენტში მათ არც კოსტა რიკა ჩამორჩებოდა და შეხვედრის არბიტრმაც საერთო ჯამში ფეხბურთელები შვიდჯერ გააფრთხილა.

„მანჩესტერ სიტისა“ და კოსტა რიკის ნაკრების თავდამსხმელმა ვანჩოპემ მეორე ნახევრის დასაწყისში ურუგვაელთა გაუვალი დაცვის გარღვევა შეძლო, ღონივრად მოუქნია და ტურნირზე თავისი მეხუთე ბურთიც შეაგდო. კარიბელებმა დიდად გაიხარეს და თავი ნახევარფინალში ნაადრევად დაიგულეს. ურუგვაელებმა ტემპს მოუმატეს და ანგარიში მალევე გაქვითეს. კარლოს მარია მორალესის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანის გატანა ლემოსს არ გასჭირვებია.

მეორე და გამარჯვებისა კი ლიმამ შეაგდო. კოსტარიკელთა მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და კარიბელებიც კოპას გამოემშვიდობნენ.

კოსტარიკელები სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში მეორედ მონაწილეობდნენ. მათი დებიუტი 1997 წელს ბოლივიაში შედგა. მაშინ პატარა ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა თავი ვერაფრით ისახელა, მაგრამ სამხრეთში მეორედ სტუმრობისას ბევრი გააოცა. ტექნიკური და ლამაზი ფეხბურთით, აგრეთვე ვანჩოპეს ოსტატობით ნაკრები ნამდვილად გამოირჩეოდა. კოსტა რიკის გუნდმა შესაძლოა ჩემპიონატზე დაწესებულ ფეარ ფლეის პრიზსაც გამოჰკრას ხელი.

ნაკლებად სანახაობრივი იყო მეორე მეოთხედფინალური წყვილის დაპირისპირება. მექსიკელებმა ჩილელთა კარში გატანილი ორი გოლით ნახევარფინალში გააღწიეს. არელანოს მშვენიერი დრიბლინგი გოლით დასრულდა. ჩილელთა ნატურალიზებული არგენტინელი მეკარის, სერხიო ვარგასის ნახტომმა თანაგუნდელები ვერ იხსნა.

მატჩის მიწურულს შეცვლაზე შესულმა ოსორნომ ივარგა. თამაშში სულ ათიოდე წუთის ჩაბმულმა ვარგასს ცაციათი გაუტანა და ჩილეს ეროვნულ გუნდს შეხვედრის გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

პირველი ნახევარფინალური წყვილი გარკვეულია. 26-ში მექსიკა და ურუგვაი ფინალში გასასვლელად იბრძოლებენ. ურუგვაელთათვის ნახევარფინალი უცხო არ გახლავთ. მათ კონტინენტის პირველობაც მრავალჯერ მოუგიათ. ბოლოს ეს 1995 წელს მოხდა. კონტინენტის ჩემპიონატის წინა გათამაშებაზე კი ურუგვაიმ პირველობა ბრაზილიელებთან შეხვედრისას დათმო. მექსიკელები კი მეტოქესთან შედარებით ნაკლებად გამოცდილნი არიან. მათ სამხრეთელებთან კოპაზე სულ ხუთჯერ იბურთავეს. სამჯერ ნახევარფინალშიც გავიდნენ, ხოლო 1993 წელს ფინალსაც უწიეს, სადაც არგენტინელებთან დამარცხდნენ.



მექსიკა — ჩილე. მექსიკური სიხარული

მეორე ნახევარფინალური წყვილის შედეგის წინასწარმეტყველება თითქოს იოლია. მასპინძელ კოლუმბიელებს, რომლებმაც ჯგუფურ ეტაპზე ყველა თამაში მოიგეს და საკუთარ კარში ერთი ბურთიც არ გაუშვიათ, პერუელთა უსახური ნაკრების ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ. თითქოს ბრაზილიელებსაც არ უნდა ჰქონდეთ სირთულეები, კოპაზე კოსტა რიკასავით შემთხვევით მოხვედრილ ჰონდურასელებთან. მაგრამ თვით ჰონდურასელები სხვაგვარად ფიქრობენ. მწვრთნელ რამონ მარადიგას მეტოქის ტიტულები არ აშინებს. არც თავისი გუნდის ნახევარფინალში გასვლა მიაჩნია სენსაციად. ხოლო ჰონდურასულ „დეილი ტრიბუნში“ გამოქვეყნებულ სტატიას არცთუ მოკრძალებული სათაური აქვს: „ჩვენს სამიზნეზე ახლა უკვე ბრაზილიაა“.

თავის მხრივ, ბრაზილიელებიც იმუქრებიან. ჰონდურასმა დაამტკიცა, რომ სამხრეთელი ბობოლების მეორეხარისხოვან ნაკრებებთან თანაბრად შეუძლია თამაში. სკოლარის გუნდისთვის კარიბელებთან შეხვედრა იოლი გასეირნება ნამდვილად არ იქნება. მით უმეტეს, რომ ბრაზილიელები მეოთხედფინალში ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელს, მათ შორის როკე ჟუნიორს, ფაბიო როშემბაკსა და ევერტონს მოისაკლისებენ.

**გიორგი გაგარდაშვილი**

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
აფრიკა

# აფრიკაში ყველა ლომი და არწივია?

### C ჯგუფი

**ნამიბია 0:5 სენეგალი**

0:1, 0:3 ტიავი (15, 31), 0:2 დიუფი (23), 0:4 ფადიგა (77 პ), 0:5 ნდიაიე (80)

**ალჟირი 1:1 ეგვიპტე**

0:1 ა. ჰასანი (59), 1:1 ბეზაზი (89)

**„სნიკერსის“** რეკლამა გახსოვთ? კარამელში ამოვლებული მოხალული არაქისი? ზუსტად არაქისის ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორია სენეგალი, ქვეყანა, რომელმაც შაბათს, პირველად თავის ისტორიაში, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

აფრიკის შესარჩევი ზონის C ჯგუფში სიტუაცია ერთი კვირის წინ გამწვავდა, როცა სენეგალმა მაროკო დაამარცხა. იმ დღეს კი „ლომებმა“ (სენეგალელთა მეტსახელია) ირწმუნეს საკუთარი შესაძლებლობები და მაროკოელები თავქარიანობისთვის დასაჯეს. შესარჩევი ტურნირის დასაწყისში სენეგალელებს სერიოზულ კონკურენტად ხომ არავინ მიიჩნევდა, ახლა კი გვიანია თითზე კბენანი...

რა პირობა უნდა შესრულებულიყო იმისთვის, რომ ბოლო ტურში სენეგალს მაროკო და ეგვიპტე ჩამოეტოვებინა? მათ უნდა მოეგოთ ნამიბიაში, თანაც დიდი ანგარიშით. ეგვიპტელებსაც ეს უნდა გაეკეთებინათ ალჟირში. ორივე ნაკრები გამარჯვების შემთხვევაში თანაბარ ქულებს აგროვებდა და პირველი ადგილის ბედს ბურთების უკეთესი შეფარდება წყვეტდა. როგორ გგონიათ, გაუჭირდებოდათ „ლომებს“ საჭირო რაოდენობის გოლების გატანა იმ გუნდისთვის, რომელმაც შვიდ თამაშში 26 გაუშვა?

ორივე შეხვედრა ერთ დროს დაიწყო. თუ ეგვიპტელებმა მხოლოდ 59-ე წუთზე გაიტანეს გოლი, სენეგალის ნაკრები პაპე ტიავის დუბლისა და ელ ჰაჯი დიუფის ერთი ბურთის წყალობით 23-ე წუთისთვის უკვე დიდი ანგარიშით იგებდა. უეჭველია, რომ ამ დროისთვის „ლომთა“ სამშობლოს დედაქალაქ დაკარში დაფდაფისა და ბუკის ხმა ისმოდა. მეორე ტაიმის მიწურულს კალიდუ ფადიგამ და მუსა ნდიაიემ კიდევ ორი ბურთი გაუტანეს ნამიბიელებს, 5:0 მოიგეს და სენეგალის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს.

ქვეყნის პრეზიდენტმა აბდულა ვეიდმა ტრიუმფალური დახვედრა მოუწყო გამარჯვებულებს. „მჯერა, დღეიდან ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყება, რომელიც წარმატებებს მოგვიტანს. უაღრესად ბედნიერი ვარ, ამ ზეიმის თანამონაწილე რომ გავხდი. ამიერიდან მსოფლიოს ფეხბურთის მარაქაში გავერევით და ჩვენს სიტყვასაც ვიტყვით“. არ უნდა დავუკარგოთ თავისი წვლილი სენეგალელთა მთავარ მწვრთნელს, ფრანგ ბრუნო მეტსიუს, რომელმაც ნაკრები შარშან ოქტომბერში ჩაიბარა და უმცირეს დროში, უკეთესს რომ ვერ ინატრებ, ისეთ შედეგს მიაღწია.

ამასობაში ეგვიპტელები ალჟირში ფრედ ნათამაშევი მატჩის და გადათამაშების მოთხოვნით ფიფას კარს მიადგნენ, აქაოდა ტრიბუნებიდან ქვებისა და ბოთლების სროლა დაგვიწყესო. სინამდვილეში ასეც იყო. სტუმართა მიერ გატანილმა გოლმა ალჟირელი მაყურებლები განარისხა და მათ სხვადასხვა საგნებით დაუშინეს ეგვიპტელებს. შეხვედრა თხუთმეტი წუთით შეწყდა. მართალია, მასპინძლებმა მატჩის განახლებიდან ნახევარ საათში შეძლეს წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ადგილობრივი გულშემატკივრები ნამიბიიდან მისულმა ცნობამ უფრო გაახარა, ვიდრე ამ გოლმა. ალჟირელებს ეგვიპტელების ჯგუფიდან ვერგასვლა ეწადათ და თამაშის შემდეგ სენეგალელთა წარმატება რომ შეიტყვეს, კიდევ ერთხელ მოაწყვეს ქვა-ბოთლების სროლა, ამჯერად ეგვიპტელთა გასახდელთან. სტუმრებმა მხოლოდ მატჩის დასრულებიდან ერთ საათში, ისიც პოლიციის დახმარებით, შეძლეს სტადიონის დატოვება.

რა ზომებს მიიღებს ფიფა ამასთან დაკავშირებით, ვნახოთ, მანამდე კი დაკარში ზეიმი გრძელდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენეგალი | 8 | 4 | 3 | 1 | 14:2 | 15 |
| მაროკო | 8 | 4 | 3 | 1 | 8:3 | 15 |
| ეგვიპტე | 8 | 3 | 4 | 1 | 16:7 | 13 |
| ალჟირი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:14 | 8 |
| ნამიბია | 8 | 0 | 2 | 6 | 3:26 | 2 |

### ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინელი** ფაბრიციო კოლოჩინი „მილანმა“ „ალავესში“ განათხოვრა და 19 წლის ფეხბურთელს „ჯუზეპე მეაცაზე“ მომავალ ზაფხულში დააბრუნებს. კოლოჩინიმ წინა სეზონი „სან ლორენსოში“ გაატარა, „მილანმა“ იგი იანვარში შეიძინა, თუმცა შემდეგ არგენტინაში დატოვა. იტალიური კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, არგენტინელმა მომავალ სეზონში შესაძლოა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდროს და მათ მართებულად ჩათვალეს, იგი ერთი სეზონით ესპანეთში გაეშვათ. „მილანის“ ექიმები კი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ტრავმირებული დემეტრიო ალბერტინი აგვისტოში დაუბრუნდეს მინდორს.

**გერმანიის ბუნდესლიგაში დაბრუნებულმა მიუნხენგლადბახის „ბორუსიამ“ „სენტ გალენის“ კარის დარაჯი იორგ სტიელი შეიძინა. შეგახსენებთ, რომ ეს კლუბი „არსენალთანაც“ აწარმოებდა მოლაპარაკებებს და ლონდონიდან ალექს მანინგერის გადაყვანა სურდა, თუმცა საბოლოოდ 33 წლის სტიელთან გააფორმა კონტრაქტი. ამ გოლკიპერმა ბოლო ხუთი სეზონი „სენტ გალენში“ გაატარა. „ბორუსიაში“ იგი, ალბათ, თავიდანვე ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრებს ადგილს, რადგან იქაური მეკარე უვე კამპსი სერიოზულადაა დაშავებული.**

**ესპანურმა** „ბეტისმა“ ორი ახალი მოთამაშე შეიმატა — „რაიო ვალეკანოდან“ მინხო და სანტანდერის „რასინგიდან“ ვაშინგტონ ტაისი. პრიმერადივიზიონში დაბრუნებულ კლუბს რაიოელის გადაბირება 1,5 მილიონი გირვანქა დაუჯდა და მასთან ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტაისმა კი, რომელიც უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნილი „რასინგის“ დატოვებას კარგა ხანია აპირებდა, ოთხწლიან შეთანხმებას მოაწერა ხელი. ამ ფეხბურთელის საფასური არ გაცხადებულა.

**ესპანურმა „ალავესმა“ „მილანში“ გაყიდული ხავი მორენოს შემცვლელს მიაგნო და „ნუმანსიას“ თავდამსხმელი რუბენ ნავარო გადაიბირა. 23 წლის ფეხბურთელმა წინა სეზონში პრიმერადივიზიონში 17 გოლი გაიტანა, მაგრამ ამით „ნუმანსიას“ ვერაფერი უშველა და კლუბი ქვედა ლიგაში დაქვეითდა. ნავარომ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მერე კი განაცხადა: „აქ ხავი მორენოს შემცვლელად არ მოვსულვარ, შევეცდები, ჩემი ადგილი დავიმკვიდრო გუნდში. სხვებიც ძლიერი მოთამაშეები არიან და ვიმედოვნებ, რომ თავის გამოჩენა არ გამიჭირდება“. კიდევ, ახალი კონტრაქტის პირობით, თუ რომელიმე კლუბი ნავაროს შეძენას მოისურვებს, სანაცვლოდ „ალავესს“ 21 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადოს.**



ფატიჰ თერიმი საქმეს შეუდგა



კახა კალაძე და ალესანდრო კოსტაკურტა

# იმპერატორი და 4-1-2-1-2

„კახა კალაძე მცველია და არა ნახევარმცველი. ის დაცვაში გაცილებით სასარგებლო იქნება“ — თქვა „მილანის“ ახალმა მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმა, რომელსაც ახალ ქალაქში მყისვე მოუძებნეს მეტსახელი — „იმპერატორი“.

უნდა ითქვას, რომ იმპერატორი დიდი სიამოვნებით არიგებს ინტერვიუებს, რადგან გრძნობს რომ „ფიორენტინასგან“ განსხვავებით (სადაც იგი ადრე მუშაობდა) მოხვდა მართლაც დიდი მასშტაბის კლუბში, რომელსაც საგანგებო ყურადღებას აქცევენ და რომლისგანაც მხოლოდ უდიდეს წარმატებებს ითხოვენ.

„გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თერიმმა დაუფარავად ისაუბრა თავის გეგმებსა და „მილანის“ სამომავლო სტრატეგიაზე.

„ყველაფერი გეგმის მიხედვით ვითარდება. კმაყოფილი ვარ საქმისადმი ფეხბურთელთა სერიოზული დამოკიდებულებით. თავიდან მათ ის სქემა ავუხსენი, რომლითაც თამაში მოუწევთ. თეორიულად ყველაფერი დალაგდა, ახლა კი ჯერი პრაქტიკაზე მიდგა“.

„ქვეშევრდომთაგან უპირველესად პრესინგს ვითხოვ. მათ მოედანზე მთელი მატჩის განმავლობაში თავდადებით უნდა იბრძოლონ და კოლექტიური ფეხბურთი ითამაშონ. ამხანაგურ მატჩში „ვარეზესთან“ ჩვენი ამოცანა შეტევის დამუშავება გახლდათ. თავდასხმაში ყველა ხაზის ფეხბურთელს უნდა მიეღო მონაწილეობა. მხოლოდ ფორვარდების აქტიურობა არ დამაკმაყოფილებდა. როდესაც ბურთი ჩვენ გვქონდა, უკლებლივ ყველას სქემის შესაბამისად წინ უნდა ემოძრავა“.

თერიმის თქმით, მისი „მილანი“ 4-1-2-1-2 სქემით ითამაშებს, რაც 2-3-2-3-ის ნაირსახეობაა. „ასეთი სქემა იოლად გარდაიქმნება სხვა, მონათესავე ვარიანტად“ — ამბობს იმპერატორი.

გასული სეზონის მიწურულს, ჩეზარე მალდინის ხელში განსაკუთრებით სერჟინიომ გაიბრწყინა. თერიმი ბრაზილიელზე ასე ამბობს:

„მისი დასაქმება ფრთაზეც შეიძლება და სხვა პოზიციებზეც, უფრო კი შუაში, სადაც რუი კოშტასთან შეუძლია დუეტის შექმნა. ოღონდ ამ შემთხვევაში მას იმდენივე სირბილი მოუწევს, რამდენიც პორტუგალიელს. ერთი სიტყვით, საქმე ყველასთვის მოიძებნება, ოღონდ ამ საქმის მისაღებად ყველას თავგანწირვა მოუწევს“.

რაც შეეხება საკუთრივ იმპერატორის ქცევას:

„ფეხბურთელებს პირველი შეხვედრისთანავე განვუცხადე, რომ ხანდახან შესაძლოა სასტიკად და უხეშად მოვექცე, მაგრამ დიდ პატივს ვცემ მათ პროფესიას და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს შექმნა უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია“.

„ვარეზესთან“ „მილანმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა

***აბიატი (როსი 46); კონტრა (ჰელვეგი 46), კალაძე (დომორო 83), მალდინი, კოკო (დაინო 70); გატუზო (დონადელი 58), დონატი (ბროკი 46), სერჟინიო (კორენტი 56); რუი კოშტა (მოჰამედი 64), შევჩენკო (ხავი მორენო 46), ინძაგი (ბირპოფი 59)***

პირველი მილანური გოლი გაიტანა ფილიპო ინძაგიმ, მე-13 წუთზე „მილანი“ სწორედ მან დააწინაურა. პირველი ტაიმის ბოლოს ვარეზელმა გალომ წონასწორობა აღადგინა, თუმცა „მილანის“ ყმაწვილმა ნიგერიელმა ალიუ მოჰამედმა 72-ე წუთზე „შავ-წითლებს“ გამარჯვება მოუტანა.

**ბაჩუნა ძიძია**

## ეფენბერგს არ შეარჩინეს

**მიუნხენის** სასამართლომ შტეფან ეფენბერგს განაჩენი გამოუტანა. „ბაიერნის“ კაპიტანს დაზარალებული ქალბატონის სასარგებლოდ 10 ათასი გირვანქის გადახდა დაეკისრა. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. იგი ბრალდებლების მოტივაციას არ ეთანხმება. სამაგიეროდ, ქალბატონს თურმე სამი მოწმე ჰყავს, რომლებიც ნებისმიერ დროს დაადასტურებენ მომხდარს.

შეგახსენებთ, რომ შარშან ოქტომბერში შტეფან ეფენბერგი მეგობრებითურთ მიუნხენის ერთ-ერთ ღამის კლუბში უკვე დაკავებულ მაგიდას მიუჯდა. უეცრად საიდანაღაც გამოჩნდა შემდგომში დაზარალებულად წოდებული მანდილოსანი და როგორც ფეხბურთელი ამბობს, მაგიდის განთავისუფლება ითხოვა. უარის საპასუხოდ ქალბატონმა ეფენბერგს თავზე შამპანური გადაასხა. სანაცვლოდ ალიყური მიიღო, რომელიც „ბაიერნის“ კაპიტანს 10 ათასი გირვანქა დაუჯდა. ჯერ კიდევ მარტში ამის გამო ფეხბურთელი კლუბმა დააჯარიმა.

1997 წელს ერთმა უსახლკარომ შტეფანი და მისი მეუღლე მარტინა იმაში დაადანაშაულა, გარაჟიდან გამომაგდეს, თანაც სულ ფეხებით მიბრახუნებდნენო. 1999 წელს პოპ ჯგუფმა „სექს მაფიამ“ იმავე ეფენბერგს შეურაცხყოფის მიყენებაში დასდო ბრალი. ეს მაშინ მომხდარა, „ბაიერნს“ „ვერდერთან“ გერმანიის თასის ფინალი რომ წაუგია. გაჯავრებულმა ფეხბურთელმა ჯავრი მომღერლებზე იყარა.

**გაჩა ხუციშვილი**

### ინტერტოტოს თასი 2001. მესამე შესარჩევი ეტაპი
### საპასუხო მატჩები

**პარი სენ ჟერმენი** (საფრანგეთი) 4:0 **ტავრია** (უკრაინა) (1:0)
1:0 ოკოჩა (4), 2:0 ალოიზიო (10), 3:0 ბენარბია (62), 4:0 ალოიზიო (70)
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ალოიზიო, ბენარბია (პირო 67), ოკოჩა, რობერი, ელ კარკური (პოტილიონი 62), პოჩეტინიო, დისტინი, ე. სისე (დეუ 63), დიუკრო, მენდუ
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
ტავრია: ველიჩკო, ნაზაროვი, პოლიაკოვი, ჩომახიძე, მიტროფანოვი, მოჩულიაკი, დონიუშკინი, ბოიცანი (კუნდიონოკი 29), კრავჩენკო, ვ. გიგიაძე (ზაბრანსკი 84), ტრაპაიძე
მწვრთნელი: ვალერი პეტროვი
გაფრთხილება: ელ კარკური, მენდი, ბოიცანი, ტრაპაიძე
მსაჯი: ვიქტორ ხოსე ტორესი (ესპანეთი)
2 037 მაყურებელი

**ტატაბანია** (უნგრეთი) 1:1 **ბრეშა** (იტალია) (1:2)
0:1 გუანა (41), 1:1 კინჩეში (67)
ტატაბანია: ბალოგი, დ. ფარკაში, ობრადოვიჩი (იერემიევი 46), შაფრანეკი (ტივოცკი 83), პორნიაკი, ვ. ფარკაში, ვებერი, კინჩეში, ტუსკე, კისი (სუვეგეში 83), ლეტენიე
ვალერი ზირაქაძე მატჩის განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: ფერენც ებედლი
ბრეშა: ალიარდი, პიზანო (კორტელინი 74), ბენარდო, დანოტი, მერო, იავორჩიჩი, კორეა, დელ ნერო (გრანდე 90), გუანა, პედროკი, სალგადო (კარაჩიოლი 71), ხიმენესი
მწვრთნელი: ლეონარდო მენიკინი (თანაშემწე)
გაფრთხილება: გუანა, მერო, დანოტი, ვ. ფარკაში, კორეა
მსაჯი: ჰერმან ალბრეხტი (გერმანია)
567 მაყურებელი

**პობედა** (მაკედონია) 0:1 **ბლშანი** (ჩეხეთი) (0:0)
0:1 ველკობორსკი (71)

**ასტონ ვილა** (ინგლისი) 2:0 **სლავენი** (ხორვატია) (1:2)
1:0, 2:0 ჰენდრი (18, 40)

**გენტი** (ბელგია) 0:1 **ვერდერი** (გერმანია) (3:2)
0:1 ჰერცოგი (83 პ.)

**ლოზანა** (შვეიცარია) 0:0 **პუბლიკუმი** (სლოვენია) (1:1)

**ჰერენვენი** (ჰოლანდია) 2:3 **ბაზელი** (შვეიცარია) (1:2)
1:0 ოლბოკი (9), 1:1 კუმანტარაკისი (10), 1:2 იაკინი (24), 1:3 ტუმი (69), 2:3 ლურლინგი (76)

**ნიუკასლი** (ინგლისი) 1:0 **ლოკერენი** (ბელგია) (4:0)
1:0 ბელამი (60)

**დინამო** (მინსკი, ბელარუსი) 0:0 **ვოლფსბურგი** (გერმანია) (3:4)

**აიკ** (შვედეთი) 1:2 **ტრუა** (საფრანგეთი) (1:2)
0:1 ტომასი (36), 1:1 ალმი (67), 1:2 ბუტალი(72)

**სიგმა** (ჩეხეთი) 4:2 **რენი** (საფრანგეთი) (0:5)
1:0 პოლაკი (11), 1:1 შაპუი (21), 2:1 სოლდანი (24 პ.), 3:1 ბლაჟა (62), 3:2 არიბაგე (67), 4:2 ბლაჟა (90)

**მიუნხენ 1860** (გერმანია) 3:1 **ვალვაიკი** (ჰოლანდია) (2:1)
1:0 ვიზინგერი (22), 1:1 ვან ლეეშოტი (37), 2:1 ჰეკლერი (77), 3:1 მაქსი (90)

### ინტერტოტოს თასი 2001
### ნახევარფინალური ეტაპი

მიუნხენ 1860 (გერმანია) — ნიუკასლი (ინგლისი)
ბაზელი (შვეიცარია) — ლოზანა (შვეიცარია)
ტრუა (საფრანგეთი) — ვოლფსბურგი (გერმანია)
ბლშანი (ჩეხეთი) — ბრეშა (იტალია)
გენტი (ბელგია) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)
რენი (საფრანგეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
პირველი მატჩები — 25-26 ივლისი, საპასუხო — 1-2 აგვისტო

# ქართველებმა ინტერტოტო ტურნირში დაამთავრეს

**გასულ** შაბათ-კვირას იმ თორმეტი გუნდის ვინაობა გაირკვა, უეფას თასის სამი საგზურისთვის რომ გააგრძელებს ბრძოლას ინტერტოტოს გათამაშებაში.

ინტერტოტოს თასის წლევანდელ ტურნირს ქართველები დაემშვიდობნენ. იტალიური „ბრეშას“ ბარიერი ვერ გადალახა ვალერი ზირაქაძის „ტატაბანიამ“. შოთა ჩომახიძის, ვასილ გიგიაძის და გოჩა ტრაპაიძის „ტავრია“ კი ფრანგულმა „პარი სენ ჟერმენმა“ მოინელა.

უკრაინელთა ბედი ფაქტობრივად პირველ მატჩში გადაწყდა, როდესაც სიმფეროპოლში პსჟ-მ დანიელი ჰაინცეს ერთადერთი გოლით იმარჯვა. საშინაო სარბიელის დისკვალიფიკაციის გამო პარიზელებმა ტულუზში უმასპინძლეს „ტავრიას“ და მეათე წუთისთვის საქმეც მოამთავრეს. ოკოჩას და ალოიზიოს გოლებს 62-ე წუთზე ალი ბენარბიამ ერთიც შეჰმატა, მერე კი ალოიზიომ ეფექტური დარტყმით ოთხამდე გაზარდა ანგარიშში სხვაობა და მაშინღა გამოიდეს სტუმრებმა თავი. მათგან საუკეთესო ვასილ გიგიაძეს ორჯერ შეექმნა ანგარიშის დასველების კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ერთხელ თორმეტიოდე მეტრიდან მცირედ ააცილა კარს, შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე კი საგოლედ შემართულ ქართველს ლეტიზი გადაეღობა.

უნგრული „ტატაბანიას“ რიგებში კვლავაც არ გამოჩენილა რუსთაველი ვალერი ზირაქაძე. მის გუნდს შეხვედრის ბოლო თხუთმეტწუთეულში ჰქონდა მატჩის დამატებით დროში გადაყვანის კარგი შანსი, მაგრამ ალიარდისთან თითოჯერ პირისპირ დარჩენილმა ვებერმა და სუვეგეშმა საგოლე მომენტები გაანიავეს.

28 ათასი მაყურებელი „ვილა პარკზე“ ფეხზე დაუდგა პიტერ შმაიხელს. ლეგენდარულმა დანიელმა მეკარემ ჩინებული დებიუტი მოიწყო. მისმა „ასტონ ვილამ“ უპრობლემოდ დაძლია ხორვატული „სლავენის“ წინააღმდეგობა. შმაიხელმა მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა და ფაქტობრივად მთელი 45 წუთის განმავლობაში უსაქმოდ გახლდათ — ბურთი ინგლისელთა საჯარიმოს საერთოდ არ გაჰკარგებია. ამიტომაც იყო, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე დიდმა დანიელმა ხუმრობით რომ თქვა, საოცრად დავიღალეო, სერიოზულად კი განაცხადა: „ბედნიერი ვარ ინგლისში დაბრუნებით. ახლა მივხვდი, რა ძვირფასია აქაური სიტუაცია ჩემთვის“ — რაღა გასაკვირია, დიდი „მანჩესტერის“ ლეგენდარული მეკარე ამ ფრაზამ ერთიორად რომ აამაღლა ალბიონელთა თვალში.

„ასტონ ვილა“ — „სლავენის“ შეხვედრაზე ისიცაა სათქმელი, რომ დიდებულად ითამაშა ბირმინგემელთა კიდევ ერთმა დებიუტანტმა — ჰასან კაჩლულმა. შეუდარებელი იყო უბერებელი პოლ მერსონი. შოტლანდიელ კოლინ ჰენდრის კი, ალბათ, თვითონაც გაუჭირდება იმის გახსენება, თუ როდის გააზერხა ბოლოს დუბლი.



პსჟ — ტავრია. ჯეი-ჯეი ოკოჩა და ვასილ გოგიაძე

მეცხრე წუთზე „ჰერენვენი“ ნახევარფინალში იყო. ამ დროისთვის ჰოლანდიელები უნიჭიერესი მარკუს ოლბოკის გოლით 1:0-ს იგებდნენ და ეს ანგარიში მასპინძელთათვის სავსებით ხელსაყრელი გახლდათ, მაგრამ მერე „ბაზელმა“ სამის გატანა შეძლო და ლურლინგის ერთ საპასუხოს ბევრიც არაფერი შეუცვლია — ნახევარფინალში შვეიცარიელები გავიდნენ. მსგავსი წარმატება ერგო მეორე შვეიცარიულ გუნდსაც — „ლოზანას“ სლოვენიის „პუბლიკუმთან“ უგოლო საშინაო მატჩში მიზნის მიღწევაში სტუმრად გატანილი გოლი შეეშველა.

საპასუხო მატჩიც მოუგო ბელგიურ „ლოკერენს“ „ნიუკასლმა“. „კაჭკაჭებმა“ ახალწვეულ კრეიგ ბელამის ერთადერთი გოლით იმარჯვეს.

საოცრად არ გაუმართლა მინსკის „დინამოს“. ბელარუსებს უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ „ვოლფსბურგთან“ საშინაო მატჩში. მათ მიერ ათამდე საგოლე მომენტის გაცუდება სენტიმენტალურად დამთავრდა — საფინალო სასტვენის მერე აცრემლებული მინსკელები მეტოქის დასაწყნარებელნი გახდნენ.

**ბაატა ძვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექს ფერგიუსონი ვან ბასტენზე ალაპარაკდა
## ეს მას ვან ნისტელროიმ გაახსენა

### ამხანაგური მატჩი

**მალაიზია 0:6 მანჩესტერ იუნაიტედი**

0:1 ვან ნისტელროი (7), 0:2 ბექჰემი (29), 0:3 ვან ნისტელროი (36), 0:4 კოული (46), 0:5 ჩედვიკი (71), 0:6 კოული (78)

**„ვან ნისტელროიმ** ჰოლანდიელი ლეგენდა ვან ბასტენი გამახსენა" — აღიარა ინგლისის ჩემპიონის პირველი აზიური მატჩის შემდეგ დამარცხებულთა მწვრთნელმა ალან ჰარისმა.

27 მილიონად ნაყიდი რუუდ ვან ნისტელროის დებიუტი „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში მართლაც შთამბეჭდავი გამოდგა — ახალ კლუბში პირველი გოლის გასატანად ჰოლანდიელ ფორვარდს შვიდიოდ წუთი დასჭირდა: დუაიტ იორკის ეშმაკური პასი შეირგო და ცაციით დაბალ კუთხეში შეაგდო. კიდევ ერთი, 36-ე წუთზე, რუუდმა კაპიტან როი კინის პასით გაიტანა. ამის გარდა, მალაიზიელმა მეკარემ კიდევ ორჯერ იხსნა კარი მისი დარტყმების შემდეგ, ერთხელ კი, დაწყებიდან 56 წამის შემდეგ, „იუნაიტედის" ახალწვეულმა ბურთი ძელს გაარტყა.

„სადებიუტო შეხვედრაში გოლის გატანა ძალიან მსურდა და მიხარია, რომ მიზანს მივაღწიე. ამხანაგურ შეხვედრაში წარმატებული თამაში ხომ რწმენას შემმატებს" — თქვა ვან ნისტელროიმ, რომელიც ალექს ფერგიუსონმა ასე დაახასიათა: „ზღაპრული მასალა, რომელიც სათანადო დამუშავების შემდეგ უფრო და უფრო დაიხვეწება". შოტლანდიელმა მწვრთნელმა არც მეორე დებიუტანტს, არგენტინელ ხუან ვერონს დაუწუნა გარჯა: „მან მშვიდად, შემოქმედებითად ითამაშა და უბრალო საქმეების კარგად კეთების უნარი დაგვანახა".

შესვენებაზე ფერგიუსონმა ეს ორივე ვარსკვლავი შეცვალა, თუმცა საქმე ამით არ დაზარალებულა — ენდი კოულმა წუთში დაამტკიცა, რომ იოლად დასაჩრდილი სულაც არ გახლავთ და ვან ნისტელროის დარად დუბლი შეასრულა. კიდევ ერთი გოლი ბექჰემის ნაცვლად შესულმა ლუკ ჩედვიკმა შეაგდო. საინტერესოა, რომ ბექჰემი სერ ალექსმა მას მერე შეცვალა, რაც ამან ძველებური გაიხსენა — მიუხედავად იმისა, რომ 68 ათასი დამსწრიდან უმრავლესობა დევიდის მაისურაში გამოწყობილ იყო და მის სახელს გაჰკიოდა, „იუნაიტედის" უპირველესმა ვარსკვლავმა მალაიზიელ ნახევარმცველ ჩო ჩე ვენს ხელის აკვრა არ აპატია და მცირე ძიძგილაობიდან ორიოდ წუთში გაშლილი ფეხებით მიუხტა წაქცეულ მეტოქეს.

ინგლისის ჩემპიონმა, რომელიც მომდევნო მატჩს დღეს სინგაპურში გამართავს, კუალა-ლუმპურში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ***ბარტეზი, გარი ნევილი, სტამი, იონსენი (ბრაუნი 61), ირვინი (ფილ ნევილი 46), ბექჰემი (ჩედვიკი 61), კინი (ბათი 46), ვერონი (სქოულზი 46), გიგზი (ფორჩუნი 61), იორკი (კოული 46), ვან ნისტელროი (სოლსკიაერი 46).***



რუუდ ვან ნისტელროი (შუაში), პირველი მანჩესტერული მატჩი და ორი გოლი

უქმეებზე საწვრთნელი მატჩები სხვა ბრიტანულმა კლუბებმაც გამართეს. შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონმა „რეინჯერსმა", ხვალ ჩემპიონთა თასის მატჩი რომ ელის სლოვენიაში „მარიბორთან", შინ ბელგიის ჩემპიონ „ანდერლეხტთან" 1:2 წააგო, ხოლო ასევე მეორეადგილოსანმა (ოღონდ ინგლისური პრემიერლიგისა) „არსენალმა" სტუმრად მესამე დივიზიონის დებიუტანტი „რაშდენ ენდ დაიმონდსი" 2:0 დაამარცხა. ლონდონელთაგან პირველი გოლი ტიერი ანრიმ შეაგდო, მეორე კი 18 წლის გერმანელმა მორიც ვოლცმა. ორი შეხვედრის გამართვა მოახერხა „ტოტენჰემმა": გლენ ჰოდლის გუნდმა ჯერ „ლეიტონ ორიენტს" მოუგო 2:0 (გოლები საიმონ დევისმა და სერგეი რებროვმა გაიტანეს), მეორე დღეს კი „უიკომბი" სძლია 2:1. ამ მატჩში ლონდონელთა რიგებში პირველად ითამაშა „ლივერპულიდან" ნაყიდმა კრისტიან ციგემ, ზუსტი დარტყმებით კი თავი გამოიჩინეს სტეფან ივერსენმა და კლუბში წლეულს დაბრუნებულმა ტედი შერინგემმა.

**გიგა ძოგახიძე**



ტორპედო — ცსკა. სპარტაკ გოგნიევმა არმიელები გადაარჩინა

# ხმა სამარიდან

### რუსეთი

**XVIII ტური**

**როსტსელმაში 0:0 ჩერნომორეცი**

როსტსელმაში: ბლიზნიუკი, შმარკო, ოსინოვი, ბკოპიანცი, ბესმერტნი, მიკიტინი, კირიჩენკო, ადამოვი (ურაზბახტინი 33), მალიგინი (როგოჩი 57), დაცენკო (სმაკოვი 53), შირშოვი

ხიზანიშვილი სათადარიგო იყო, ხმელიძე დუბლშემადგენლობაში ითამაშა

**როტორი 3:3 სპარტაკი**

0:1 ტიტოვი (24), 0:2 ბარანოვი (45), 1:2 ესიპოვი (48პ), 1:3 რობსონი (49), 2:3, 3:3 ბონდარენკო (81, 89)

სპარტაკი: ლევიცკი, კოვტუნი, მიტრესკი (ანანკო 10), ჩუისე, ბარანოვი, პარფიონოვი, ბულატოვი, რობსონი, ტიტოვი, ციხმეისტრუკი, ბესჩასტნიხი

კახა მშვიდობაძე სათადარიგო იყო, დავით ძოძიაშვილმა დუბლშემადგენლობაში ითამაშა

**კრილია 1:1 ალანია**

1:0 კარიაკა (80პ), 1:1 პაულუ ემილიუ (90)

**დინამო 1:1 ანჟი**

1:0 ხაზოვი (34), 1:1 სირხაევი (43)

**ფაკელი 2:0 ლოკომოტივი**

1:0 შუკანოვი (17პ), 2:0 ორლოვსკი (44)

ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, ობრადოვიჩი, ლეკეტო, იგნაშევიჩი, ჩუგაინოვი (დროზდოვი 61), იზმაილოვი, მამინოვი, ჯანაშია (ბუზნიკინი 46), ლოსკოვი, ობიორა

ვლადიმირ კაკაშვილმა დუბლშემადგენლობაში ითამაშა

**სატურნი 2:2 ზენიტი**

0:1 კერჟაკოვი (25), 1:1 როგაჩოვი (36), 2:1 მოვსესიანი (48), 2:2 ახტაფიევი (78)

**ტორპედო 1:3 ცსკა**

0:1 ლისენკო (36), 1:1 დიევი (75), 1:2, 1:3 გოგნიევი (81, 89)

**ზილ 1:0 სოკოლი**

1:0 პიუკი (86)

**ტურის** მთავარ მატჩში ცსკა-მ თანაქალაქელ „ტორპედოს" მოუგო და ლიდერებს კვალში ჩაუდგა. არმიელები ცხრილში მეხუთე ადგილზე დადგნენ და ლიდერ „კრილიას" მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩებიან.

ჯარისკაცთა რიგებში პირველად ითამაშა საფრანგეთიდან დაბრუნებულმა იანოვსკიმ. დამთავრებამდე 15 წუთი, ანგარიში კი საყაიმო გახლდათ, როცა შეცვლაზე შესულმა ყოფილმა მოსკოვის დინამოელმა და ოსური ფეხბურთის მთავარმა იმედმა სპარტაკ გოგნიევმა ორჯერ გაიტანა და პირველობის დასაწყისში ჩაძირულ ცსკა-ს ლამის საჩემპიონო ამბიცია გაუჩინა.

ლიდერთა ჯგუფის გუნდებმა კი ქულები დაკარგეს. „კრილიამ", სამი ქულა რომ ჯიბეში ეგონა, სულ ბოლოს პაულუ ემილიუს გოლი გაუშვა და „ალანიას" ფრით დაშორდა. არადა, წინა ტურში „ტორპედოსთან" შთამბეჭდავი გამარჯვების მერე ყველა პროვინციული კლუბის ახალ წარმატებას ელოდა. „მეტალურგის" სტადიონზე ბილეთები მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე გათავდა. ეს კი არა, სამარაში ავტობუსები მეზობელი ულიანოვსკიდან, ორენბურგიდან და პენზიდანაც გამოჩნდნენ. ამბობენ, აქა-იქ ყაზახურნომრიან ტრანსპორტსაც მოკრავდით თვალსო...

„კრილია" რუსულ ფეხბურთში გარკვეული სიახლეების დამამკვიდრებლადაც ყალიბდება. აი, „ალანიასთან" სტადიონის მიკროფონთან დიჯეიც დაუსვამთ, რომელიც არა მარტო მატჩის დაწყების, არამედ მისი მსვლელობის დროსაც აქტიურობდა. იქ თამაშის დროს კომერციული ინფორმაციის გავრცელებაა აკრძალული, თორემ ტრიბუნებს რამდენიც გინდა, შეუძახე.

და კიდევ, სამარის სტადიონზე ხმის გამაძლიერებლები დაუდგამთ, რომლებიც ტრიბუნების ხმაურს ერთიორად ომახიანს ხდის და სტადიონზე ისეთი გნიასია, თავი სადმე „მარაკანაზე" გეგონებათ... დაახლოებით ასეთი რამ რამდენიმე წლის წინათ თურმე მოსკოვშიც უცდიათ, მაგრამ მერე მიუვიწყებიათ და აი, ახლა სამარაში აუღორძინებიათ.

სამარელი ჟურნალისტი არნოლდ ეპშტეინი წერს, რომ იქაური ფანები ალბათ რუსეთში ერთადერთნი არიან, თავისი კლუბის პრეზიდენტის დაბადების დღე რომ ახსოვთ. შარშან 22 ივლისს, ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ „კრილიამ" მოსკოვში „სპარტაკს" მოუგო და გამარჯვება იუბილარ პრეზიდენტ გერმან ტკაჩენკოს მიუძღვნა. ქომაგები ამჯერადაც რაღაც განსაკუთრებულს ელოდნენ, მაგრამ ბოლოს ოსებთან ფრეს დასჯერდნენ — მსაჯი ლევნიკოვი უკვე ბოლოჯერ ჩასტვენას აპირებდა, როცა პაულუ ემილიუმ მასპინძელთა საჯარიმოში მიიღო ბურთი და აუღელვებლად გაუტანა მეკარე ლავრენცოვს.

თუმცა, ამ ფრეს „კრილიასთვის" ხელი არ შეუშლია, კვლავაც პირველ ადგილზე დარჩენილიყო, რადგან ვერ მოიგო ვერც „სპარტაკმა", ვერც „ზენიტმა" და ვერც „ლოკომოტივმა".

„სპარტაკი" პირველი ტაიმის მერე ტიტოვისა და ბარანოვის გოლებით ვოლგოგრადში „როტორს" უგებდა, მაგრამ ახალგაზრდა ბონდარენკოს დუბლის წყალობით მასპინძლებმა არ წააგეს. დამთავრებამდე ცხრა წუთი რჩებოდა, სტუმრები 3:1 იგებდნენ და თითქოს საგანგაშოც არაფერი იყო, მაგრამ ბონდარენკომ ჯერ მახვილი კუთხიდან შეაგდო, მერე კი მეკარე ლევიცკისთან პირისპირ გაძრომა მოახერხა და გაათანაბრა.

„სპარტაკის" მწვრთნელმა ვიაჩესლავ გროზნიმ ყველაფერი მსაჯებს დააბრალა: „მაგათ არ მოგვაგებინეს. პირველ ტაიმში ბეზუბიაკის ბრიგადა მეტნაკლებად წესიერად მსაჯობდა, მეორეში კი რაღაც საშინელება იყო. ჯერ ტყუილი პენალტი დაგვინიშნეს, მერე კი დაახლოებით ორმოცჯერ შეცდნენ. ეგებ ძალიან ემოციურად ვლაპარაკობ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. საერთოდ, „სპარტაკს" და „როტორს" ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ, მაგრამ ვოლგოგრადში რატომღაც ყოველთვის ამაზრზენი მსაჯობაა".

ერთი შეხედვით, ტურის ყველაზე მოულოდნელი ამბავი ვორონეჟში მოხდა, სადაც „ფაკელმა" ჩემპიონობის მაძიებელ „ლოკომოტივს" 2:0 მოუგო, მაგრამ თუ სტატისტიკას ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ თავისი ისტორიის მანძილზე რკინიგზელებს არასოდეს მოუგიათ ვორონეჟში... თუმცა ლიდერთა საერთო წაფორხილებამ იური სიომინის გუნდიც გადაარჩინა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია | 18 | 10 | 4 | 4 | 24:10 | 34 |
| სპარტაკი | 18 | 9 | 6 | 3 | 25:16 | 33 |
| ზენიტი | 18 | 9 | 5 | 4 | 29:23 | 32 |
| ლოკომოტივი | 18 | 9 | 4 | 5 | 28:14 | 31 |
| ცსკა | 18 | 8 | 6 | 4 | 23:14 | 30 |
| ტორპედო | 18 | 8 | 5 | 5 | 32:24 | 29 |
| სოკოლი | 18 | 8 | 5 | 5 | 21:23 | 29 |
| სატურნი | 18 | 6 | 6 | 6 | 21:15 | 24 |
| როსტსელმაში | 18 | 6 | 4 | 8 | 16:17 | 22 |
| დინამო | 18 | 5 | 7 | 6 | 22:24 | 22 |
| ანჟი | 18 | 4 | 8 | 6 | 14:15 | 20 |
| ფაკელი | 18 | 5 | 4 | 9 | 18:22 | 19 |
| ალანია | 18 | 5 | 4 | 9 | 17:27 | 19 |
| როტორი | 18 | 4 | 5 | 9 | 20:28 | 17 |
| ზილ | 18 | 4 | 5 | 9 | 13:26 | 17 |
| ჩერნომორეცი | 18 | 2 | 6 | 10 | 9:34 | 12 |

### შვეიცარია

**A ჯგუფი**

**არაუ 1:1 სერვეტი**

1:0 შენკერი (67), 1:1 ორუმა (87)

არაუ: ბენიტო, ეგლიმანი, პეიჯი, სკრზიპჩაკი, ტარონე, მელუნოვიჩი, ფრიდლი, გიგა (ვოლფი 90), შმიდი (შენკერი 65), დე ნაპოლი (ოკპალა 65)

5 400 მაყურებელი

**გრასჰოპერი 6:0 ლუცერნი**

1:0 პეტრიჩი (51), 2:0 ჩაპიუზა (53პ), 3:0 პეტრიჩი (58), 4:0 ნუნესი (68), 5:0, 6:0 ჩაპიუზა (71პ, 90)

**ქსამაქსი 3:0 სენტ გალენი**

1:0 არიფოვიჩი (41), 2:0 მენზა (48), 3:0 ზელვეგერი (67ს.კ.)

**იანგ ბოისი 1:1 ციურიხი**

1:0 ბერიშა (8), 1:1 პალასი (37)

ციურიხი: პასკოლო, მარტინ შტოკლასა, ფიშერი, ჩინაბა, პალასი (ჯანინი 77), ჯამარაული, ჰელინგა, ბაუმანი (ჰელდმანი 46), ბიულმანი, ქაველაშვილი, შასო

მწვრთნელი: ჟორჟ ბრეგი

9 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| სიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:2 | 7 |
| გრასჰოპერი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:6 | 7 |
| ლუგანო | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| არაუ | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| იანგ ბოისი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 6 |
| ქსამაქსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| სენტ გალენი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| სერვეტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ბაზელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:12 | 4 |
| ლოზანა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ლუცერნი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:11 | 1 |

**B ჯგუფი**

III ტური: დელემონი — ვილი 1:3; ლოკარნო — კარუჟი 0:0; ივერდონი — კრინსი 0:0; კონკორდია — ტუნი 0:1; ვადუცი — ბელინცონა 0:1; ვინტერტური — ბადენი 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| ბადენი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ტუნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| კარუჟი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| კრინსი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ვინტერტური | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| დელემონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ბელინცონა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| კონკორდია | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ივერდონი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ლოკარნო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| ვადუცი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

### დანია

I ტური: ბრონდბიუ — ორჰუსი 5:0; სილკებორგი — აკადემისკი 1:1; ვაილე — ლიუნგბიუ 2:2; კოპენჰაგენი — ვიბორგი 2:1

### ფინეთი

XIX ტური: როვანიემი — ჰიკ 0:3; ინტერი — იოკერიტი 1:0; მიუპა — ჯაზი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯაზი | 17 | 1 | 6 | 10 | 11:27 | 9 |
| მიუპა | 19 | 10 | 7 | 2 | 30:15 | 37 |
| ტამპერე | 17 | 11 | 3 | 3 | 30:21 | 36 |
| ჰიკ | 19 | 9 | 8 | 2 | 35:12 | 35 |
| ინტერი | 19 | 9 | 4 | 6 | 29:25 | 31 |
| ჰაკა | 18 | 8 | 5 | 5 | 27:17 | 29 |
| ატლანტისი | 18 | 6 | 6 | 6 | 25:26 | 24 |
| ლაჰტი | 17 | 5 | 5 | 7 | 22:25 | 20 |
| ვაასა | 17 | 6 | 2 | 9 | 20:24 | 20 |
| კუოპიო | 17 | 4 | 6 | 7 | 11:23 | 18 |
| როვანიემი | 18 | 4 | 5 | 9 | 15:25 | 17 |
| იოკერიტი | 20 | 4 | 5 | 11 | 21:36 | 17 |

### ნორვეგია

XV ტური: მოლდე — რუსენბორგი 1:1; ბრანი — ტრომსიო 3:1; ლილესტრიომი — სტრიომსგოდსეტი 7:4; ლინი — სოგნდალი 1:1; ოდ გრენლანდი — ბოდიო გლიმტი 0:5; სტაბეკი — ბრინი 4:0; ვიკინგი — მოსი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილესტრიომი | 15 | 10 | 2 | 3 | 40:21 | 32 |
| ვიკინგი | 15 | 9 | 4 | 2 | 30:17 | 31 |
| სტაბეკი | 15 | 10 | 1 | 4 | 29:21 | 31 |
| რუსენბორგი | 15 | 8 | 5 | 2 | 37:20 | 29 |
| ბრანი | 15 | 8 | 4 | 3 | 38:23 | 28 |
| ოდ გრენლანდი | 15 | 8 | 3 | 4 | 30:20 | 27 |
| მოლდე | 15 | 6 | 4 | 5 | 28:24 | 22 |
| სოგნდალი | 15 | 5 | 3 | 7 | 23:32 | 18 |
| მოსი | 15 | 5 | 1 | 9 | 20:28 | 16 |
| ლინი | 15 | 3 | 6 | 6 | 23:24 | 15 |
| ბოდიო გლიმტი | 15 | 3 | 6 | 6 | 22:26 | 15 |
| სტრიომსგოდსეტი | 15 | 2 | 5 | 8 | 24:43 | 11 |
| ტრომსიო | 15 | 3 | 0 | 12 | 9:30 | 9 |
| ბრინი | 15 | 2 | 2 | 11 | 14:38 | 8 |

### პოლონეთი

I ტური: რუხი — სტომილი 2:1; ვიძევი — ზაგლებე 0:2; პოლონია — გურნიკი 4:1; ოდრა — კატოვიცე 3:1; ოსტროვიეცი — ვისლა 0:1; ამიცა — გროცლინი 3:0; შლიონსკი — ლეგია 1:0; რადომსკო — პოგონი 0:3

### შვედეთი

XV ტური: ჰალმსტადი — იორებრო 3:0; ტრელებორგი — ჰეკენი 0:4; დიურგარდენი — ელფსბორგი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 13 | 6 | 5 | 2 | 22:12 | 23 |
| ჰამარბი | 13 | 6 | 5 | 2 | 18:12 | 23 |
| იორგრიტე | 14 | 6 | 5 | 3 | 21:16 | 23 |
| დიურგარდენი | 14 | 6 | 5 | 3 | 17:14 | 23 |
| მალმიო | 13 | 7 | 1 | 5 | 22:16 | 22 |
| ჰალმსტადი | 14 | 6 | 3 | 5 | 29:17 | 21 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 5 | 5 | 3 | 20:14 | 20 |
| აიკ | 14 | 5 | 4 | 5 | 17:16 | 19 |
| ელფსბორგი | 14 | 5 | 2 | 7 | 20:27 | 17 |
| იორებრო | 14 | 3 | 7 | 4 | 20:22 | 16 |
| ჰეკენი | 14 | 3 | 6 | 5 | 18:21 | 15 |
| ნორჩიოპინგი | 13 | 3 | 5 | 5 | 11:21 | 14 |
| სუნდსვალი | 13 | 2 | 4 | 7 | 8:17 | 10 |
| ტრელებორგი | 14 | 2 | 3 | 9 | 14:32 | 9 |

### ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი. ფინეთი

**I ტური**

**A ჯგუფი**

**ფინეთი 1:1 უკრაინა**

**ჩეხეთი 1:0 იუგოსლავია**

**B ჯგუფი**

**პოლონეთი 4:1 ესპანეთი**

**ბელგია 2:0 დანია**


# იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მიშენებით, დიღმის მასივში, მე-4 კვარტალი, მე-19 კორპუსი, პირველი სართული.

**ფასი შეთანხმებით**

ტელ.: 95-90-32, 39-71-98, 877 42-82-83



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

**არსენალი:** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

**ასტონ ვილა:** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), დანი გარსია (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ბლექბერნი:** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).**

**ბოლტონი:** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).**

**ჩარლტონი:** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი).**

**ჩელსი:** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი).**

**ევერტონი:** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

**დერბი ქაუნთი:** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია).**

**ფულემი:** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი).**

**იფსვიჩი:** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული).**

**ლიდსი:** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

**ლესტერი:** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

**ლივერპული:** იან არმსტრონგი (პორტვეილი), ჯიმი ტრაორე (ბლექბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი).**

**მიდლსბრო:** ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბუ (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **შილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი).**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია).**

**ნიუკასლი:** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი).**

**საუთჰემპტონი:** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

**სანდერლენდი:** კარსტენ ფრედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმეკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელიონი (კანი, საფრანგეთი).**

**ტოტენჰემი:** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), იან უოქერი (ტოტენჰემი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული), ხოსე ანტონიო შამოტი (მილანი, იტალია).**

**ვესტ ჰემი:** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).**

## იტალია

**ატალანტა:** ივან პელიცოლი (რომა), მასიმო დონატი (მილანი), კრისტიან ძენონი (მილანი), დომენიკო მორფეო (ფიორენტინა), სტეფანო გალო (ტერნანა), მარკო ნაპი (ტერნანა), ნიკოლა ვენტოლა (ინტერი), ნილ სივილია (რომა), მაურიციო განცი (თამაში მიატოვა), სტეფანო ლორენცი (კიევო); **ლუკა საუდატი (მილანი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ჯანი კომანდინი (მილანი), ლუიჯი სალა (მილანი), მასიმო ტაიბი (რეჯინა), ალესანდრო რინალდი (რომა), ფაბიანო (ბაია, ბრაზილია), კორადო კოლომბო (ინტერი), პიეტრო ფოლიო (ვენეცია), უსმან დაბო (მონაკო, საფრანგეთი), ანტონიო კალდერონი (მონცა), ლუკა ძინი (პისტოიეზე), დავიდე ნატალი (მონცა).**

**ბოლონია:** ფრანსისკო ლიმა (რომა), ჯონათან ბინოტო (ინტერი), ენცო მარესკა (იუვენტუსი), მარკო როკატი (ნაპოლი), სტეფანო ბია (სენტ ეტიენი, საფრანგეთი); **ფაბიო მაჩელარი (ინტერი), ანტონიო ბელუჩი (ნაპოლი), სტეფანო გორეტი (პერუჯა), პიერპაოლო ძაკარდო (სპეცია), ნიკოლა კოპოლა (ნაპოლი), მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მარკო როკატი (დანდი, შოტლანდია).**

**ბრეშა:** მასიმილიანო კაპუტო (ლივინგსტონი, შოტლანდია), სტეფანო ბიზოლი (პისტოიეზე), ფილიპო გალი (თამაში მიატოვა), ანტონიო მარინო (თამაში მიატოვა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (ინტერი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), დარიო უბნერი (პიაჩენცა); ანტონიო პიზანო (ასკოლი), აურელიო (კოზენცა); **მელვინ ბრაუნი (დერტონა, ავსტრალია), ფრანკო კარაჩიოლო (პრო ვერჩელი), ხორხე სალგადო (დეპორტივო უაჩიპატო, მექსიკა), ნიკოლა გრანდე (ფროზინონე), კარლო მერო (ტერნანა), დავორ იავორჩიჩი (კროტონე), ჯუზეპე ტინონზინი (კოდონო), მარკო ბრონოლი (სან ანჯელო), დარიო დაინელი (ლეჩე), მარკუს შოპი (შტურმი, ავსტრია), ლუკა ტონი (ვიჩენცა), ფედერიკო ჯუნტი (მილანი).**

**კიევო:** სტეფანო კარბონე (პისტოიეზე), კრისტიანო გარძონი (პავია), ჯუზეპე მარკონი (ტერნანა), დავიდე ფრანჩესკინი (რეჯინა), პიეტრო მარკონი (ტერნანა), გაუჩო ბალდი (პესკარა), კარლო ფრეცოლინი (ლეჩე), ნიკოლა ჩიოპრიზი (ლოდიჯანი); **მარკო ძანკეტა (რეჯინა), სტეფანო მარაცინა (რეჯინა), კრისტიანო ლუპატელი (რომა), პიერო რეგროტალიე (მოდენა), კრისტიანო კავალი (კარარეზე), ანჯელო ბრუნო (ნაპოლი), ფრანკო როსი (ფაზანო), სიმონე პეროტა (იუვენტუსი), ალენ დელონი (ბაია, ბრაზილია), სტეფანო ლორენცი (ატალანტა).**

**ფიორენტინა:** მაურო ბრესანი (ვენეცია), სალიუ ლასისი (პარმა), დანიელე ბონორა (პისტოიეზე), მანუელ რუი კოშტა (მილანი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), ენცო ტავანო (ემპოლი); ლუიჯი აგოსტინი (ტერნანა), ენცო ტავანო (რონდინელა); **რობერტო კასანო (ვოგერა), ეზეკელ გონსალესი (როსარიო სენტრალი, არგენტინა), არის ვაკუფცისი (რავენა), დომენიკო მორფეო (ატალანტა), ლუიჯი ბენინი (ტერნანა).**

**ინტერი:** ფაბიო მაჩელარი (ბოლონია), ჯანლუკა ლიძორი (ტერნანა), კორადო კოლომბო (ატალანტა), სტეფანო ფიორე (ტორინო), ადრიან მუტუ (ვერონა), სებასტიან ფრეი (პარმა), ანდრეა პირლო (მილანი), მატეო ფერარი (პარმა), მარკო ფერანტე (ტორინო), ბრუნო ჩირილო (ლეჩე), კრისტიან ბროკი (მილანი), ჯანლუკა ფრეცა (რომა), მარკო ბალოტა (მოდენა); **კორადო კოლომბო (ტორინო), ემრე ბელოზოღლუ (გალათასარაი, თურქეთი), სტეფანო ფიორე (ლეჩე), სალვატორე ფრეზი (ნაპოლი), სტეფანო ლომბარდი (პერუჯა), კრისტიან მენეზესი (ნასიონალი, ურუგვაი), [illegible] მოჰამედ კალონი (ვიჩენცა), მარკო მატერაცი (პერუჯა), [illegible] სერჟიუ კონსეისაუ (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), ნიკოლა ფრაუ (რომა), გრიგორის გეორგატოსი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ანდრეს გულიელმინპიეტრო (მილანი).**

**იუვენტუსი:** რაფაელე ამეტრანო (ნაპოლი), მატეო ბრიგი (ბოლონია), ფილიპო ინძაგი (მილანი), სიმონე პეროტა (კიევო), ჯონათან ბაკინი (პარმა), მარკო ძანკი (პერუჯა), ფაბიო პეკია (ნაპოლი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი), ხუან ესნაიდერი (ტენერიფე, ესპანეთი); **ლილიან ტურამი (პარმა), მარკო ძანკი (ვიჩენცა), რაფაელე ამეტრანო (კროტონე), ჯონათან ბაკინი (ბრეშა), ენცო მარესკა (ბოლონია), ფაბიო პეკია (ნაპოლი), სიმონე პეროტა (ბარი), ნიკოლა ამორუზო (ნაპოლი), პაოლო სკული (კროტონე), მასიმილიანო ვიერი (ანკონა), კრისტიან ძენონი (მილანი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), პაველ ნედვედი (ლაციო), ფაბიო ლივერანი (პერუჯა), დავიდე ბაიოკო (პერუჯა), იაროსლავ სედივეცი (პლზენი, ჩეხეთი), ხუან ესნაიდერი (სარაგოსა, ესპანეთი).**

**ლაციო:** სტეფანო დომიცი (მილანი), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი), ემანუელე პეზარეზი (ბენფიკა, პორტუგალია); **სეზარ როდრიგესი (სან კაეტანო, ბრაზილია), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), ანდრეა კომაცი (მილანი), ივან დე ლა პენია (ბარსელონა, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (პარმა), გაისკა მენდიეტა (ვალენსია, ესპანეთი).**

**ლეჩე:** დარიო დაინელი (ბრეშა), სტეფანო ფისორე (ინტერი), დიეგო ლოტი (აველინო), ანტონიო კონვერნსანო (დი სანგრო), ფილიპო მანიტა (მესინა), ედუსეი (კოზენცა), ნიკოლა ვაზარი (სამპდორია), კრისტიანო ლუკარელი (ტორინო), დარიო ვიალი (ვენეცია); **დიურიკ ვინკლაარი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანსელმო ბილოტი (რავენა), კარლო ფრეცოლინი (კიევო), ბრუნო ჩირილო (ინტერი), ფილიპ ბილი (ლევალუა, საფრანგეთი).**

**მილანი:** ნასიმენტუ ლეონარდო (სან პაულუ, ბრაზილია), ლუიჯი სალა (ატალანტა), ჯანი კომანდინი (ატალანტა), ლუკა საუდატი (ატალანტა), პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ანდრეა რაბიტო (მოდენა), სტეფანო დომიცი (მოდენა), ანდრეა კომაცი (ლაციო), მირკო სადოტი (პესკარა), კარლო ტეოდორანი (ვერონა), კრისტიან ძენონი (იუვენტუსი), მარკო ტოპიჩი (კოტბუსი, გერმანია), მატია გრაფიედი (ნაპოლი), ფედერიკო ჯუნტი (ბრეშა), ზვონიმირ ბობანი (მარსელი, საფრანგეთი), იბრაჰიმ ბა (მარსელი, საფრანგეთი), ანდრეს გულიელმინპიეტრო (ინტერი), ხოსე ანტონიო შამოტი (ტოტენჰემი, ინგლისი); **კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ხავი მორენო (ალავესი, ესპანეთი), მასიმო დონატი (ატალანტა), კრისტიან ძენონი (ატალანტა), ფაბრიციო კოლოჩინი (სან ლორენსო, არგენტინა), სირილ დომორო (ბასტია, საფრანგეთი), ნიკოლა კორენტი (სიენა), დრაჟენ ბრნჩიჩი (ვიჩენცა), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა), ანდრეა პირლო (ინტერი), მასიმო მაკარონე (ემპოლი), სტეფანო დომიცი (ლაციო), მატია გრაფიედი (ჩეზენა), ლუკა დე ძერბი (სალერნიტანა), გაბრიელე ალდეგანი (მონცა), მოჰამედ ალიუ (მონცა), კრისტიან ბროკი (ინტერი).**

**პარმა:** ლილიან ტურამი (იუვენტუსი), ანდრეა დიმპორძანო (უდინეზე), მატეო გუარდალბენი (პიაჩენცა), ადაილტონი (ვერონა), ანტონ სერიჩი (ვერონა), დიეგო ფუზერი (რომა), სალიუ ლასისი (რომა), რაფაელე ლონგო (რომა), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარსიო ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი), მატიას ალმეიდა (ლაციო), ნიკოლა მორა (პიაჩენცა), პაოლო პოჯი (პიაჩენცა); **ემილიანო ბონაცოლი (ვერონა), პაოლო პოჯი (რომა), მარტინ ლაურსენი (ვერონა), ჯოვანი გრიეკო (ჯენოა), სალიუ ლასისი (ფიორენტინა), ჯამპიერო მაინი (ვენეცია), ნიკოლა მორა (ტორინო), ჯუზეპე კარდონე (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პერუჯა), სერგეი გურენკო (რომა), ამადეო მანგონე (რომა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), სებასტიან ფრეი (ინტერი), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), მატეო ფერარი (ინტერი), [illegible]**

**პერუჯა:** [illegible] დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი), ფაბიან გინაზუ (გვადალახარა, მექსიკა), ალესანდრო პიერი (უდინეზე); **ჯონ მაური (სტანდარდი, ბელგია), შაბონე სპანი (კონექტი, ტრინიდადი და ტობაგო), სტეფანო გროსო (კიეტი), ჟაკემინი (სტანდარდი, ბელგია), ჟან გალერი (ანდერლეხტი, ბელგია), ანტონიო კინალი (ვენტელა), რობერტო დი ფრანჩესკო (ინდიპენდიენტე, არგენტინა), ანტონიო ფუზანი (ბრეშელო), მარკო ძანკი (იუვენტუსი), ანდრეა სონჩინი (ვიჯევანო), სეად მუსლიმოვიჩი (უდინეზე), სალვატორე მატრეკანო (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი), ალი შემერეხი (ესტეჯლალი, ირანი).**

**პიაჩენცა:** ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი), პაოლო კრისტალინი (ვიჩენცა), ნიკოლა არტიკო (პესკარა), დავიდე ზიტოლო (პიზა), ფაბიო მატეასი (ვერონა); **პალმიერი (სალერნიტანა), ფაბიო მატეასი (ბრეშელო), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), მატეო გუარდალბენი (პარმა), ანტონიო ნიკოლეტი (რეჯანა), ჯუზეპე კრისტანე (რავენა), პაოლო ორლანდონი (რეჯინა), პაოლო პოჯი (პარმა), ნიკოლა მორა (ტორინო), დარო უბნერი (ბრეშა), ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (ნაპოლი), ამაური (ნაპოლი).**

**რომა:** ეუსებიო დი ფრანჩესკო (პიაჩენცა), ალესანდრო რინალდი (ატალანტა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), პაოლო პოჯი (პარმა), ვინჩენცო დაგოსტინო (ბარი), კრისტიანო ლუპატელი (კიევო), ამადეო მანგონე (პარმა), სერგეი გურენკო (პარმა), რაფაელე ლონგო (პალერმო), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), ნიკოლა ფრაუ (ინტერი), აბელ ედუარდო ბალბო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა); **ფრანსისკო ლიმა (ბოლონია), ივან პელიცოლი (ატალანტა), ანტონიო კასანო (ბარი), ნილ სივილია (ატალანტა), ივან ტომიჩი (ალავესი, ესპანეთი), პაოლო პოჯი (ბარი), დიეგო ფუზერი (პარმა), სერგეი გურენკო (სარაგოსა, ესპანეთი), სალიუ ლასისი (პარმა), რაფაელე ლონგო (პარმა), დავიდე ფრეცა (სავოია), ჯანლუკა ფრეცა (ინტერი).**

**ტორინო:** ჯიბრილ დიავარა (ბოლტონი, ინგლისი), კორადო კოლომბო (ინტერი), სიქსტო პერალტა (ინტერი), ნიკოლა მორა (პარმა), ედუარდო არტისტიკო (კროტონე), რიკარდო მასპერო (დერბი ქაუნთი, ინგლისი), კრისტიან შვოკი (ვიჩენცა); **პიერლუიჯი პოლეტი (აკილა), ანტონიო ბალძარეტი (ვარეზე), ფრანკო (პენიაროლი, ურუგვაი), ეუჯენიო სორენტინო (ვარეზე), სტეფანო ფისორე (ინტერი), მარკო ტირიბოკი (სიენა), ფაბიენ ასტა (ნაპოლი), კრისტიანო ლუკარელი (ლეჩე), დანიელე კომოტო (ვიჩენცა), ფაბიო პეკია (იუვენტუსი), მარკო ფერანტე (ინტერი), სტეფანო ტურკეტი (ანკონა).**

**უდინეზე:** სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯულიანო ჯანიკედა (ლაციო), მორტენ ბისგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), სეად მუსლიმოვიჩი (პერუჯა), მასიმო მარჯოტა (ტერნანა); **ანდრეა დიმპორძანო (პარმა), ნიკოლა ელი (სალერნიტანა), მარტინ კროლდრუპი (აკადემისკი, დანია), ფაბიან მარტინესი (ტოლუკა, მექსიკა), დიკ მეერდინკი (გრააფსხაპი, ჰოლანდია), მაურისიო პინედა (ნაპოლი), ანტონიო სკარლატო (რავენა), ხუან პავონი (ატლეტიკო მორეილა, კოლუმბია), ნიკოლა ბედინი (სამპდორია), სიაბონგა ნომვეტე (კაიზერ ჩიფსი, სამხრეთ აფრიკა), ალესანდრო პიერი (პერუჯა), დიმიტრიოს ნალიცისი (პაოკ, საბერძნეთი), სამუელ კაბალიერო (?, ჰონდურასი), მარკოს პაულუ (კრუზეირო, ბრაზილია).**

**ვენეცია:** ჯამპიერო მაინი (პარმა), ანტონიო მაზიოლო (ლუმეცანე), მარკო ლუპი (თამაში მიატოვა), პიეტრო ფოლიო (ატალანტა), სტეფანო პედონე (კომო), ანჯელო ტოფანინი (პადოვა), კლაუს იბერტსბერგერი (ტიროლი, ავსტრია); **მაურო ბრესანი (ფიორენტინა), ხუან მანულ კარერი (ალიანსე, პერუ), მირკო ცვიტანოვიჩი (ვერონა), სტეფან ბუდანი (ბელინცონა), ჯუზეპე ჯიოკინი (სავოია), ჯიმი ალჟერინო (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), სამუელ დე ფრანჩესკი (სალერნიტანა), პაოლო კულო (ასკოლი), მეტ ბიანკი (პისტოიეზე), დანიელ ანდერსონი (ბარი), დარიო ვიალი (ლეჩე), სტეფანო ბელე (აკილა).**

**ვერონა:** მარტინ ლაურსენი (პარმა), ემილიანო ბონაცოლი (პარმა), [illegible]

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

# გაფრინდაშვილი ახლებს კეთილ საქმეში შეუერთდა



ნონა გაფრინდაშვილი

**„ახალ მემარჯვენეებთან“** ქალთა კლუბი შეიქმნა, რომელიც არაპოლიტიკური ორგანიზაციაა და მიზნად საქველმოქმედო საქმიანობა დაუსახავს. ეს ამბავი ჩვენთვის მაშინ გახდა საყურადღებო, როცა გავიგეთ, რომ კლუბის თავმჯდომარე ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი იქნება.

როგორც ქალბატონმა ნონამ გვითხრა, კლუბის საინიციატივო ჯგუფს ფრიად ფართო პროგრამა შეუმუშავებია, რომელიც გულისხმობს: ზრუნვას უმწეო მოხუცებზე, უპატრონო ბავშვებზე და ასე შემდეგ. პროგრამაში შედის კულტურული ღონისძიებები, უმწეოთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა... პირველი აქცია შაბათისთვის მუშტაიდის პარკში დაიგეგმა, სადაც უპატრონო ბავშვები ვრცელ კულტურულ პროგრამაში მიიღებენ მონაწილეობას.

ქალბატონი ნონას სიტყვებით, იგი სულ ახლახან ჩაერთო კლუბის საქმიანობაში და კეთილშობილურ წამოწყებაში აქტიურ მონაწილეობას აპირებს. მოგეხსენებათ, იგი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტიცაა, მაგრამ ერთი მეორეს არ შეუშლის. კლუბში მას თანათავმჯდომარე ეყოლება და ისინი ერთად წარმართავენ საქმიანობას.

**დავით გულუა**

რაგბი

სამი ერი

# კეიპტაუნში წვიმდა, რენდელი ბოჭავდა...

21 ივლისი. კეიპტაუნი.

**სამხრეთ აფრიკა 3:12 ახალი ზელანდია**

**სამხრეთ აფრიკა:** მონტგომერი, პოლსე, ფლეკი, ტუბერი (კაიზერი 26), ჰოლი, ჯეიმსი, ფან დერ ვესტჰოიზენი; კემპსონი (ლე რუ 66), ფან ბილიონი (სმიტი 69), ფისახი, მეტფილდი (აკერმანი 67), ენდრიუსი, ფენტერი, ფოსი (ფან ნიკერკი 79), სკინსტედი (კაპ.)

1ს: მონტგომერი

**ახალი ზელანდია:** უილსონი (მაკდონალდი 41), ჰოულეტი, უმაგა, ალატინი, ლომუ, ბრაუნი, მარშალი; ჰოვეტი, ოლივერი (კაპ.), სომერვილი, მაქსველი (ჯეკი 69), ფლეველი, ტორნი, რენდელი, კრიბი (ჰოლა 80)

4ს: ბრაუნი

მსაჯი: სკოტ იანგი ავსტრალია)



ტეინ რენდელმა (მარცხნივ) და ანტონ ოლივერმა არც დენ ჰოლი გაატარეს საკუთარ ლელოს და არც დანარჩენი „ქურციკები“

**შაბათს** სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი სანაკრებო ტურნირი დაიწყო. სამი ერის ჩემპიონატის პირველ მატჩში სამხრეთაფრიკელებმა კეიპტაუნში ახალზელანდიელებს უმასპინძლეს და ვერც ვერაფერი მოუხერხეს.

კუნძულელმა მორაგბეებმა, რომლებიც ძალიან თავდაჯერებულად მოქმედებდნენ, განსაკუთრებით დაცვაში, მასპინძელთა გამარჯვების იმედებს ცივი წყალი გადაასხეს. არადა, „ქურციკებმა“ მეტოქეს თითქმის ყველაფერში აჯობეს, გარდა... ანგარიშისა.

„შავებიდან“ ცალკე აღნიშვნის ღირსია ტეინ რენდელი, რომელიც მეტოქეებს დაუღალავად ბოჭავდა და ბოჭავდა, სწორედ მან გადაარჩინა თავისიანები ერთი-ორჯერ იმ მომენტში, როცა აფრიკელთა ლელო თითქოს უკვე გარდაუვალი ჩანდა.

„საკმაოდ ბევრი შებოჭვა გავაკეთეთ, რაც ასეთ მინდორზე იოლი სულაც არაა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ რენდელმა. მინდორს კი „ასეთი“ იმიტომ უწოდა, რადგან ლამის მთელი საღამოს განმავლობაში წვიმდა. ისე კეიპტაუნში თურმე მატჩამდეც მთელი ერთი კვირის მანძილზე უწვიმია და ასეთ პირობებში თამაში ნამდვილად ძალიან გაძნელებული იყო.

სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ორივე გუნდი ჩვეულებრივზე გაცილებით მეტ შეცდომებს უშვებდა და ქულების მოპოვებაც მხოლოდ დამრტყმელებმა შეძლეს. ჩუბინობაში ახალზელანდიელმა ტონი ბრაუნმა აშკარად დაჩაგრა კონკურენტები და გამარჯვებაც მის ნაკრებს დარჩა.

ბრაუნმა ოთხი ცდიდან ოთხივე გამოიყენა და თავისიანებს 12 ქულა მოუტანა. პერსი მონტგომერიმ იმდენივე საჯარიმოდან მხოლოდ ერთი შეაგდო, ბაჩ ჯეიმსმა კი ერთხელ სცადა ბედი, მაგრამ ბურთი ძელებს შორის ვერ გაატარა. ალბათ ამის შემხედვარე ჰარი ფილიუნი ნანობდა კიდეც, რომ ისეთი დამრტყმელი, როგორიც ბრაამ ფან სტრაატენია, შემადგენლობიდან ამოაგდო, მაგრამ რაღა დროს.

დროის უმეტესი ნაწილი „შავები“ თავს იცავდნენ, მაგრამ არც შეტევები ავიწყდებოდათ. მათი კონტრიერიშები ძალიან სახიფათო იყო და „ქურციკები“ ოდენ უდიდესი ძალისხმევის ფასად ახერხებდნენ ჯონა ლომუსა და მისი თანაგუნდელების შეჩერებას.

მასპინძელთა მხრიდან გამოსარჩევი კაცი უდავოდ რობი ფლეკია, რომელმაც დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შუამარბია. ძირითადად იგი აჩერებდა ხოლმე სტუმართა შემოტევებს და თავდასხმაშიც კარგად ირჯებოდა. თუმცა ახალზელანდიელთა ლელოს ხაზამდე რამდენიმე სანტიმეტრი მუდმივად აკლდებოდა ხოლმე.

„ერთი ათჯერ მაინც ვიყავით ლელოსთან რამდენიმე სანტიმეტრში. ბიჭები ძალიან იმედგაცრუებულნი არიან, რადგან „ქურციკის“ მაისურათი წაგება ორმაგად მტკივნეულია. თუმცა ჩვენი თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა შეხვედრის შემდეგ აფრიკელთა კაპიტანმა ბობი სკინსტედმა.

მატჩის აღმოჩენა „ქურციკების“ კვაჭი ლუკას ფან ბილიონი იყო, რომელმაც მრავალჯერ გაჭრა კუნძულელთა დაცვა, მაგრამ ხელით თამაშისას მისი თანაგუნდელების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა ლელოს უნახავი დატოვეს მაყურებლები.

„მეორე ტაიმში აუცილებლად უნდა გვეკეთებინა ეს რისკიანი პასები, რადგან ანგარიშში ჩამოვრჩებოდით. ორი-სამი მათგანი რომ გამოსულიყო, ლელოებსაც გავიტანდით და ახლა შუა ზეიმშიც ვიქნებოდით“ — ასე ახსნა „ქურციკთა“ ერთგვარად ავანტიურისტული თამაში შესვენების შემდეგ სკინსტედმა.

თუმცა მათი პასები არ გავიდა და ზეიმი ახალზელანდიელებმა მოაწყვეს.

მომდევნო ტურში, მომავალ შაბათს ავსტრალია ეწვევა სამხრეთ აფრიკას.

**გაგი გურული**


სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის, აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნა, ურთიერთობების პრობლემების მოგვარება.

მიღება წინასწარ ჩაწერით — **29-26-84.**

კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

**დოცენტი ნატა გელოვანი**

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)



**იყიდება**

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე. 170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით, 150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით



**ტელ: 78 28 77**


ძიუდო

# ვაზაგაშვილს საბერძნეთი მსოფლიოს ურჩევნია

*ხუთშაბათს გერმანიის ქალაქ მიუნხენში ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. საქართველოს ნაკრები გუშინ გაემგზავრა ამ შეჯიბრებაზე. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა მიუნხენში ასეთი გუნდი წაიყვანა: ნესტორ ხერგიანი (60 კგ), დავით მარგოშვილი (66), გიორგი რევაზიშვილი (73), გრიგოლ მამრიკიშვილი (81), ზურაბ ზვიადაური (90), ივერი ჯიქურაული (100), ალექსი დავითაშვილი (მძიმე), რამაზ ჩოჩიშვილი (აბსოლუტური)*

*სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანი, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი გიორგი ვაზაგაშვილი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. მან გუნდის ყველა შეკრებაში მიიღო მონაწილეობა და 66 კგ-ში ადგილი დაზევებული ჰქონდა. როგორც ხედავთ, ვაზაგაშვილი სამიუნხენო გუნდში არ არის. გიორგის შინ, გორში დავუკავშირდით და საქმეში გარკვევა ვთხოვეთ.*

— მსოფლიოს ჩემპიონატზე თავად ვთქვი უარი. რა აზრი აქვს ჩემს ჭიდაობას? ჩემპიონიც რომ გავხდე, ყურადღებას მაინც არავინ მომაქცევს. სიდნეის ოლიმპიადიდან ლამის ერთი წელი გავიდა და იქიდან მოყოლებული ჩემთვის ხელფასი არავის მოუცია. საქართველოში ასე ყოფილა — დამთავრდა ოლიმპიადა, დამთავრდა სპორტი. ჯერ მანამდე რა პირობებში ვიყავი, ახლა კი მთლად ყველამ მიმივიწყა. ათენის ოლიმპიადამდე აქ არაფერი იქნება. 2003 წელს გაახსენდებათ, რომ მომავალ წელს ოლიმპიადაა და ალბათ რაღაცას გააკეთებენ. მე კი ამდენი ცდა აღარ შემიძლია, 27 წლის ვარ, დიდ სპორტში ორიოდ წელი დამრჩენია. მინდა კარიერა საზღვარგარეთ გავაგრძელო და სხვა ქვეყნის სახელით ვიასპარეზო. იქ ნორმალური პირობები მექნება და თუ რამეს მივაღწევ, უფრო დამაფასებენ, ვიდრე საქართველოში.

**— სად აპირებთ წასვლას?**

— საბერძნეთში. უკვე ველაპარაკე იქაური ძიუდოს ფედერაციის და ნაკრების ხელმძღვანელებს. მათ სურთ, საბერძნეთის სახელით ვიჭიდაო, კარგ წინადადებებს მთავაზობენ. წინააღმდეგი არც მე ვარ.

**— საბერძნეთში მალე გაემგზავრებით?**

— ალბათ ძალიან მალე. ჯერ საქართველოში უნდა მოვაგვარო საქმეები. ძიუდოს ფედერაციამ და ოლიმპიურმა კომიტეტმა საბერძნეთში წასვლის და მისი სახელით ასპარეზობის ნებართვა უნდა მომცენ. როცა სათანადო დოკუმენტები ხელთ მექნება, საბოლოოდ მაშინ წავალ.

**— თქვენი გადაწყვეტილება თუ აცნობეთ ძიუდოს ფედერაციას ან ოლიმპიურ კომიტეტს?**

— ჯერ არსად მივსულვარ და ოფიციალურად არავისთვის მიმიმართავს. მხოლოდ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელს ვესაუბრე. დამპირდა, რაც შემეძლება, დაგეხმარებიო. კვირის ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრდება და ფედერაციის და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას მერე დაველაპარაკები. ისე, არა მგონია, უარი მითხრან.

**— არ ჯობდა, მსოფლიოს ჩემპიონატში მიგეღოთ მონაწილეობა. სხვა თუ არაფერი, იქნებ მედალი მოგეგოთ და ბერძნებსაც მეტ მოთხოვნებს წაუყენებდით...**

— სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ საქართველოს სახელით ოფიციალურ შეჯიბრებაზე არ გამოვსულვარ. საერთაშორისო წესის თანახმად, ერთი ქვეყნიდან მეორეში რომ გადადიხარ, ძველი ქვეყნის სახელით ბოლო ნაჭიდავები ტურნირიდან გარკვეული დრო უნდა იყოს გასული. მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა რომ მიმეღო, ათვლა აქედან დაიწყებოდა და დროს დავკარგავდი.

არაუშავს, ერთ მსოფლიოს ჩემპიონატს როგორმე შეველევი. თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მინდა, მომავალ მსოფლიოს უკვე საბერძნეთის სახელით ვიჭიდავებ.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენი ადგილი დავით მარგოშვილმა დაიკავა...**

— დათო ახალგაზრდა და პერსპექტიული ძიუდოისტია. წლეულს ევროპის მეორე პრიზიორიც გახდა. საკმაოდ ძლიერია და დიდი შედეგების მიღწევა შეუძლია. ოღონდ მასაც და სხვებსაც ყურადღება უნდა მიაქციონ და მიხედონ, თორემ, თუ ასე გაგრძელდა, საეჭვოა, აქ ვინმე გაჩერდეს.

**ივანე ერისთავი**



სიდნეიში გიორგი ვაზაგაშვილმა საქართველოსთვის ბრინჯაო მოიპოვა. რომელი ქვეყნის სახელით მოიგებს მომდევნო მედალს?

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

20-21-22 ივლისი

საკრამენტო კინგზი: შეინარჩუნა ფორვარდი კრის ვებერი.
ჩიკაგო ბულზი: შეიძინა უკანახაზელი გრეგ ენტონი (პორტლენდისგან) 2002 წლის დრაფტის მეორე წრის არჩევანის საფასურად.
ლოს ანჯელეს ლეიკერსი: აიყვანა უკანახაზელი მიჩ რიჩმონდი (ვაშინგტონიდან); აიყვანა ფორვარდი სამაკი უოლკერი (სან ანტონიოდან).
ნიუ იორკ ნიქსი: აიყვანა ფორვარდი კლარენს ვეზერსპუნი (კლივლენდიდან).
ტორონტო რეპტორზი: შეინარჩუნა ცენტრი ანტონიო დევისი; შეინარჩუნა უკანახაზელი ელვინ ვილიამსი.
იუტა ჯაზი: აიყვანა ცენტრი ჯონ ამაეჩი (ორლანდოდან).
სან ანტონიო სპურზი: შეინარჩუნა ცენტრი დევიდ რობინსონი.

# მთავარი მეფე ფულს დახარბდა



კრის ვებერი

**„ბევრი** ვიფიქრე, სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი და ბოლოს დავრწმუნდი, რომ აქ დარჩენაზე უკეთესი არაფერი იქნებოდა. ესაა ჩემს კარიერის ყველაზე ღირსშესანიშნავი ეპიზოდი, რომელმაც 1993 წლის დრაფტიც კი დაჩრდილა, სადაც პირველი ნომერი გავხდი. დღეს ბედნიერი ვარ" — წლევანდელი თავისუფალ აგენტთა ბაზრის ყველაზე სასურველ „საქონელს", კრის ვებერს, სიხარული არ დაუმალავს, როცა მან შაბათს ძველ კლუბთან, „საკრამენტო კინგზთან", ახალი კონტრაქტი გააფორმა. ვებერის ახალი კონტრაქტი შვიდწლიანია და მის ჯიბეს ჯამში 122,7 მილიონ დოლარს შემატებს. ვერაფერს ვიტყვით გარდა იმისა, რომ ზღაპრული თანხაა და ეს ჯამში ასალები თითქმის 123 მილიონი ჩამორჩება მხოლოდ კევინ გარნეტის მიერ ოთხი წლის წინ „მინესოტასთან" დადებულ 126-მილიონიან ხელშეკრულებას.

ამ სამი კვირის წინ, როცა ვებერი თავისუფალი აგენტი გახდა, მან მოსვენება დაკარგა: „მირეკავდნენ დღისით, ღამით, ყოველ ხუთ-ათ წუთში. მე და ჩემი აგენტი ხშირად იძულებულნი ვიყავით, ტელეფონი გამოგვერთო, მაშინ ჩემს ახლობლებს აწუხებდნენ. თქვენ იცით, ინდიანაპოლისში „პეისერზის" წარმომადგენლებთან შესახვედრად ჩემი ოჯახის წევრები ჩავიდნენ, რადგან მე ფიზიკურად არ შემეძლო. დღეს, როცა ყველაფერი დასრულდა და ასე კარგად, ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ კვლავ „საკრამენტოში" ვითამაშებ. ეს ისაა, რაც ყოველთვის მინდოდა".

ეგებ ვებერი ახლა მართლაც ბედნიერია (ხუმრობა ხომ არაა 123 მილიონი, რომელსაც მისი ჯიბე ელოდება), აი, რაც შეეხება მის სიტყვებს, „კინგზში" თამაში ყოველთვის მინდოდაო, ეს უფრო ნაძალადევად ნათქვამს ჰგავს, რის დასტურადაც გამოდგება ის, რომ ამ ბოლო სეზონის მიმდინარეობისას ვებერს არაერთხელ უთქვამს, პატარა ქალაქ საკრამენტოში ნაღდად არ ვისურვებდი კარიერის გაგრძელებას, რადგან დიდი ქალაქები მელოდებაო. სწორედ ასეთმა განცხადებებმა ვებერის კართან მთხოვნელთა რიგი დააყენა, რამაც მისი ფასი გაზარდა და „საკრამენტოს" ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, გუნდის ლიდერის შესანარჩუნებლად ნბა-ს მიერ დაშვებული თანხის მაქსიმუმი გაეღო. ვებერის პატარა ქალაქ საკრამენტოში კიდევ შვიდი წლით დარჩენაში ლომის წილი 123-მა მილიონმა დაიდო. ჰოდა, რალა გასაკვირია, ამ ფულის მომავალი მფლობელი თავს ბედნიერად გრძნობს.

ვებერის გადასვლა-არგადასვლაზე ბევრად ნაკლები აჟიოტაჟი გამოიწვია 90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშის, დევიდ რობინსონის ამბავმა. არა იმიტომ, რომ რობინსონი ცუდი კალათბურთელია, არამედ იმის გამო, რომ არავინ ელოდა მის სხვა გუნდში გადასვლას და ამდენად ვებერივით არ შეუწუხებიათ მსურველებს. „სან ანტონიო სპურზში" გატარებული 12 სეზონის შემდეგ „ადმირალმა" კვლავ ამ კლუბს უერთგულა და ამ უქმეებზე ორწლიანი და 20-მილიონიანი ხელშეკრულება დაუდო. ათგზის ოლსტარელი, 1995 წლის უძვირფასესი მოთამაშე და 1999 წლის ჩემპიონი რობინსონი კვლავ სანანტონიოელია, თუმც „სპურზის" მამებს მაინც არა აქვთ საბაბი, საკუთარი თავით კმაყოფილნი იყვნენ. რობინსონის დაყოლიება მათი მხრიდან დიდ ენერგიას არ წაიღებდა. ყველამ იცის, რომ „ადმირალს" გული „დეზებისთვის" უცემს, სამაგიეროდ, ტეხასელებმა ვერ ივაჟკაცეს და დაკარგეს კიდევ ერთი ლიდერი დერიკ ანდერსონი, რომელმაც „პორტლენდი" ირჩია.

ყოფილი მძლავრი მექულე მიჩ რიჩმონდი იმ ოცდაათიოდე კალათბურთელთა შორისაა, ვისაც ნბა-ში ოციათასქულიანი ზღვრისთვის გადაუბიჯებია, თუმც ეს ღირსეული ვეტერანი მიღწევებით ნაღდად ვერ დაიკვეხნის. ამ ზაფხულს იგი სულაც გამოაგდო „ვაშინგტონ ვიზარდსმა", რომელშიც კიდევ ორი წელი უნდა ეთამაშა და ოცი მილიონი აეღო. მაიკლ ჯორდანმა, დედაქალაქელთა პრეზიდენტმა, რიჩმონდს ამ თანხის ნახევარი უბოძა და ოთხივ კუთხივ გზა დაულოცა. 36 წელს მოყრილ რიჩმონდს ახლაღა, კარიერის დაისზე, ეძლევა შანსი რაიმე ღირებულს მიაღწიოს. იგი ერთი წლით აიყვანა ბოლო ორი სეზონის ჩემპიონმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა". ასე რომ, ვინაიდან „ლეიკერსი" კვლავ ჩემპიონობას უმიზნებს, ადვილი მოსალოდნელია, რიჩმონდმა პენსიაზე გასვლისას ხელს ჩემპიონის ოქროს ბეჭედი გააყოლოს.

შარშან „ტორონტო რეპტორზმა" დაკარგა თავისუფალი აგენტი ტრეისი მაკგრეიდი. ეს 20 წლის უპერსპექტიულესი ბიჭი „ორლანდოში" გადავიდა და იქ სუპერვარსკვლავი გახდა. „ტორონტოს" წლეულსაც ემუქრებოდა მსგავსი საფრთხე, „ორლანდო" კანადელთა ძირითად ცენტრს, გუნდის მეორე ლიდერ ანტონიო დევისს სახიფათოდ ეკურკურებოდა, თუმც ამ საფრთხემ „რეპტორზისთვის" მშვიდობიანად ჩაიარა. დევისმა განაახლა კონტრაქტი „ტორონტოსთან". ამ გადაწყვეტილების მიღებაში ოლსტარელ დევისს ის სამოცი მილიონი დოლარი დაეხმარა, რომელიც მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში „ტორონტოს" სალაროდან მის ანგარიშზე გადაინაცვლებს. ასევე „ტორონტოში" დარჩა გუნდის კიდევ ერთი ძირითადი ხუთეულის წევრი ელვინ ვილიამსი. კანადურ გუნდს მანაც რამდენიმეწლიანი ხელშეკრულება დაუდო, მხოლოდ მისი კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა. „ტორონტოც" მოხარულია უნივერსალი მეფარის (დევისი) და უნივერსალი უკანახაზელის (ვილიამსი) შენარჩუნებით და იმის იმედიც აქვს, რომ ამ ორი ვარსკვლავის გუნდში დარჩენა სხვაგან წასვლის სურვილს გაუქრობს „დინოზავრთა" ლიდერს ვინს კარტერს, რომელიც ზუსტად ერთი წლის შემდეგ ხდება თავისუფალი აგენტი. ასე რომ, „ტორონტო" კვლავ იქნება ნებისმიერისთვის ანგარიშგასაწევი მეტოქე.

წლევანდელ თავისუფალ აგენტთა ბაზარს აჟიოტაჟი და ხმაური არ აკლია, თუმც მაინც ნაკლებად ხდება მოთამაშეთა მიგრაცია. თავისუფალ აგენტთა უმრავლესობა საბოლოოდ სხვაგან წასვლას ძველ გუნდში დარჩენას ამჯობინებს.

მცირეოდენთაგან ერთ-ერთი, ვინც გუნდი გამოიცვალა, ექსკლივლენდელი თავდამსხმელი კლარენს ვეზერსპუნია, რომელმაც კარიერის გაგრძელება სხვა გუნდში, კერძოდ კი „ნიუ იორკ ნიქსში" არჩია. პარასკევს ვეზერსპუნმა „ნიქსის" მიერ შეთავაზებულ ხელშეკრულებაზე თავისი ხელმოწერა აღბეჭდა, რაც მას ავალდებულებს, ხუთი წლის განმავლობაში ამ კლუბს უერთგულოს. სანაცვლოდ „ნიუ იორკი" კისრულობს, ამ ხანში ვეზერსპუნს 27 მილიონი გადაუხადოს. „ნიქსი" შესანიშნავი გუნდია. „მედისონ სკვერ გარდენში" თეთრი მაისურათი თამაში ხომ ჩემი ბავშვობის ოცნება იყო" — ამბობს ვეზერსპუნი. თუმც სეზონის დაწყებისას კლარენსს შესაძლოა, გაუნელდეს ახალ გუნდში გადასვლით გამოწვეული სიხარული. „ნიუ იორკს" მის ამპლუაში სამი კალათბურთელი — კურტ ტომასი, ლარი ჯონსონი და ოტელა ჰარინგტონი ჰყავს. ამათგან ვეზერსპუნი თავისი შესაძლებლობებით მხოლოდ უკანასკნელს აღემატება.

„იუტა ჯაზმა" აისრულა ორი წლის წადილი და ხელთ იგდო ექსორლანდოელი თავისუფალი აგენტი, ბრიტანელი ჯონ ამაეჩი. „ორლანდოში" მანჩესტერში დაბადებული და იუტას უნივერსიტეტში დავაჟკაცებული ამაეჩი იოლად დათმო, რადგან ორი დღის წინ პატრიკ იუინგი აიყვანა. თავის მხრივ ბრიტანელის შეძენით გახარებულმა „იუტამ" შესაძლოა, კონტრაქტი აღარ განუახლოს ყოფილ ძირითად ცენტრს, ბებერ ოლდენ პოლინაისს და მომავალ სეზონში ჯონ ამაეჩი ეგებ „იუტას" სასტარტო ხუთეულში, კარლ მელოუნის მხარდამხარ ვიხილოთ.

**ირაკლი ფირჩხილი**

ევროპის კადეტთა ჩემპიონატი

მე-11 ადგილისთვის. 21 ივლისი

## საქართველო 87:85 ხორვატია

## ქართველებმა ხორვატები ბოლო ადგილზე გაამწესეს

**კვირას** რიგაში დასრულდა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი კადეტთა შორის. სლავურ ფინალში იუგოსლავიელებმა მოძმე რუსები იოლად — 55:43 დაამარცხეს და ჩემპიონები გახდნენ. მესამე ადგილისათვის მატჩში კი საქართველოს ნაკრების თანაქვეჯგუფელები იბრძოდნენ. ესპანეთი — ლიტვის მატჩი ფინალზე გაცილებით დაძაბული გამოდგა. პირინეელებმა ბალტიისპირელებს ერთი ქულის სხვაობით — 75:74 მოუგეს და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ. ასე რომ, ტურნირის სამივე საუკეთესო ჩვენი ნაკრების ქვეჯგუფიდანაა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, მან ასპარეზობა ერთი დღით ადრე დაასრულა. ქართველები მეთერთმეტე ადგილისათვის მატჩში ხორვატებს ხვდებოდნენ. დამარცხებული ტურნირის მაჩანჩალა, ბოლო გუნდი ხდებოდა. მეტად დაძაბულ შეხვედრაში ქართველებმა ტურნირზე მეორე გამარჯვება იზეიმეს — 87:85, მეცხრე ადგილზე კი ისრაელის ნაკრები გავიდა, რომელმაც იტალიელებს 80:67 მოუგო.

**ირაკლი ბერტაია**



## მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში

### წყალბურთი. ვაჟები

### პირველი ჯგუფური ეტაპი

**A ჯგუფი**

21 ივლისი

სლოვაკეთი 8:5 ბრაზილია
იუგოსლავია 3:3 იტალია

22 ივლისი

იუგოსლავია 13:5 ბრაზილია
იტალია 11:5 სლოვაკეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 20:9 | 5 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 1 | 0 | 23:14 | 5 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 19:23 | 2 |
| ბრაზილია | 3 | 0 | 0 | 3 | 11:27 | 0 |

**B ჯგუფი**

21 ივლისი

უნგრეთი 11:10 საბერძნეთი
ყაზახეთი 6:4 გერმანია

22 ივლისი

საბერძნეთი 5:4 ყაზახეთი
უნგრეთი 14:7 გერმანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 32:20 | 6 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 23:24 | 2 |
| ყაზახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 13:16 | 2 |
| გერმანია | 3 | 1 | 0 | 2 | 20:28 | 2 |

**C ჯგუფი**

21 ივლისი

აშშ 6:3 კანადა
რუსეთი 9:7 ჰოლანდია

22 ივლისი

რუსეთი 14:6 კანადა
ჰოლანდია 6:5 აშშ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 33:22 | 6 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 23:18 | 4 |
| აშშ | 3 | 1 | 0 | 2 | 20:19 | 2 |
| კანადა | 3 | 0 | 0 | 3 | 13:30 | 0 |

**D ჯგუფი**

21 ივლისი

ხორვატია 8:6 ავსტრალია
ესპანეთი 12:1 იაპონია

22 ივლისი

ავსტრალია 6:5 იაპონია
ესპანეთი 6:4 ხორვატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 26:6 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 20:14 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 0 | 2 | 13:21 | 2 |
| იაპონია | 3 | 0 | 0 | 3 | 8:26 | 0 |

### მეორე ჯგუფური ეტაპი

**E ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 18:13 | 4 |
| იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 14:8 | 3 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 1 | 0 | 10:9 | 3 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 15:15 | 2 |
| ყაზახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 7:12 | 0 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 11:18 | 0 |

**F ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 14:5 | 4 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 19:16 | 4 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 12:12 | 2 |
| ჰოლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 13:14 | 2 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 14:16 | 0 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 0 | 2 | 7:16 | 0 |

*მეორე ჯგუფური ეტაპის მატჩები დღეს დაიწყება. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები გავლენ ნახევარფინალში*



REUTERS

რუსეთი — ჰოლანდია 9:7. რუს დმიტრი გორშკოვს მეცხრე გოლი გააქვს არი ვან დე ბენტეს კარში

### წყალში ხტომა

**ვაჟები**

სინქრონული ხტომები 3მ. ტრამპლინი

1. ბო პენგი, კუნან ვანგი (ჩინეთი) 342.66
2. ჯოელ როდრიგესი, ფერნანდო პლატასი (მექსიკა) 338.49
3. ალექსანდრ დობროსკოკი, დმიტრი საუტინი (რუსეთი) 335.19

**ქალები**

სინქრონული ხტომები 10მ. კოშკი

1. ქინგ დუანი, ხუ სანგი (ჩინეთი) 329.94
2. ევგენია ოლშევსკაია, სვეტალნა ტიმოშინინა (რუსეთი) 306.90
3. ტაკირი მიაზაკი, ემი ოცუკი (იაპონია) 297.00

1მ. ტრამპლინი

1. ბლიტ ჰარტლი (კანადა) 300.81
2. ვუ მინსია (ჩინეთი) 297.57
3. ჯინგ ჟანგი (ჩინეთი) 294.15

### ცურვა

25კმ. ღია წყალში

**ვაჟები**

1. იური კუდინოვი (რუსეთი) 5:25.32
2. სტეფან გომესი (საფრანგეთი) 5:26.00
3. სტეფან ლეკატი (საფრანგეთი) 5:26.36

**ქალები**

1. ვიოლა ვალი (იტალია) 5:56.51
2. ედიტ ვან დიიკი (ჰოლანდია) 6:00.36
3. ანჯელა მაურერი (გერმანია) 6:06.19

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში

# ავსტრალიელებმა ამერიკელების ბატონობა გადააგდეს

**ცურვაზე** გადარეულმა ავსტრალიელებმა საწყლოსნო სახეობათა მე-9 მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში უძლიერესი შემადგენლობით მოიყარეს თავი.

მარინ მესეს აუზმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ძირითადი სარბიელია, მოცურავეთა ასპარეზობის პირველ დღეს სამ ფინალს უმასპინძლა. კვირა დღე მწვანე კონტინენტის წარმომადგენელთათვის ბედნიერი გამოდგა. ამაში უდიდესი წვლილი ცურვის სენსაციად მონათლულ იან ტორპის ტერფებს მიუძღვის. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე სამი ოქროს მომპოვებელმა ოზმა პირველობა არც ფუკუოკას წყალში დაუთმო ვინმეს. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში „დიდი წყლის" სამი მსოფლიო რეკორდის პატრონმა მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ერთი ასეთი შედეგით გამოიჩინა თავი. ტორპმა სიდნეის ოლიმპიადაზე დამყარებული თავისივე მსოფლიოს რეკორდი — 3.40,59 — კიდევ უფრო გააუმჯობესა — 3.40,17. 1998 წელს პერტის მსოფლიოს ჩემპიონატზე 15 წლის ტორპი ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა და სამი წლის მერეც საუკეთესო აღმოჩნდა ამ დისციპლინაში, რითაც მსოფლიოს ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა.

აღსანიშნავია, რომ ტორპის საოცარი კარიერის განმავლობაში ახლანდელი რეკორდი რიგით მეთოთხმეტეა, თუმც ასეთი მიღწევით იგი არც ისე კმაყოფილი ჩანდა. „ცოტა იმედგაცრუებული ვარ. ამ ასპარეზობამ ბედნიერება მომანიჭა, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუ 3.40-ის ზღვარს გადავლახავდი" — განაცხადა ავსტრალიელმა. გაჩემპიონების შემდეგ იგი ნოსტალგიამაც შეაწუხა: „400 მეტრზე ასპარეზობა ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის. ეროვნულ ნაკრებში ჩემი დებიუტი სწორედ ამ დისციპლინაში შედგა, თანაც მაშინ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. მერე მსოფლიო რეკორდი დავამხე, ოლიმპიურ ჩემპიონობას მივაღწიე და შესაძლებლობა მომეცა, ტიტულიც დამეცვა".

თანამემამულეთი მონუსხულ ავსტრალიურ გაზეთებს საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ მისთვის. გუშინდელ ნომრებში ჩვენი ოზი კოლეგები პარალელებს ავლებდნენ თინეიჯერ მოცურავესა და მათთვის სათაყვანებელ დონ ფრეზერს შორის. კერძოდ, ტორპს 14 მსოფლიო რეკორდიდან 10 „დიდ წყალში" დაუმყარებია, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მელბურნის, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ჩემპიონ დონ ფრეზერს კი თოთხმეტჯერვე „დიდ წყალში" გამოუჩენია თავი. თუმცა, არც ასეთი მიღწევა უნდა იყოს შორს.

მოგეხსენებათ, როგორი პოპულარობით სარგებლობს ავსტრალიაში კრიკეტი. ტორპის გამარჯვებამ კი, როგორც იქაური გაზეთები იტყობინებიან, ოზთა მიერ მეორე ტესტ-მატჩში ინგლისელთა ძლევაც კი გააუფერულაო. ასეა თუ ისე, ტორპის ირგვლივ ატეხილი ისტერია არ ცხრება. ან რა გასაკვირია მის თანამემამულეთა ჭკუიდან გადასვლა, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ამომავალ მზის ქვეყანაში იაპონელი გოგონებისაგან თავდასაცავად ტორპს ექვსი მცველი მიუჩინეს. ეგ კი არა, მას შემდეგ, რაც ტორპმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და დასაჯილდოებლად კვარცხლბეკისკენ უხმეს, მისი ერთი ღიმილის დასანახად ზედა ტრიბუნიდან დაძრულ გულშემატკივართა ნაკადმა ლამის დამჭერი მოაჯირი გადაანგრია. დაჯილდოების ცერემონიალისას ოქროს მედალთან ერთად ტორპს მსოფლიოს ჩემპიონატის ავგაროზიც გადასცეს, რომელიც მან გულშემატკივრებს გადაუგდო. მის დასასაკუთრებლად კი ლამის ერთმანეთი დახოცეს.

ასპარეზობის პირველი დღის შედეგით უკმაყოფილო არც გრანტ ჰეკეტი უნდა იყოს. ტორპის თანამემამულემ ამ უკანასკნელთან პაექრობაში ამ დისციპლინის ისტორიაში მეორე, ისე კი პირადი საუკეთესო დრო უჩვენა — 3:42,51. არადა, საწყის 100 მეტრზე ჰეკეტი ლიდერობდა, 200 მეტრიდან კი უკვე ტორპი დაწინაურდა. ამრიგად, ჰეკეტი სიდნეის ოლიმპიადის მსგავსად ფუკუოკაშიც მეორეზე გავიდა.



იან ტორპმა შეჯიბრების პირველ დღეს ორი ოქროს მედალი მოიპოვა

„ახლა იმას ვფიქრობ, ნეტავ, ცოტა ადრე ამელო სტარტი. მომავალში შეიძლება ამაზე ვიმუშაო. თუმც მაინც კმაყოფილი ვარ ცურვით და ჩემი საუკეთესო შედეგით" — იხტიბარს არ იტეხს ჰეკეტი.

მესამეობა კი იტალიელ ევროპის ჩემპიონ ემილიანო ბრემბილას ხვდა — 3.45,51. აპენინელმა ბრინჯაოს მედალს ახლოს არ გააკარა თანამემამულე, სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი მასიმილიანო როსოლინო. იგი მეოთხეზე გავიდა.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა ფინალი ხეირიანად დამთავრებული არც იყო, რომ სტარტზე 4X100 თავისუფალი სტილით მოცურავეებს უხმეს. ისევე როგორც სიდნეის ოლიმპიადაზე, ტორპი აუზს საათნახევარში დაუბრუნდა. ამჯერად როგორც კვარტეტის წევრი.

მიუხედავად იმისა, რომ ოზებს — მაიკლ კლიმს, ეშლი კალუსს, ტოდ პირსონსა და იან ტორპს მსოფლიოს რეკორდი არ გაუუმჯობესებიათ, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ამ დისციპლინაში მათი ბატონობის ჯერი დადგა.

საქმე ისაა, რომ სიდნეის ოლიმპიადამდე 4X100 „თავისუფალ" ესტაფეტაში ყოველთვის ამერიკელები დომინირებდნენ. სიდნეიში ოზებმა მათ აჯობეს და იგივე ფუკუოკაშიც განახორციელეს, რითაც ამერიკელებს 8-ჩემპიონატიანი წაუგებელი სვლა შეაწყვეტინეს. თუმც იანკთა შემხედვარე ვერავინ იტყოდა, რომ ისინი აუცილებლად პირველობას მოიპოვებდნენ. ეგ კი არა, მათ მესამე შედეგი აჩვენეს, თუმც არც ეს შერჩათ. ასპარეზობა ამერიკელთათვის დრამატულად განვითარდა.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ იანკთა ოთხეულში მყოფი მესამე მოცურავე ის არ იყო, ვინც თავდაპირველად შეიყვანეს განაცხადში. ამიტომაც ამერიკელებს დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და შესაბამისად მესამე ადგილიც წაართვეს.

ავსტრალიელებმა მსოფლიო ჩემპიონობით პირველად გაიხარეს. ისტორიული გამარჯვების შემდეგ გახარებული იყო ესტაფეტის დამაგვირგვინებელი იან ტორპიც: „ოლიმპიადების ისტორიაში ერთადერთნი ვართ, ვინც აშშ-ის გუნდი დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონატზეც პირველებმა ეს ჩვენ შევძელით. ეს მეტ რწმენას გვანიჭებს მომავალი ასპარეზობებისთვის. თუმც იმას არ ვამბობ, რომ ამ დისციპლინაში ჩემპიონობას სამუდამოდ დავიკანონებთ. არა მგონია, ავსტრალია ერთადერთი იყოს, ვინც მომავალში ამას შეძლებს. როდესაც ამერიკელები მარცხდებიან, ისინი ყოველთვის უკან დაბრუნებაზე ფიქრობენ".

ისე, ამერიკელთა საბედისწერო შეცდომა რომ არა, გერმანელი სვენ ლოდზიევსკი 19-წლიანი პაუზის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორობას ალბათ ველარც ელირსებოდა. ყოფილმა აღმოსავლელმა, რომელსაც ტიტულები არ აკლია, პირველად გაერთიანებული გერმანიის გუნდის შემადგენლობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პრიზიორიც რომ არ გამხდარიყო, 36 წლის მოცურავისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილის მოპოვებაც წარმოუდგენელი რამაა.

სხვათა შორის, ლოდზიევსკის, ისევე როგორც ტორპს, ესტაფეტის დამაგვირგვინებელი სტადიის დასრულება მოუხდათ. „იგი იმდენად დაწინაურდა, რომ ძლივს ვხედავდი. სამწუხაროდ, გამასწრო" — თქვა გერმანელმა ვეტერანმა.

მიუხედავად ბრინჯაოს მედლის ასეთი გზით მოპოვებისა, ლოდზიევსკი მაინც ბედნიერი ჩანდა: „ამერიკელთა დისკვალიფიკაცია გვეწყინა, მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრათ, ძალიან ბედნიერები ვართ. შედეგი ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე მოველოდით. 36 წლის ვარ და ალბათ ეს ჩემი კარიერის ბოლო პრიზია" — თქვა სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უკრაინელმა იანა კლოჩკოვამ გაიმარჯვა კომპლექსური ცურვის 18 წლის დედოფალს გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასასვლელად 4 წუთი და 36,98 წამი დასჭირდა. გამარჯვების შემდეგ ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა აღნიშნა, რომ მსოფლიოს ჩემპიონის პირველი ტიტული, სიდნეის ოლიმპიადისგან განსხვავებით, „მოსალოდნელზე იოლად" მოიპოვა.

„ოლიმპიადაზე შექმნილი ატმოსფერო და ფსიქოლოგიური დაძაბულობა მასში ასპარეზობას ართულებს. 10 წელიწადი დამჭირდა ვარჯიში, ოლიმპიური ოქრო რომ მომეპოვებინა" — თქვა უკრაინელმა.

სხვათა შორის, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, როდესაც იგი ვერცხლის მედალს დაეუფლა, ამ დისციპლინაში აღარ დამარცხებულა.

ასპარეზობის მეორე დღეს ფინალებში მსოფლიო რეკორდი აღარ დამყარებულა. აი, ნახევარფინალში კი რუსმა რომან სლუდნოვმა გამოიჩინა თავი. 100 მეტრზე ბრასით ასპარეზობისას მან 29 ივნისს, რუსეთის ჩემპიონატზე დამყარებული შედეგი — 59,97 გააუმჯობესა — 59,94. სხვათა შორის, 21 წლის ომსკელი სტუდენტი ერთადერთია, რომელსაც ერთწუთიანი ზღვარი გადაულახავს.

ავსტრალიელებმა — პეტრია ტომასმა და მეტ უელშმა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლობის შემდეგ შვება ფუკუოკას წყალში ჰპოვეს.

ტომასმა როგორც იქნა, თავი დააღწია თანამემამულე სიუზან ონილის ჩრდილს, რისთვისაც 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გამარჯვება დასჭირდა. გარდა ამისა, 25 წლის მოცურავემ პირველობა ჩემპიონატის რეკორდითაც მოიგო — 2.06,73, რითაც ოლიმპიური თამაშებისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს ხუთწლიან ლოდინს დაუსვა წერტილი.

„მინდა გითხრათ, რომ ამისთვის დიდი დრო დამჭირდა. ვგიჟდებოდი, როდესაც ჩემი სახელის გასწვრივ მეორე ადგილს ვხედავდი" — განაცხადა ახლა უკვე დამშვიდებულმა ავსტრალიელმა.

ატლანტის ოლიმპიადაზე და პერტის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტომასს გასაქანს არ აძლევდა „მადამ ბატერფლაიდ" წოდებული სიუზან ონილი. მასთან ჭიდილში მუდამ მეორეზე გადიოდა. სიდნეის ოლიმპიადაზეც მან დაამარცხა.

ტომასის გაჩემპიონებას იოლი გასეირნება არ ეთქმის. იგი გერმანელი თინეიჯერის — ანიკა მელხორნის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა, რაც შედეგიდანაც ნათლად ჩანს — 2.06,97. მესამეზე კი ამერიკელი კეტლინ სანდენო გავიდა — 2.08,52.

ტომასის თანამემამულე მეტ უელშმაც ისარგებლა ამერიკელი მსოფლიოს რეკორდსმენის, ლენი კრეიზელბურგის ფუკუოკაში არყოფნით და 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჩემპიონის გვირგვინიც დაიდგა. თუმც სიდნეის ოლიმპიადაზე კრეიზელბურგის მიერ მეორე ადგილზე გამწესებულმა უელშმა უარყო, მის ოქროზე ამერიკელის არყოფნამ რომ იმოქმედა. მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროთი კი ავსტრალიელმა მამამის 60 წლის იუბილე მიულოცა.

„რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ ლენიც აქ ყოფილიყო, მაგრამ ახლა ამ მოგებით უდიდეს შვებას ვგრძნობ. ოცნება ამისრულდა. ვიცოდი, რომ მსფოლიოს ჩემპიონობა შემეძლო" — განაცხადა უელშმა.

საინტერესოდ წარიმართა 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობაც. ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონის, ანგინით დაავადებული ალექსანდრ პოპოვის მსოფლიოს ჩემპიონატზე არყოფნის გამო, ამ დისციპლინის ფავორიტებს, ამერიკელ ენტონი ირვინსა და ჰოლანდიელ პიტერ ვან დენ ჰოგენბანდს ერთმანეთში მოუწიათ ურთიერთობის გარკვევა. ამ ორთაბრძოლაში კი გამარჯვება ოლიმპიურ ჩემპიონ ენტონი ირვინს დარჩა. რომ არა მისი გამარჯვება, ამერიკელები ასპარეზობის მეორე დღესაც ჩემპიონის გარეშე დარჩებოდნენ. ირვინმა სპრინტერული დისტანციის გაცურვას 22,09 წამი მოანდომა.

აი, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი მასპინძელმაც იყოჩაღა, თუმც მედალი საზიარო გამოდგა. იაპონელმა ტომოჰირო იამანოიმ და სამხრეთაფრიკელმა როლანდ შუმანმა აუზის კიდეს ერთდროულად დაჰკრეს ხელი — 22,18.

**გიგა გურასაშვილი**

**ვაჟები**

**400მ. თავისუფალი სტილი**
1. იან ტორპი (ავსტრალია) 3.40,17
2. გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) 3.42,51
3. ემილიანო ბრემბილა (იტალია) 3.45,11

**4X100მ. თავისუფალი სტილით**
1. ავსტრალია (მაიკლ კლიმი, ეშლი კალუსი, ტოდ პირსონი, იან ტორპი) 3.14,10
2. ჰოლანდია 3.14,56
3. გერმანია 3.17,52

**50მ. თავისუფალი სტილით**
1. ენტონი ერვინი (აშშ) 22.09
2. პიტერ ვან დენ ჰოგენბანდი (ჰოლანდია) 22.16
3. როლანდ შუმანი (სამხრეთ აფრიკა) 22.18
3. ტომოჰირო იამანოი (იაპონია) 22.18

**100მ. გულაღმა**
1. მეტ უელში (ავსტრალია) 54:31
2. ორნ არნარსონი (ისლანდია) 54:75
3. შტეფან დრიეზენი (გერმანია) 54:91

**ქალები**

**400მ. კომპლექსური**
1. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 4.36,98
2. მეგი ბოუენი (აშშ) 4.39,06
3. ბიატრის კასლარა (რუმინეთი) 4.39,33

**200მ. ბატერფლაი**
1. პეტრია ტომასი (ავსტრალია) 2.06,73
2. ანიკა მელხორნი (გერმანია) 2.06,97
3. კეტლინ სანდენო (აშშ) 2.08,52

**100მ. ბრასი**
1. ლუ ზუიჯუანი (ჩინეთი) 1.07,18
2. ლეისელ ჯოუნსი (ავსტრალია) 1.07.96
3. აგნეს კოვაჩი (უნგრეთი) 1.08,50

**800მ. თავისუფალი სტილი**
1. ჰანა სტოკბაუერი (გერმანია) 8.24,66
2. დაიანა მუნცი (აშშ) 8.28,84
3. კეტლინ სანდენო (აშშ) 8.31,45

**4X100. თავისუფალი სტილით**
1. გერმანია (პეტრა დალმანი, ანტე ბუშულტე, კეტრინ მეისმერი, სანდრა ფოლკერი) 3.39,58
2. აშშ 3.40,80
2. დიდი ბრიტანეთი 3.40,80



პეტრია ტომასს დიდი ხნის ნანატრი ჩემპიონობა ეღირსა

სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | |
| 18.30 | 001 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-კიოლნი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 003 | კოტბუსი-ჰამბურგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.30 | 004 | ფრაიბურგი-ვერდერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 007 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| | | **29 ივლისი** | | | |
| 20.30 | 008 | ზტ. პაული-ჰერტა | 2,8 | 3,1 | 2,3 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 ივლისი** | | | |
| 22.00 | 009 | ფიურტი-ობერჰაუზენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 22.00 | 010 | დუისბურგი-ალენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 011 | ზაარბრიუკენი-ვალდჰოფი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **28 ივლისი** | | | |
| 18.00 | 012 | არმინია-ბაბელსბერგი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 18.00 | 013 | აინტრახტი-როიტლინგენი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| | | **29 ივლისი** | | | |
| 18.00 | 014 | უნტერჰახინგი-ბოხუმი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 18.00 | 015 | ალემანია-მაინცი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 016 | კარლსრუე-შვაინფურტი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **30 ივლისი** | | | |
| 23.15 | 017 | უნიონი-ჰანოვერი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.). 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 ივლისი** | | | |
| 22.00 | 018 | პადერბორნი-ოსნაბრიუკი | | | |
| 22.00 | 019 | ბრაუნშვაიგი-ლევერკუზენი (მ) | | | |
| 22.00 | 020 | დიუსელდორფი-ქემნიცი | | | |
| | | **28 ივლისი** | | | |
| 17.00 | 021 | დრეზდენი-ურდინგენი | | | |
| 17.00 | 022 | ფორტუნა-ლიუბეკი | | | |
| 17.00 | 023 | აუე-ვატენშაიდი | | | |
| 17.00 | 024 | კილი-ესენი | | | |
| | | **29 ივლისი** | | | |
| 17.00 | 025 | ვერდერი (მ)-მაგდებურგი | | | |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.). 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 ივლისი** | | | |
| 22.00 | 026 | ტრირი-ბაიერნი (მ) | | | |
| 22.00 | 027 | მანჰაიმი-ელვერსბერგი | | | |
| | | **28 ივლისი** | | | |
| 17.30 | 028 | ანსბახი-ზიგენი | | | |
| 17.30 | 029 | ბურგჰაუზენი-რეგენსბურგი | | | |
| 17.30 | 030 | ვეჰენი-კიკერსი | | | |
| 18.00 | 031 | დარმშტადი-ერფურტი | | | |
| 18.00 | 032 | აალენი-ოფენბახი | | | |
| | | **29 ივლისი** | | | |
| 18.00 | 033 | კაიზერსლაუტ.(მ)-ჰოფენჰაიმი | | | |
| 20.00 | 034 | შტუტგარტი (მ)-ფულდა | | | |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 ივლისი** | | | |
| 23.45 | 035 | ბორდო-ნანტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **28 ივლისი** | | | |
| 20.15 | 036 | პსჟ-ლილი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 037 | ბასტია-სედანი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 038 | ლანსი-ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 039 | ლორიანი-მეცი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 040 | მონაკო-სოშო | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 041 | მონპელიე-მარსელი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 042 | რენი-ოსერი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 043 | ტრუა-გენგამი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | |
| 23.00 | 044 | აიაჩო-ნანსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 045 | ამიენი-ბოვე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 046 | გრენობლი-კაენი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 047 | გენიონი-ნიმი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 048 | ლე მანი-კრეტეი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 049 | ნიცა-ლავალი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 050 | სენტ ეტიენი-ისტრი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 051 | მარტიგი-ნიორი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 052 | ვასკეალი-შატორუ | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 23.00 | 053 | ლე ავრი-სტრასბური | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### ჩეხეთი. 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | |
| 21.15 | 054 | ტეპლიცე-სიგმა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | **29 ივლისი** | | | |
| 19.30 | 055 | იაბლონეცი-ჰრადეც-კრალოვე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 056 | ბანიკი-ჟიჟკოვი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 19.30 | 057 | ბრნო-პრჟიბრამი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.30 | 058 | ბოჰემიანსი-ოპავა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.30 | 059 | სინოტი-ლიბერეცი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.30 | 060 | ბლშანი-სპარტა | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 22.00 | 061 | სლავია-დრნოვიცე | 1,3 | 4,4 | 8,0 |

### პოლონეთი. მე-2 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | |
| 20.00 | 062 | კატოვიცე-ვიძევი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 063 | ზაგლებე-ოდრა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 064 | ვისლა-პოლონია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 065 | გურნიკი-ოსტროვეცი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 066 | ლეგია-ამიცა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 067 | გროცლინი-შლიონსკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 068 | პოგონი-რუხი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 069 | სტომილი-რადომსკო | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. 1-ლი ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | |
| 19.00 | 070 | აბერდინი-რეინჯერსი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 19.00 | 071 | დანდი იუნაიტედი-დანდი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 072 | დანფერმლაინი-მოზერუელი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 073 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 074 | ლივინგსტონი-ჰართსი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 21.35 | 075 | სელტიკი-სენტ ჯონსტონი | 1,2 | 5,6 | 10,0 |

### ავსტრია. მე-3 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივლისი** | | | |
| 22.00 | 076 | ზალცბურგი-ტიროლი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 22.30 | 077 | კერნტენი-რაპიდი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **25 ივლისი** | | | |
| 21.30 | 078 | ბრეგენცი-რიდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 079 | გრაცერი-ადმირა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.30 | 080 | აუსტრია-შტურმი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

### ავსტრია. მე-4 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | |
| 20.15 | 081 | შტურმი-კერნტენი | | | |
| 22.30 | 082 | ადმირა-ზალცბურგი | | | |
| 22.30 | 083 | რაპიდი-ბრეგენცი | | | |
| 22.30 | 084 | რიდი-გრაცერი | | | |
| | | **29 ივლისი** | | | |
| 19.30 | 085 | ტიროლი-აუსტრია | | | |

### შვეიცარია. A ჯგუფი. მე-5 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 ივლისი** | | | |
| 22.30 | 086 | ლუცერნი-იანგ ბოისი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **28 ივლისი** | | | |
| 20.15 | 087 | ციურიხი-ბაზელი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.30 | 088 | სენტ გალენი-აარაუ | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 22.30 | 089 | სერვეტი-ლუგანო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.30 | 090 | სიონი-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. მე-4 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივლისი** | | | |
| 22.30 | 091 | დელემონი-ბელინცონა | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 092 | კარუჟი-ვადუცი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 22.30 | 093 | კრინსი-ბადენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 094 | ლოკარნო-კონკორდია | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.30 | 095 | თუნი-ვინტერთური | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 096 | ვილი-ივერდონი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. მე-5 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | |
| 20.30 | 097 | ბადენი-თუნი | | | |
| 20.30 | 098 | ბელინცონა-კრინსი | | | |
| 20.30 | 099 | კონკორდია-დელემონი | | | |
| 20.30 | 100 | ვადუცი-ვილი | | | |
| 20.30 | 101 | ვინტერთური-კარუჟი | | | |
| 20.30 | 102 | ივერდონი-ლოკარნო | | | |

### დანია. მე-2 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ივლისი** | | | |
| 18.00 | 103 | ორჰუსი-ოლბორგი | | | |
| 18.00 | 104 | მიდტიულანდი-ვიბორგი | | | |
| 18.00 | 105 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | | | |
| 18.00 | 106 | კოპენჰაგენი-ვაილე | | | |
| 20.05 | 107 | აკადემისკი-ბრიონდბიუ | | | |
| | | **30 ივლისი** | | | |
| 22.00 | 108 | ოდენსე-სილკებორგი | | | |

### რუსეთი. მე-19 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 ივლისი** | | | |
| 19.00 | 109 | სპარტაკი-როსტსელმაში | | | |
| | | **28 ივლისი** | | | |
| 17.00 | 110 | ცსკა-როტორი | | | |
| 17.00 | 111 | ჩერნომორეცი-ზილ | | | |
| 17.00 | 112 | სოკოლი-სატურნი | | | |
| 17.00 | 113 | ზენიტი-ფაკელი | | | |
| 17.00 | 114 | ლოკომოტივი-დინამო | | | |
| 17.00 | 115 | ანჟი-კრილია | | | |
| 17.00 | 116 | ალანია-ტორპედო | | | |

### შვედეთი. მე-14 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივლისი** | | | |
| 22.00 | 117 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### შვედეთი. მე-15 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ივლისი** | | | |
| 20.00 | 118 | აიკ-სუნდსვალი | | | |
| 20.00 | 119 | ჰეკენი-ნორჩიოპინგი | | | |
| 20.00 | 120 | მალმიო-ჰალმსტადი | | | |
| | | **30 ივლისი** | | | |
| 22.00 | 121 | ჰამარბი-ტრელებორგი | | | |
| 22.00 | 122 | ელფსბორგი-იორგრიტე | | | |
| 22.00 | 123 | იორებრო-ჰელსინგბორგი | | | |

### ნორვეგია. მე-16 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ივლისი** | | | |
| 21.00 | 124 | ბრინი-ბრანი | | | |
| 21.00 | 125 | მოსი-მოლდე | | | |
| 21.00 | 126 | ოდ გრენლანდი-ლინი | | | |
| 21.00 | 127 | რუსენბორგი-ბოდიო გლიმტი | | | |
| 21.00 | 128 | სოგნდალი-ლილესტრიომი | | | |
| 21.00 | 129 | სტრიომგოდსეტი-სტაბეკი | | | |
| 21.00 | 130 | ტრომსიო-ვიკინგი | | | |

### ფინეთი. 22-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ივლისი** | | | |
| 20.30 | 131 | ატლანტისი-ლაჰტი | | | |
| 20.30 | 132 | ჰაკა-როვანიემი | | | |
| 20.30 | 133 | ჯაზი-ჰიკ | | | |
| 20.30 | 134 | ვაასა-კუოპიო | | | |
| | | **30 ივლისი** | | | |
| 20.30 | 135 | იოკერიტი-მიუპა | | | |

### ნორვეგია. თასის 1/8 ფინალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 ივლისი** | | | |
| 22.00 | 136 | ბოდიო გლიმტი-ვიკინგი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.00 | 137 | ბრინი-მოლდე | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 22.00 | 138 | ჰოდი-ოდ გრენლანდი | 5,0 | 3,6 | 1,55 |
| 22.00 | 139 | ლილესტრიომი-სტრიომგოდს. | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 140 | სოგნდალი-სტარტი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 22.00 | 141 | ტრომსიო-სტაბეკი | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 22.00 | 142 | ვოლერენგა-მოსი | 2,2 | 3,2 | 2,9 |

### ფინეთი. თასის 1/8 ფინალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 ივლისი** | | | |
| 20.30 | 143 | როვანიემი-ტამპერე | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 20.30 | 144 | ჰიკ-ატლანტისი | 1,55 | 3,6 | 5,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. I მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივლისი** | | | |
| 22.00 | 501 | ჰაკა-მაკაბი (ჰ) | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **25 ივლისი** | | | |
| 20.00 | 502 | მოზირი-ინტერი (სლოვაკეთი) | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 503 | სკონტო-ვისლა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 504 | შახტარი-ლუგანო | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 21.00 | 505 | ტორპედო (ქ)-კოპენჰაგენი | ანგარიში | - | 5,0 |
| 22.00 | 506 | ომონია-ცრვენა ზვეზდა | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 22.00 | 507 | ლევსკი-ბრანი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.45 | 508 | გალათასარაი-ვლაჟნია | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| 23.00 | 509 | ანდერლეხტი-შერიფი | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| 23.00 | 510 | სტიაუა-სლოგა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.15 | 511 | ფერენცვაროში-ჰაიდუკი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.35 | 512 | მარიბორი-რეინჯერსი | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| 23.45 | 513 | ბოჰემიანი-ჰალმსტადი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 01.30 | 514 | პორტუ-ბარი თაუნი | 1,05 | 8,0 | 16,0 |

### ინტერტოტოს თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 ივლისი** | | | |
| 20.00 | 515 | ბლშანი-ბრეშა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 21.00 | 516 | გენტი-პსჟ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 517 | ტრუა-ვოლფსბურგი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.30 | 518 | ბაზელი-ლოზანა | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 22.45 | 519 | მიუნხენი-ნიუკასლი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 520 | რენი-ასტონ ვილა | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### კოპა მერკოსური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივლისი** | | | |
| 03.00 | 521 | უნ.კატოლიკა-ვასკო და გამა | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 05.00 | 522 | ინდეპენდიენტე-კრუზეირო | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **25 ივლისი** | | | |
| 22.45 | 523 | სან პაულუ-პენიაროლი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 03.30 | 524 | უნ.დე ჩილე-პალმეირასი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| | | **26 ივლისი** | | | |
| 03.45 | 525 | კოლო კოლო-კორინტიანსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **28 ივლისი** | | | |
| 22.45 | 526 | პალმეირასი-რივერ პლეიტი | | | |
| 01.10 | 527 | გრემიო-უნ.დე ჩილე | | | |
| 03.10 | 528 | ნასიონალი-ოლიმპია | | | |
| 03.10 | 529 | სან ლორენსო-ფლამენგო | | | |
| 05.10 | 530 | ტალიერესი-სან პაულუ | | | |
| | | **29 ივლისი** | | | |
| 19.00 | 531 | კორინტიანსი-ინდეპენდიენტე | | | |
| 21.10 | 532 | პენიაროლი-ველეს სარსფ. | | | |
| 23.10 | 533 | ვასკო და გამა-ბოკა ხუნ. | | | |
| 23.10 | 534 | კრუზეირო-კოლო კოლო | | | |

### ტურნირი ამსტერდამში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **26 ივლისი** | | | |
| 22.00 | 535 | აიაქსი-მილანი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 00.15 | 536 | ვალენსია-ლივერპული | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **28 ივლისი** | | | |
| 21.30 | 537 | ვალენსია-მილანი | | | |
| 23.45 | 538 | აიაქსი-ლივერპული | | | |

### ამხანაგური მატჩები (ავსტრიაში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 ივლისი** | | | |
| 23.00 | 539 | მიუნხენი-არსენალი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| | | **30 ივლისი** | | | |
| 22.00 | 540 | მალიორკა-არსენალი | | | |

### კოპა ამერიკა (კოლუმბიაში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 ივლისი** | | | |
| 05.45 | 541 | მექსიკა-ურუგვაი | | | |
| | | **26 ივლისი** | | | |
| 05.45 | 542 | ნახევარფინალი | | | |
| | | **29 ივლისი** | | | |
| 24.00 | 543 | მე-3 ადგილი | | | |
| 02.30 | 544 | ფინალი | | | |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 ივლისი** | | | |
| 20.00 | 545 | ლიბია-ზამბია | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | **28 ივლისი** | | | |
| 16.30 | 546 | მადაგასკარი-კონგო | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 18.00 | 547 | მალავი-ზიმბაბვე | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| | | **29 ივლისი** | | | |
| 19.30 | 548 | ანგოლა-ტოგო | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 549 | ნიგერია-განა | 1,2 | 3,8 | 6,5 |
| 21.00 | 550 | კოტ დივუარი-კონგო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 551 | სუდანი-სიერა ლეონე | 1,5 | 3,6 | 5,6 |

### იუნიორთა (18 წლ.) ეჩ (ფინეთში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივლისი** | | | |
| 20.30 | 552 | პოლონეთი-ბელგია | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 20.30 | 553 | ესპანეთი-დანია | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | | **25 ივლისი** | | | |
| 20.00 | 554 | იუგოსლავია-ფინეთი | | | |
| 20.00 | 555 | უკრაინა-ჩეხეთი | | | |
| | | **26 ივლისი** | | | |
| 20.30 | 556 | დანია-პოლონეთი | | | |
| 20.30 | 557 | ესპანეთი-ბელგია | | | |
| | | **29 ივლისი** | | | |
| 14.00 | 558 | მე-3 ადგილი | | | |
| 17.30 | 559 | ფინალი | | | |


გურჯაანში

1 აგვისტოს გაიხსნება კროკოს ახალი ბიურო

მისამართი: დავით გურამიშვილის ქუჩა №28

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანა კურნიკოვა და სერგეი ფიოდოროვი ქორწინობანას თამაშობენ

# ქორწინების საიდუმლო

## გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

**გუშინ** ბულვარული პრესის ბრიტანულმა ვეშაპმა „სანმა“ თავის მკითხველებს სენსაციური ამბავი აუწყა — ანა კურნიკოვა და მისი ჰოკეისტი ბოიფრენდი სერგეი ფიოდოროვი ორი კვირის წინ მოსკოვში საიდუმლოდ დაქორწინდნენო.

ჩოგბურთის სექსსიმბოლოს მილიონობით ძლიერი სქესის ქომაგისთვის ესოდენ საწყენ ცნობას „სანმა“ მთელი პირველი გვერდი დაუთმო და თან მეტი დამაჯერებლობისთვის ფიოდოროვის დედისა და მავანი მეგობრის რამდენიმე ციტატაც მოიყვანა.

„ეს ძალიან პატარა და უხმაურო ცერემონია იყო, რომელსაც სულ ხუთი ადამიანი — ნეფე-დედოფლის მშობლები და სერგეის ძმა ესწრებოდნენ. სარეგისტრაციო ოფისი მათ მთელი დღით დაიქირავეს, რომ არავის შეეშალა ხელი, არ სურდათ, რომ მეორე დღესვე მთელ მსოფლიოს გაეგო ეს ამბავი“ — ეს სიტყვები ჰოკეისტის დაუსახელებელ რუს მეგობარს ეკუთვნის.

დეტროიტში მცხოვრებმა ნატალია ფიოდოროვამ შემდეგი განაცხადა: „შესანიშნავი ცერემონია იყო, მიხარია, რომ ანას დედამთილი გავხდი. სერგეი და ანა თაფლობის თვეში მოგზაურობის ნაცვლად შინ, მაიამიში დაბრუნდნენ და თავიანთ სპორტის სახეობებში ვარჯიში განაახლეს“.

ანას ქომაგთა არმიის დამშვიდება გუშინვე ფრიად პატივცემულმა საინფორმაციო სააგენტო „როიტერმა“ ითავა. კომენტარისთვის მან 20 წლის ჩოგბურთელის მამას, მოსკოვში მყოფ სერგეი კურნიკოვს მიმართა და რადიკალურად განსხვავებული ამბავი მოისმინა: „ყელში ამომივიდა ყველა ეს ჭორი ანას ქორწინების შესახებ, შარშან პაველ ბურე, ახლა ფიოდოროვი. ამ წუთისთვის ჩემი ქალიშვილი მაიამიშია და დარწმუნებული ვარ, ძალიან გაუკვირდება, მის შესახებ მორიგ ტყუილს რომ შეატყობინებენ. ანა მოსკოვში შარშან ნოემბრის შემდეგ არ ყოფილა.“

დედამთილს დაუჯერებთ თუ სიმამრს, თქვენი გადასაწყვეტია.

# ბებიების დღე

**შტუტგარტი (გერმანია)**
**„მერსედესის თასი“**
**თიხნარი. საპრიზო 800 ათასი $**

**მეოთხედფინალი: გუსტავო კუერტენი** (1, ბრაზილია) — **ნიკოლას ლაპენტი** (9, ეკვადორი) 6:4, 6:7 (6:8), 6:3; **გილერმო კანასი** (10, არგენტინა) — **ევგენი კაფელნიკოვი** (2, რუსეთი) 4:6, 6:3, 6:3; **ირჟი ნოვაკი** (12, ჩეხეთი) — **გასტონ გაუდიო** (14, არგენტინა) 7:5, 6:7 (5:7), 7:5; **მარკ ლოპესი** (ესპანეთი) — **ალბერტო მარტინი** (13, ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:3

**ნახევარფინალი: კუერტენი** — **ნოვაკი** 4:6, 7:6 (7:5), 7:5; **კანასი** — **ლოპესი** 6:2, 6:2

**ფინალი: კუერტენი** — **კანასი** 6:3, 6:2, 6:4

მსოფლიოს პირველი ჩოგანი გუსტავო კუერტენი თანდათან იმ ნამდვილ სუპერვარსკვლავად ყალიბდება, რომელთა ნაკლებობასაც ვაჟთა ჩოგბურთი ბოლო ხანებში ასე მწვავედ განიცდის. საპენსიო ასაკში მყოფი ანდრე აგასის, პიტ სამპრასისა და პატრიკ რაფტერის გარდა (უიმბლდონზე ტრიუმფის შემდეგ ამ სიაში შეიძლება გორან ივანიშევიჩიც შევიყვანოთ) „გუგა“ ერთადერთი ძლიერი სქესის წარმომადგენელია, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოეძებნება თაყვანისმცემელთა ურდოები.

აყლაყუდა, გაძვალტყავებულმა და ხუჭუჭთმიანმა სამხრეთამერიკელმა გასულ კვირაში შტუტგარტი აიღო შტურმით. კუერტენს ვარჯიშის დროსაც ასეულობით გერმანელი უყურებდა, მატჩების მიმდინარეობისას კი ლამის მთელი ტრიბუნები გულშემატკივრობდა: „აქ თბილი, თითქმის ბრაზილიური ამინდები იყო და ქომაგებმაც თითქმის მშობლიური ატმოსფერო შემიქმნეს. სასიამოვნოა, როდესაც ისინი ასე ერთვებიან თამაშის პერიპეტიებში და ძველებურად, ხმის ამოუღებლად არ სხედან“.

თუ მეოთხედფინალსა და ფინალში „გუგას“ გვარიანად გაუჭირდა მეტოქეების დამარცხება, გადამწყვეტ შეხვედრაში არგენტინელი გილერმო კანასი მან აშკარად დაჩაგრა. ბრაზილიელმა უკანა ხაზიდან მკვლელი ფორჰენდ-ბექჰენდებით დააწიოკა შავტუხა მეტოქე, უსიამოვნო სიტუაციებს კი ეისების დახმარებით დაუძვრა.

„წლეულს თიხნარის სეზონი ბრწყინვალედ განვვლე და ალბათ ვიმსახურებდი, იგი მორიგი გამარჯვებით დამეგვირგვინებინა — აღნიშნა კუერტენმა, რომელმაც საყვარელ საფარზე თებერვლიდან მოყოლებული მეხუთე ტიტული მოიპოვა — მსოფლიოს პირველი ჩოგნობის ტვირთი უკვე აღარ მაწუხებს, ზეწოლასთან გამკლავებას შევეჩვიე. ახლა ჰარდზე გადავინაცვლებ და იმედია, თავს არც იქ შევირცხვენ განსაკუთრებით კი აშშ-ის ღია პირველობაზე მსურს თავის გამოჩენა“.

შტუტგარტის ტრიუმფატორისთვის განკუთვნილი 120 ათასი დოლარის გარდა „გუგას“ ახალთახალი სპორტული „მერსედესიც“ ერგო, თუმცა მასზე გასეირნებით იშვიათად თუ დატკბება. მანქანა ჩოგბურთელმა მაშინვე გერმანული წარმოშობის ბებიას, 78 წლის ოლგა შლონსერს ჩუქა. ქალბატონი ოლგა თავადაც ესწრებოდა ფინალს, დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ კორტზე ჩაინაცვლა და თავისი ახალი კაბრიოლეტის წინა სავარძელზე მოკალათებულმა რამდენიმე საპატიო წრეც დაურტყა მოედანს.

**ამსტერდამი. ჰოლანდიის ღია პირველობა. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**ნახევარფინალი: ალექს კორეჩა** (2, ესპანეთი) — **სხენგ შალკენი** (3, ჰოლანდია) 7:6 (7:4), 6:1, **იუნეს ელ აინაუი** (მაროკო) — **მაგნუს გუსტაფსონი** (6, შვედეთი) 6:4, 7:5

**ფინალი: კორეჩა** — **ელ აინაუი** 3:6, 6:3, 5:7, 7:6 (7:3), 6:4

როლან გაროსის ფინალისტ ალექს კორეჩას მაროკოელი იუნეს ელ აინაუის დასამარცხებლად და სეზონის პირველი ტიტულის მოსაპოვებლად თითქმის ოთხსაათიანი ბრძოლა გადახდა. „სიკვდილს არაფერი მიკლია, მაგრამ თან კმაყოფილი ვარ, რომ ბოლომდე ვიბრძოლე და მოვიგე. პარიზში წაგების შემდეგ იმედგაცრუების დასავიწყებლად ზღვაზე დავისვენე, გემოზე გავერთე და წარმატების მიღწევის წყურვილიც ისევ დამიბრუნდა“ — განაცხადა ესპანელმა. კორეჩასთვის ეს კარიერის მე-15 ტიტული გახლდათ.

**უმაგი. ხორვატიის ღია პირველობა**
**თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $**

**ნახევარფინალი: კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) 6:4, 7:5; **ჟერომ გოლმარი** (5, საფრანგეთი) — **ადრიან ვოინეა** (რუმინეთი) 7:5, 6:3

**ფინალი: მოია** — **გოლმარი** 6:4, 3:6, 7:6 (7:2)

კვირას ბებიები მართლაც რომ დიდ პატივში იყვნენ. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა კარლოს მოიამ ხორვატულ კურორტზე გამარჯვება რამდენიმე დღით ადრე გარდაცვლილი ბებიის ხსოვნას მიუძღვნა.

ამასთან რა კავშირი აქვს, მაგრამ რატომღაც იტყობინებიან, რომ მოიასა და კრუნჩხვებით შეჭირვებული ჟერომ გოლმარის შეხვედრას ხორვატიის, სლოვენიისა და ყაზახეთის პრეზიდენტები ესწრებოდნენ, მოგვიანებით კი დიდი ფოიერვერკიც გაიმართა. ალბათ, რომელიმე ბებოს პატივსაცემად.

**კნოკე-ჰეისტი (ბელგია)**
**SANEX TROPHY**
**თიხნარი. საპრიზო 150 ათასი $**

**ნახევარფინალი: იროდა ტულიაგანოვა** (უზბეკეთი) — **კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) 6:1, 6:4; **მალა ლეონ გარსია** (ესპანეთი) — **მარტა მარერო** (ესპანეთი) 6:4, 6:3

**ფინალი: ტულიაგანოვა** — **ლეონ გარსია** 6:2, 6:3

აგერ, ერთი კვირის წინ იყო, იროდა ტულიაგანოვას დითირამბები რომ ვუმღერეთ და ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების მმართველთა სასარგებლო ჰობები მიმოვიხილეთ. ჰოდა, უზბეკეთის პრეზიდენტის ისლამ ქარიმოვის გულის გასახარად, 19 წლის უზბეკმა ზედიზედ მეორე ტურნირიც მოიგო. განსაკუთრებით აღსანიშნავი ამჯერად ტულიაგანოვას მიერ როლან გაროსის ფინალისტ კიმ კლაისტერსის განადგურება და კლასიფიკაციაში (დაახლოებით) 26-ე ადგილზე მოკალათება გახლავთ.

**ფედერაციის თასი**
**ნახევარფინალური ეტაპი**

**საფრანგეთი 4:1 იტალია**

**შაბათი. ერთეულები: ამელი მორესმო** (საფრანგეთი) — **მარია ელენა კამერინი** (იტალია) 6:4, 6:0; **სანდრინ ტესტიუ** (საფრანგეთი) — **ადრიანა სერაძანეტი** (იტალია) 6:4, 7:5

**კვირა. ერთეულები: მორესმო** — **სერაძანეტი** 6:2, 6:0; **ტესტიუ** — **კამერინი** 6:3, 6:1; **წყვილები: ჯულია კასონი და რობერტა ვინჩი** (იტალია) — **ნატალი დეში და ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) 6:4, 2:6, 6:4

**გერმანია 1:4 არგენტინა**

**შაბათი. ერთეულები: ანკე ჰუბერი** (გერმანია) — **მარია ემილია სალერნი** (არგენტინა) 4:6, 6:2, 6:1; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — **ბარბარა რიტნერი** (გერმანია) 3:6, 6:3, 6:2

**კვირა. ერთეულები: სუარესი** — **ჰუბერი** 6:4, 3:6, 12:10; **სალერნი** — **რიტნერი** 6:2, 6:7 (7:9), 6:3; **წყვილები: კლარისა ფერნანდესი და ლაურა მონტალვო** (არგენტინა) — **ბიანკა ლამადე და ანდრეა გლასი** (გერმანია) 6:4, 5:7, 6:2

**სლოვაკეთი 2:3 რუსეთი**

**კვირა. ერთეულები: ჰენრიეტა ნაგიოვა** (სლოვაკეთი) — **ლინა კრასნოროუცკაია** (რუსეთი) 6:4, 6:3; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — **დანიელა ჰანტუჩოვა** (სლოვაკეთი) 6:2, 7:6 (8:6); **დემენტიევა** — **ნაგიოვა** 6:3, 7:6 (9:7); **ჰანტუჩოვა** — **ელენა ლიხოვცევა** 6:1, 6:3

**ორშაბათი. წყვილები: ლიხოვცევა და ნადია პეტროვა** — **ნაგიოვა და კარინა ჰაბსუდოვა** 6:3, 6:2

**ავსტრალია 4:1 შვეიცარია**

**შაბათი. ერთეულები: ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — **მირიამ კაზანოვა** (შვეიცარია) 6:3, 6:1; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — **დანიელა კაზანოვა** (შვეიცარია) 6:3, 6:1

**ორშაბათი. ერთეულები: მ. კაზანოვა** — **მოლიკი** 7:6 (7:3), 6:4; **პრატი** — **ალინორ ტრიჩერი** 6:1, 6:2; **წყვილები: რეიჩელ მაკქუილანი და ევი დომინიკოვიჩი** — **ტრიჩერი და დ. კაზანოვა** 6:3, 6:3

ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის, ფედერაციის თასის ნახევარფინალურ ეტაპზე გამარჯვებული გუნდები — საფრანგეთი, არგენტინა, რუსეთი და ავსტრალია 5-11 ნოემბერს მადრიდში ფინალურ ტურნირზე წინასწარ ადგილდაბევებულ ესპანეთს, აშშ-ს, ჩეხეთსა და ბელგიას შეუერთდნენ.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS

იროდა ტულიაგანოვამ ზედიზედ მეორე ტურნირი მოიგო



AP

გუსტავო კუერტენი მორიგი ტრიუმფის შემდეგ გრილდება





ვიშვანათან ანანდი

# ანანდი პირველია... ბოლოდან!

**ამასაც** მოვესწარით, ფიდეს მსოფლიო ჩემპიონი, საჭადრაკო თვალსაზრისით გაფურჩქვნის ასაკში მყოფი ვიშვანათან ანანდი ტურნირზე ბოლო ადგილს იკავებს. თავიდან ბოლომდე გასაკვირი იყო მისი გულგაცივება, როცა რიგ პარტიებში შუაგზაზე სთავაზობდა მეტოქეებს ყაიმს. ეს თეთრებით, შავებით კი მუდამ გასაჭირში იყო და თავის დასაძვრენს ეძებდა. მე-8 ტურში ინდოელს სამაგალითოდ გაუსწორდა ვესელინ ტოპალოვი, მერე კი ვლადიმირ კრამნიკმა აუგო წესი უპრინციპულეს პარტიაში.

ტოპალოვთან ანანდს თეთრები ჰყავდა. დებიუტიდან გამოსვლისას ინდოელის ფიგურები ყველა პუნქტში მყარად იდგნენ და ვიშიმ როგორც კი მარწუხები ცოტათი მოუჭირა, ტოპალოვს კრიტიკული დღე დაუდგა, მაგრამ სულ ეს იყო. ანანდმა ინიციატივის შემდგომი გაღვივებისთვის არაფერი იღონა, ბულგარელი კი კბილებით ეჭიდებოდა თავის შანსებს და ლაზიერთა გაცვლის წინ დადგინდა, რომ საკვანძო f2 პუნქტზე შავები დომინირებენ. მე-40 სვლის ამბავს მოგახსენებთ და 44 სვლა კიდევ გაკეთდა, მერე ანანდმა საათი გააჩერა, ტოპალოვი კი ეული ლიდერი გამხდარიყო კრამნიკის სიმშვიდის გამო. „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ ჩემპიონს იმ ტურში ადამსთან ჰქონდა ყველაფერი — ინიციატივა და უკლებლივ ყველა ცოცხალი ფიგურა და პაიკი, მან კი მე-18 სვლაზე მეტოქეს საყაიმო წინადადებით მიმართა (?!). ადამსს უარი არ უთქვამს, რადგან დორტმუნდში ის რაღაც ვერ იყო, მაგრამ უფრო ვერ იყო ანანდი, რომელიც ტოპალოვის შემდეგ ახლა კრამნიკს დანებდა სრულებით. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ინდოელს ერთი სული ჰქონდა, ტურნირი დამთავრებულიყო. კრამნიკთან იგი ისე ჩქარა თამაშობდა, სწრაფი ჭადრაკი გეგონებოდათ. რუსმა ჩემპიონმა ინდოელ კოლეგას თავის კლასიკურ სტილში, ცენტრიდან შეუტია, პოზიცია დაუნგრია და მატერიალური უპირატესობა მიიღო, მერე კი გამოიყენა. იქით ალექსანდრ მოროზევიჩმა დორტმუნდის მეორე საბრალოს, ადამსს მოუგო და საერთოდ, ყაიმებზე მეტი მოგება-წაგებები დაუგროვდა, როგორც სჩვევია ხოლმე. სულ სხვანაირად ჩანდა მეორე ახალგაზრდა, პეტერ ლეკო, რომელიც დღითი დღე ემსგავსება კომპიუტერს. „როცა ლეკომ პირველ ტურში ტოპალოვს მოუგო — წერს რუსი კომენტატორი მარკ გლუხოვსკი — ვხუმრობდით, ახლა მან ცხრა ყაიმი უნდა გააკეთოს და გეგმას შეასრულებსო. ვხუმრობდით კი არა“... ლეკომ ცხრა ყაიმი გააკეთა, რაც სუფთა მესამე ადგილს ნიშნავდა.

სუპერტურნირი მორჩა. დადგინდა გმირი (ტოპალოვი) და ანტიგმირი (ანანდი). საბოლოო შედეგები ბოლოში იხილეთ.

**დავით გულუა**

**1-2. ვლადიმირ კრამნიკი** (რუსეთი), **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) 6,5; **3. პეტერ ლეკო** (უნგრეთი) 5,5; **4. ალექსანდრ მოროზევიჩი** (რუსეთი) 5; **5. მაიკლ ადამსი** (ინგლისი) 3,5; **6. ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) 3

**მატჩი. რობერტ ჰიუბნერი — „დიიპ ფრიცი“** 3:3

**მატჩი. არკადი ნაიდიჩი** (გერმანია) — **ალმირა სკრიპჩენკო-ლოტიე** (მოლდოვა) 7:3.

GOLDEN LEAGUE

## ოქროს ლიგა. IV ეტაპი (მონაკო)

Herculis

# სეკელის ნაბიჯი დარჩა

# ოლიმპიური ჩემპიონი ნაკრებიდან გააძევეს

**ჰიშამ ელ გურუჯისა** და ნოა ნგენის პირველი შეხვედრა სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ და ამ უკანასკნელის ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოკვეთა, მორის გრინი და მარიონ ჯონსი — ეს ყველა და ყველაფერი ხვალინდელ „სარბიელში“ ნავარაუდევი წერილის მთავარი თემა იქნება, რომელშიც „ლონდონის გრან პრიზე“ ვისაუბრებთ, მაგრამ მანამდე მონაკოს სამთავროში „ოქროს ლიგის“ მეოთხე ეტაპი შედგა. ახლა ამაზე მოგახსენებთ.

50 კილო ოქროს ყველაზე საიმედოდ რუმინელი ვიოლეტა ბეკლია-სეკელი მიუახლოვდა, რომელიც მაქსიმუმით მოძრაობს: ოთხი ეტაპიდან ოთხივე მოიგო. მონაკოში სეკელიმ 1500 მეტრის მეტი წილი ზურგში ირბინა და ულმობლად ამუშავა რუსი ნატალია გორელოვა. გორელოვამ ვერ მოახერხა სხვების დროებით წინ გაშვება და ტაქტიკურად წაგებული დისტანციის ბოლო 50 მეტრზე სეკელის სპრინტს ხელი ვეღარ შეუშალა. ტყუილად ირბინეს პორტუგალიელმა კარლა საკრამენტომ და ამერიკელმა სიუზი ფევორ-ჰამილტონმაც. ახლა სეკელი ერთადერთია 4 გამარჯვებით, ხოლო 3 ეტაპის მომგები ანდრე ბუხერი გახლავთ. შვეიცარიელმა მონაკოში ერთხელაც გაუსწრო რუს იური ბორზაკოვსკის, „ყუმბარამ“ „რაკეტას“ ისევ აჯობა. მიჩენილი 800 მეტრის ნახევარი, ანუ პირველი წრე, ცხადია, შვეიცარიელის უპირატესობით გაილია. იგი ფეხდაფეხ მისდევდა „კურდღელს“ და ზურგში ბურუნდელი ჟან პატრიკ ნდუვინამას სუნთქვა სცემდა. ბორზაკოვსკი ტრადიციულად ჩამორჩა და მეორე წრის დაწყებისთანავე უმატა სისწრაფეს. ზედიზედ გაუსწრო აუტსაიდერებს, მერე ნდუვინამას და ბუხერთან კი ვერაფერი გააწყო, მაღალი შვეიცარიელი გრძელი ნახტომებით მიქროდა ფინიშისკენ და ბორზაკოვსკის წამის მეოთხედით აჯობა. მისი 1.42,90 შვეიცარიის ახალი რეკორდი ყოფილა.

„ჩემი თავის ისე მჯერა, მეტი არ შეიძლება — თქვა ბუხერმა — გამორჩეულ რამეებს ვაკეთებ: წლეულს 4 სეზონის რეკორდი დავამყარე და ახლა ეროვნულიც. მსოფლიოს ჩემპიონატზე საკმაოდ კარგი განწყობით ჩავალ, ოღონდ ჯერ კალგარის უნდა ვეწვიო სავარჯიშოდ“.

კალგარიდან ედმონტონამდე მხოლოდ 400 კილომეტრია. ბუხერი, ალბათ, სრულებით ადაპტირებული ჩავა მსოფლიო პირველობის სარბიელზე, მონაკოში კი ეს პრობლემა არავის აწუხებდა, დროსტარების ქალაქში მძლეოსნები უმალ გაშინაურდნენ და ორი მათგანი, ალენ ჯონსონი და ტერენს ტრამელი, პროფესიულ საქმეთა კეთებამდე კატერების მართვაში გაიწაფა. ჯონსონი 1000-კუბურსანტიმეტრიან სუპერბაიკს მოახტა და კლასი უჩვენა, რადგან ამგვარივე ტრანსპორტი შინ ჰყავს, სამხრეთ კაროლინაში. ტრამელი ხამი ყოფილა და ცოტა რამ ისწავლა. მეორე დღეს ისინი ბილიკებზე შედგნენ და მოწყვეტით გაქანდნენ თარჯებისკენ. ტრამელმა რატომღაც ამ საქმეშიც ვერ ივარგა, როცა ჯონსონი გარბოდა და ხტოდა თავაწყვეტით. იმავე დღეში იყო ოლიმპიური ჩემპიონიც, კუბელი ანიერ გარსია და დუელი მძაფრი გამოდგა. როგორც სპრინტისას ხშირად ხდება, ფოტოფინიში მოიშველიეს. ჯონსონმა წამის მეასედით გაიმარჯვა და გაიხარა. „ძალიან დაძაბული რბოლა გამოვიდა — აღნიშნა მან — გარსიას ფინიში ჩემზე კარგად ეხერხება და ახლაც ვგრძნობდი, რომ მეწეოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ბოლომდე ვერ დამეწია. არ ვფიქრობ, რომ ედმონტონში ჩემპიონობის კანდიდატები მხოლოდ ჩვენ ორნი ვიქნებით. კონკურსი დიდი იქნება“.

კვლავ ხტუნვა-სირბილზე და ამჯერად ვახსენებთ კენიელ უილსონ ბოიტ კიპკეტერს, რომელსაც სახელოვანი მოგვარისა და სეხნიისგან განსხვავებით, დანიის მოქალაქეობა არ მიუღია და აგერ 31 წლის გახდა სამშობლოს სამსახურში. კიპკეტერი წლევანდელ სტიპლჩეიზებზე უაღრესად ნაყოფიერად მოქმედებს: „ოქროს ლიგასა“ და „გრან პრიზე“ სადაც ირბინა, თითქმის ყველგან მოიგო და უცნაური ხალხია კენიელები — ნაკრებში არც ოლიმპიური ჩემპიონი შეიყვანეს (ნგენი) და არც ეს კაცი, წლეულს ყველაფრის მომგები. თუმც კიპკეტერმა თავს დააბრალოს: თავისი ქვეყნის შესარჩევ ტურნირზე მხოლოდ მე-7 იყო და საერთაშორისო აღიარებამ ვერ უშველა, რადგან კენიელებმაც კარგა ხანია, შეიგნეს — კანონი კანონია.

თუ ხმამაღლა ვიტყვით, მონაკოში კიპკეტერი სწორუპოვარი იყო. ტლაპოებში ტოპვამ იგი წუთითაც ვერ მოღალა და ყოველგვარი ტაქტიკის გარეშე 3000 მეტრი პირველმა ამოწურა. რა ტაქტიკა უნდოდა, როცა წინ თავიდანვე გავარდა და ტემპი საერთოდ არ დაუგდია. უახლოეს მდევრად მორბენალი მისი თვისტომი, მისოი კიპკურუი კარგა 5 წამის შემდეგ გადავიდა ფინიშზე.

400 მეტრზე ვაჟთა თარჯრბენში გამოირჩა დომიკელთა რესპუბლიკელი ფელიქს სანჩესი, რომელმაც დაამტკიცა, რომ კარიბის აუზში ყველა კუნძულზე ფეხმარდი ხალხი ცხოვრობს (იამაიკელები, ბაჰამელები, ბარბადოსელები, ტრინიდადელები და ჰაიტელები ხომ ადრეც განთქმულნი იყვნენ). სანჩესის 48,46 წამი ერთობ მოსაწონი შედეგი გახლავთ, ხოლო ქალთა 400 მეტრზე ირბინა არწივისსახიანმა ანა გევარამ მექსიკიდან, რაც ხშირად არ ხდება. მექსიკელი დარბის ცოტას და შედეგიანად. გევარამ უახლოეს მდევარს 3 მეტრით გაუსწრო და გაიმარჯვა.

საშუალო 800 მეტრზე ქალებში არ ირბინა ავსტრიელმა შტეფანი გრაფმა, რომელიც „ოქროს ლიგის“ ადრეული სამი ეტაპის მოგებით 50-კილოიანი ჯეკ-პოტის კანდიდატებში მყარად ურევია. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოზამბიკელმა მარია მუტოლამ, რომელიც წლეულს გრძელკანჭება გრაფისგან საჩინოდ იჩაგრება, ეს გარემოება გამოიყენა და გაიმარჯვა. მუტოლას ძლიერ გაუჭირდა. ვეტერანი მოზამბიელი ცხარე წინააღმდეგობას წააწყდა ბრაზილიელი ფაბიანა დუშ სანტუშისგან, კინაღამ ფოტოფინიში გახდა საჭირო, რომ მუტოლას გამარჯვება აღრიცხულიყო — მან ბრაზილიელს 5 მეასედი წამითღა გაუსწრო.

საერთოდ, ვეტერანებს მონაკოში უმართლებდათ. 34 წლის კენიელმა ედიტ მასაიმ 3000 მეტრი დიდი უპირატესობით მოიგო და ეს ვინღაა?.. „სარბიელში“ უკვე თურქ მძლეოსნებსაც ვახსენებთ, კერძოდ, ებრუ კავაკლიოღლუს, რომელიც მეორე იყო და სამშობლოს რეკორდიც დაამყარა, თუმცა 4 წამით ჩამორჩა მასაის, ვისთვისაც ეს ერთ კვირაში მოგებული „ოქროს ლიგის“ მეორე ეტაპი გახლდათ. და კიდევ: არც მასაი ირიცხება კენიის იმ ნაკრებში, რომელიც ედმონტონის მსოფლიოს პირველობაზე გამოვა.

საბრალო ატო ბოლდონი! წინა ეტაპის მოგებამ, ეტყობა, იმდენად დააკმაყოფილა, რომ მონაკოში მისი სირბილი სირბილის მეტი ყველაფერი იყო. არც ამჯერად ჰყოლია ტრინიდადელს პრინციპული მეტოქეები (გრინი ლონდონში იყო), მაგრამ ზედიზედ გაუსწრეს ვარჯიშის ამხანაგმა ბერნარდ უილიამსმა, ჯონ დრამონდმა, კერტის ჯონსონმა და კიდევ ერთმა, ამიტომ მეხუთე ადგილზე გავიდა გლახაკური შედეგით — 10,23 წამი.



REUTERS მონაკოდან

კრისტი გეინსი 100 მეტრის მოგებას ზეიმობს

ჭოკით ხტომაში ინტერესს აღძრავდა ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონის, ნიკ ჰაისონგისა და რუსი მაქსიმ ტარასოვის ჭიდილი, მაგრამ რუსული წარმოშობის ავსტრიელმა დმიტრი მარკოვმა 5,95 მეტრი დასძლია და გაიმარჯვა. ჰაისონგი მესამე იყო, ტარასოვმა ფეხი მოიტეხა. საავადმყოფოდან იტყობინებიან, რომ მას ედმონტონგში აღარაფერი ესაქმება.

ამით ვითომ წერილი უნდა დაგვესრულებინა, მაგრამ ტექნიკური შედეგების თვალიერებისას შევნიშნეთ, რომ კენიელებს „რატომღაც“ 1500 მეტრი ვერ მოუგიათ. მათთვის პორტუგალელ რუი სილვას გაუსწრია. საერთოდ, სტატისტიკის კითხვა სასარგებლოა, ბევრ რამეს აღმოაჩენს კაცი. ამიტომ, ინებეთ...

**დავით გულუა**

**ვაჟები**

ჭოკი: 1. დმიტრი მარკოვი (ავსტრია) 5,95; 2. დანი ეკერი (გერმანია) 5,80; 3. ნიკ ჰაისონგი (აშშ) 5,80

400 მ. თარჯრბენი: 1. ფელიქს სანჩესი (დომინიკელთა რესპუბლიკა) 48,46; 2. პაველ იანუშევსკი (პოლონეთი) 48,72; 3. ნილ გარდნერი (იამაიკა) 49,23

სიგრძეზე ხტომა: 1. დანილა ბურკენია (რუსეთი) 8,07; 2. ჯეიმს ბეკფორდი (იამაიკა) 8,05; 3. ოლექსიი ლუკაშევიჩი (უკრაინა) 8,03

შუბი: 1. პალ არნე ფაგერნესი (ნორვეგია) 84,30; 2. პეტერ ბლანკი (გერმანია) 82,62; 3. რეიმონდ ჰეხტი (გერმანია) 82,60

800 მ: 1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 1.42,90; 2. იური ბორზაკოვსკი (რუსეთი) 1.43,17; 3. ჟან პატრიკ ნდუვინამა (ბურუნდი) 1.43,57

3000 მ: 1. პოლ ბიტოკი (კენია) 7.32,11; 2. ლუკ კიპკოსგეი (კენია) 7.32,68; 3. ბენჯამინ ლიმო (კენია) 7.33,10

110 მ. თარჯრბენი: 1. ალენ ჯონსონი (აშშ) 13,18; 2. ანიე გარსია (კუბა) 13,19; 3. ლერი უეიდი (აშშ) 13,34

1500 მ: 1. რუი სილვა (პორტუგალია) 3.30,36; 2. ბენჯამინ კიპკურუი (კენია) 3.30,67; 3. ბერნარდ ლაგატი (კენია) 3.31,08

100 მ: 1. ბერნარდ უილიამსი (აშშ) 10,08; 2. ჯონ დრამონდი (აშშ) 10,09; 3. კერტის ჯონსონი (კენია) 10,21

3000 მ. სტიპლჩეიზი: 1. უილსონ ბოიტ კიპკეტერი (კენია) 8.01,73; 2. კიპკურუი მისოი (კენია) 8.06,81; 3. ბრაჰიმ ბულამი (მაროკო) 8.07,28

**ქალები**

400 მ. თარჯრბენი: 1. დაიმი პერნია (კუბა) 54,21; 2. დები ენ პერისი (იამაიკა) 54,53; 3. ტატიანა ტერეშჩუკი (უკრაინა) 54,59

400 მ: 1. ანა გევარა (მექსიკა) 50,84; 2. სენდი რიჩარდსი (იამაიკა) 51,29; 3. მონიკ ჰენაგანი (აშშ) 51,32

სიმაღლეზე ხტომა: 1. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) 1,99; 2. ჰესტრი კლუტე (სამხრეთ აფრიკა) 1,97; 3. ვიქტორია პალამარი (უკრაინა) 1,97

800 მ: 1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1.57,11; 2. ფაბიანა დუშ სანტუში (ბრაზილია) 1.57,16; 3. ჯეით მაკარია (კენია) 1.58,34

1500 მ: 1. ვიოლეტა ბეკლია-სეკელი (რუმინეთი) 3.59,35; 2. ნატალია გორელოვა (რუსეთი) 3.59,70; 3. სიუზი ფევორ-ჰამილტონი (აშშ) 4.00,38

100 მ. თარჯრბენი: 1. ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი) 12,70; 2. ანჯანეტ კირკლენდი (აშშ) 12,75; 3. ლინდა ფერგა (საფრანგეთი) 12,85

100 მ: 1. კრისტი გეინსი (აშშ) 10,98; 2. დები ფერგიუსონი (ბაჰამის კუნძულები) 11,06; 3. კელი უაიტი (აშშ) 11,23

3000 მ: 1. ედიტ მასაი (კენია) 8.34,79; 2. ებრუ კავაკლიოღლუ (თურქეთი) 8.38,46; 3. ალესია ტუროვა (ბელარუსი) 8.38,96




REUTERS მონაკოდან

მარია მუტოლამ (მარცხნივ) და ფაბიანა დუშ სანტუშმა ფინიში თითქმის ერთად გადაკვეთეს



# ზღვისპირეთიდან გიუტერსლო გამოჩნდა

**აჭარაში** ეს უკვე ტრადიციად იქცა, 1992 წლიდან მოყოლებული ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის და ველოსპორტის ფედერაციის თაოსნობით ზაფხულობით აქ ველომრბოლთა საერთაშორისო შეჯიბრებები იმართება.

წლევანდელებმა აჭარის ტურმა 19 ივლისს ქობულეთში აიღო სტარტი და ოთხ დღეს გასტანა. მასში 30-მა ჭაბუკმა (18 წლამდე ასაკის) მიიღო მონაწილეობა, რომელთა შორის ქართველი ბიჭები სჭარბობდნენ. რაც შეეხება ორი სტუმარიდან ერთ-ერთს, გამოცდილ სომეხ მრბოლ ტიგრან კორკოტიანს, იგი ასაკით უფროსი გახლდათ და ტურში კონკურსგარეშე ასპარეზობდა.

ადრეც ვწერდით, პროლოგი ქობულეთელმა თენგიზ თავბერიძემ მოიგო, ამის შემდეგ 15 კმ-ზე ინდივიდუალური რბოლა შედგა. აქ გამარჯვებული ქობულეთელი ბესო მიქელაძე შეიქნა, მეორე და მესამე ადგილებზე ქობულეთელი ვაჟა ვაშაყმაძე და თბილისელი რამაზ მანაგაძე გავიდნენ.

მიქელაძემ პროგრამის დარჩენილ ორ სახეობაშიც გამოიჩინა თავი. ბესომ ჯგუფური რბოლაც (75 კმ) მოიგო და კრიტერიუმშიც, რომელიც ბათუმში მოეწყო, თუმც ფინიშის ხაზი პირველმა ქუთაისელმა გიორგი მაღლაფერიძემ გადაკვეთა, ყველაზე მეტი ქულა მან დააგროვა და...

ოთხი დღის შედეგების მიხედვით აჭარის ტურის გამარჯვებულად ბესო მექელაძე გამოცხადდა, მეორე ადგილი თენგიზ თავბერიძეს ერგო, მესამე — რამაზ მანაგაძეს. მიქელაძემ და თავბერიძემ ტურის სპონსორის, ბათუმში არსებული ველოსპორტსერვისის საფირმო მაღაზია „ჩემპიონისგან“ (დირექტორი მალხაზ დიასამიძე) შესანიშნავი ჯილდო — ახალთახალი ძვირადღირებული ველოსიპედები მიიღეს, მანაგაძეს კი მრბოლის სპორტული ფორმის სრული კომპლექტი გადაეცა.

უსაჩუქროდ არც ზემოხსენებული სომეხი მრბოლი ტიგრან კორკოტიანი დარჩენილა. როგორც ვთქვით, იგი კონკურსგარეშე ასპარეზობდა ტურში. ასე რომ არ ყოფილიყო, ერევნელი ბესო მიქელაძესთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს გაიყოფდა. კორკოტიანს ქუთაისის ველოსპორტის ფედერაციის მიერ დაწესებული პრიზი — იაპონური წარმოების მაგნიტოფონი ერგო.

**მერაბ სურმავა**, საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი: „მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ტურის ორგანიზატორებისადმი, ასეთი შეჯიბრები ხომ იშვიათობაა ჩვენში. ამის გარეშე ძნელია ქვეყანაში ველოსპორტის აღორძინებაზე ფიქრი. არადა, პოტენციალი ნამდვილად არსებობს. ტრადიციულად კარგად მუშაობს აჭარის და, კერძოდ, ქობულეთის სკოლა. დიდი პროგრესი ეტყობათ ქუთაისელ სპორტსმენებს. ამ ქალაქში სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ველოსპორტს. ის რომ ოთხი ქუთაისელი ათეულში მოხვდა, ამის მანიშნებელია.

ვფიქრობ, აჭარის ტურის მონაწილეებმა კარგი გამოცდილება შეიძინეს, ბევრ მათგანს ეს გამოცდილება მომავალ საერთაშორისო ასპარეზობებში გამოადგება. უახლოესი შეჯიბრება ჩვენი ჭაბუკი მრბოლებისათვის გერმანიის ტური იქნება, რომელიც აგვისტოს ბოლოს ქალაქ გიუტერსლოში გაიმართება.“

**აშოტ კორკოტიანი**, სომხეთის ველოსპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი: „ტურზე მოწვევა სიამოვნებით მივიღეთ, ეგ იყო სრული გუნდით ვერ ჩამოვედით, სახსრები არ გვეყო. რა თქმა უნდა, ჩემს ვაჟ ტიგრანს ვქომაგობდი. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და საკმაოდ კარგი მრბოლია. მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობდა, ჩინეთის და ირანის ტურებში მაღალი შედეგები აჩვენა. არ ველოდი, რომ ქართველი ჭაბუკები ტიგრანს ასეთ მძაფრ მეტოქეობას გაუწევდნენ. პერსპექტიული ბიჭები გყავთ. კარგი იქნება თუ ჩვენი კონტაქტები გაგრძელდება. საშემოდგომოდ სომხეთში გამართულ ტურში მონაწილეობას ქართველებსაც აუცილებლად მივიწვევთ.“

**იუზა კაციტაძე**
**ქობულეთიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურ დე ფრანსი



„ტურის“ პარადოქსი: ულრიხი უტევს, არმსტრონგი უსწრებს

# ყვითელი მაისურა პატრონს ჩაბარდა

**ბოლოს** და ბოლოს მოსახდენი მოხდა. „ტურის“ დაწყების შემდეგ ყველა მოუთმენლად ელოდა, როდის ჩაიცვამდა ამერიკელი ლენს არმსტრონგი ყვითელ მაისურას და აჰა, სენ-ლარი სულენში „პოსტალის“ ლიდერმა როგორც იქნა, დაისაკუთრა ასე სასურველი სამოსი და თან მთავარი მოწინააღმდეგე იან ულრიხი კიდევ ერთი წუთით ჩამოიტოვა საერთო ჩათვლაში. თუმცა, მიუხედავად ამისა, მეცამეტე ეტაპის გმირად მაინც ლორან ჟალაბერა დასასახელებელი.

ფრანგი პელოტონს 27-ე კილომეტრზე დაუსხლტა და მთელი გზაც მის წინ გაიარა. მხოლოდ ფინიშამდე 4 კილომეტრით ადრე დაეწია მას არმსტრონგი. მართალია, ეტაპი ვერ მოიგო, მაგრამ ჟალაბერი იმითაც ძალიან კმაყოფილი დარჩა, რომ საუკეთესო მთიელისთვის განკუთვნილი თეთრი წითელკოპლებიანი მაისურა ჩაიცვა.

ერთხელ ცნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა გარი ლინეკერმა გერმანელთა მორიგი გამარჯვების შემდეგ ხუმრობით თქვა: „ფეხბურთი თამაშია, რომელშიც 22 კაცი მონაწილეობს და რომელსაც ბოლოს გერმანია იგებს“.

ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ლინეკერის ამგვარად პერიფრაზირება: ველორბოლაა, როცა სტარტზე პელოტონი გამოდის და მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ფინიშზე პირველი ლენს არმსტრონგი მიდის! მისი და ულრიხის ორთაბრძოლა ამჯერადაც ამერიკელის გამარჯვებით დასრულდა. თავად რბოლა კი იშვიათი სილამაზისა გამოდგა.

თავისმა წინა მცდელობებმა, რომლებიც ტაქტიკურად გაუმართლებელი იყო და არმსტრონგს ვერაფერი დააკლო, იან ულრიხი ვერ გატეხა და მან შაბათსაც შეუტია, თუმც რაც უფრო მეტს ცდილობს გერმანელი, მით უფრო იზრდება მისი ამერიკელთან ჩამორჩენა. ტელეკომელს რაღაც აკლია, ალბათ ის, რომ უეცარ იერიშს ვერ ახერხებს, არ ძალუძს მეყსეულად აჩქარება და დროის მცირე მონაკვეთში საკმაო უპირატესობის მიღება. სხვანაირად კი არმსტრონგის დამარცხება შეუძლებელია. არადა, ულრიხს შეუძლია ძალიან მაღალ ტემპში რბოლა, როგორც ეს პეირეზურდის ალმართის ბოლო კილომეტრზე გააკეთა, მაგრამ უეცარი აჩქარება...

ულრიხის შეტევამ ბევრი კი ჩამოტოვა, მაგრამ მან არმსტრონგს ძვრაც ვერ უყო. სწორედ ამის გამო იყო, რომ როსტოკელმა თავდაღმართზეც გააგრძელა იერიში, არადა, დაშვებისას იგი საკმაოდ მოისუსტებს. ერთ-ერთი მოსახვევისას გერმანიისა და ოლიმპიური ჩემპიონი გზიდან გადავარდა, ერთიორი ყირა გააკეთა და, ალბათ, გვარიანი შიშიც ჭამა. საბედნიეროდ, მას არანაირი ტრავმა არ მიუღია და რბოლის გაგრძელებაც უმალვე შეძლო. რამდენიმეწამიანი ჩამორჩენა ულრიხმა არმსტრონგის ყოფილ და თავის ამჟამინდელ თანაგუნდელ კევინ ლივინგსტონის დახმარებით აანაზღაურა.

ჟალაბერის მდევართა დაწევის შემდეგ ისევ ტელეკომელი ჩაუდგა მათ სათავეში და მომდევნო მთაც საშინელი სისწრაფით აატარა. მწვერვალზე წინ ისევ „ჟაჟა“ იყო, მაგრამ დაღმართზე ისიც დაეცა და უპირატესობას ნელნელა კარგავდა. მალე ცხადი გახდა, რომ იგი ვერ მოიგებდა, რადგან სენლარის ალმართის წინ მხოლოდ სამ წუთსლა უგებდა მდევრებს.

უკან კი ლამის უკვე ტრადიციული სცენარი გათამაშდა, რის გამოც მოვახდინეთ კიდეც ლინეკერის პერიფრაზირება — ცოტა ხანს რობერტო ერასის მიშველებულმა არმსტრონგმა თავისი დასკვნითი შეტევა წამოიწყო და ულრიხი ნელ-ნელა ჩამოიტოვა, მალე ჟალაბერსაც გაასწრო და წლეულს მესამე, საერთოდ კი „ტურის“ მეათე ეტაპი მოიგო.

ყვითელი მაისურას მფლობელმა ფრანსუა სიმონმა მასთან 9 წუთზე მეტი დათმო და ლიდერობაც იმან გადაიბარა, ვისაც ერგებოდა.

ათასობით ბასკი გულშემატკივრის გასახარად, რომლებიც თავიანთ წითელმწვანე დროშებს აფრიალებდნენ, კვირას მეთოთხმეტე ეტაპი ქართველთა შორეულმა ნათესავმა რობერტო ლაისეკამ მოიგო. ეს მისთვისაც და მისი გუნდისთვისაც „ტურის“ პირველი მოგებული ეტაპია, „ესკალტელი“ ხომ წლეულს პირველად მიიწვიეს ამ ასპარეზობაზე, ლაისეკა კი მთელი კარიერის მანძილზე მხოლოდ მის ღირსებას იცავს.

ბასკმა წარმატებული შეტევა დღის ბოლო დაბრკოლების, უმაღლესი კატეგორიის სიძნელის ალმართის — ლიუზ-არდიდანის პირველივე კილომეტრებზე დაიწყო და დილის მოიერიშე ჯგუფის უკანასკნელი მოჰიკანი ვლადიმირ ბელი 54 წამით ჩამოიტოვა.

არმსტრონგი და ულრიხი ფინიშს ერთდროულად მიადგნენ და მერე პატივისცემის ნიშნად ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ულრიხი მეორეობას ფაქტობრივად შეეგუა და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, მეტოქეს ველარ გადაასწრებს. მით უმეტეს, რომ მთიანი ეტაპები მორჩა.

**გაგი ბურული**

### მეცამეტე ეტაპი

ფუა — სენ-ლარი სულენი, 194 კმ

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) 5სთ 44წთ 22წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +1წთ
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +1წთ 46წმ
4. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი) +1წთ 46
5. სტეფანო გარძელი (იტალია, მაპეი) +2წთ 29

### მეთოთხმეტე ეტაპი

ტარბი — ლიუზ-არდიდანი, 144 კმ

1. რობერტო ლაისეკა (ესპანეთი, ესკალტელი) 4სთ 24წთ 30წმ
2. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) +54
3. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +1წთ 08
4. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) +1წთ 08
5. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი) +1წთ 29

### საერთო ჩათვლა

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) 62სთ 15წთ 04წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +5წთ 05
3. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი, კოფიდისი) +5წთ 13
4. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +6წთ 33
5. ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი, ბონჟური) +10წთ 54

## ერთი დღის ისტორია

**1934 წლის** „ტურ დე ფრანსის“ დაწყებისას პელოტონში 20 წლის კანელი რენე ვიეტოც იყო. ხმებმა მის სიძლიერეზე სამხრეთ საფრანგეთიდან გააღწია და უკვე მთელი ქვეყანა იცნობდა ვიეტოს, როგორც პელოტონის ერთ-ერთ საუკეთესო მთიელს. იმ წელს იგი საფრანგეთის ეროვნულ გუნდშიც მოხვდა და გუნდის ლიდერის, ანტონინ მანის დახმარებაც დაევალა. ამას ხელი არ შეუშლია ვიეტოსთვის, მთებში თავი გამოეჩინა.

1934 წლის 21 ივლისს პერპინიანილუშონის ეტაპზე ისეთი რამ მოხდა, რამაც მთელი საფრანგეთი აალაპარაკა. ეტაპის პირველ ნაწილზე პერპინიანიდან აქს-ლე-ტერმამდე მანმა თავისი მთავარი კონკურენტის ფიზიკური კონდიციების შემოწმება გადაწყვიტა და იტალიელ მარტანოს გვერდიდან არ მოსცილებია. რენე ვიეტომ კი თავის ლიდერს გაასწრო და მონლუის მთის მწვერვალს პირველმა უწია. დაღმართზე მრბოლები დიდი სისწრაფით დაეშვნენ და მანიც მაშინ გაექცა მარტანოს. ვიეტო მას დაელოდა, რათა გზა ერთად გაეგრძელებინათ, მაგრამ მის თვალწინ ასეთი სცენა გათამაშდა — მანმა ველოსიპედის კონტროლი დაკარგა და გზიდან ყირამალა დერისკენ გაიქცა. საბედნიეროდ, მანი არ დაშავებულა, მის ველოსიპედს კი წინა ბორბალი გაუტყდა. ვიეტოსაც არ უყოყმანია და თავისი ველოსიპედის ბორბალი მისცა თანაგუნდელს. ამით მან საფრანგეთის ნაკრების ლიდერს „ტური“ მოაგებინა, თავად კი „შეწირული კაცის“ მეტსახელი ირგუნა.

* * *

**1990 წლის** 22 ივლისს ამერიკელმა გრეგ ლემონდმა, რომელიც „Z“-ის ლიდერი იყო, მესამედ მოიგო „ტურ დე ფრანსი“. მის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო მთლიანად გუნდმა, მისმა პატრონმა როჟე ზანიემ და სპორტულმა დირექტორმა როჟე ლეჟეიმ. ლემონდის თანაგუნდელებმა ლიუზ-არდიდანის ეტაპზე თავიანთი ლიდერის შეტევა კარგად მოამზადეს და მანაც მოიგო, მაგრამ საერთო ჩათვლაში ხუთწამიან უპირატესობას კიაპუჩი ინარჩუნებდა. საჭირო იყო მისი ძლევა ინდივიდუალურ რბოლაში. აქ კი ამერიკელს ბედმა უმუხთლა — სეზონში პირველად გაუსკდა საბურავი მარი ბლანკის მთაზე. თუმცა თანაგუნდელებმა არ მიატოვეს. თავიდან სიმონი და ბუაიერი მიეხმარნენ, მერე კი კვალსვოლი და დიუკლო-ლასალი, რომლებიც დაელოდნენ გზაზე. საბოლოოდ ამერიკელმა გაიმარჯვა, გუნდურ ჩათვლაში კი „Z“ იყო უძლიერესი.

* * *

**დავბრუნდეთ** ერთი წლით უკან, კალენდარში კი ერთი დღით წინ წავიწიოთ. 1989 წლის 23 ივლისს თავისი მეორე „ტური“ მოიგო გრეგ ლემონდმა, „ტური“, რომლის ფინალიც ძალიან დრამატული გამოდგა. ბოლო ეტაპი ინდივიდუალური რბოლა იყო, სპორტსმენებს ვერსალიდან ელისეს მინდვრებამდე 24,5 კილომეტრი უნდა გაევლოთ. ლორან ფინიონი მოწინააღმდეგეს 50 წამს უგებდა და წესით, ამ უპირატესობის შენარჩუნება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მას საზარდული სტკიოდა. ფინიონს ნერვიულობისგან მთელი ღამე არ უძინია. მეორე დღეს პედლებს გაჭირვებით ატრიალებდა, ტკივილი გაუსაძლისი იყო. მერე თქვა კიდეც, მეგონა, წინ ვერ მივიწევდიო. ყოველ კილომეტრზე კარგავდა წამებს, „ტური“ ხელიდან უსხლტებოდა... საბოლოოდ ლემონდმა ფინიონს ეტაპზე 58 წამი მოუგო, საერთო ჩათვლაში კი 8 წამით გადაასწრო, რაც „ტურის“ მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე მცირე სხვაობაა ჩემპიონსა და ვიცე-ჩემპიონს შორის.

## ცოტაოდენი ისტორია და გეოგრაფია



არიეჟის შუაგულში მყოფი ფუა მნახველების ყურადღებას პირველ რიგში კლდეზე აგებული მშვენიერი ციხესიმაგრის სამი კოშკით იქცევს. აქ 10 ათასი მაცხოვრებელია. რბილი კლიმატის ფუას ბევრი თულფი აქვს ტურისტების მისაზიდად: მისი ცენტრი შუა საუკუნეების სულითაა გაჟღენთილი, მომსახურების სფერო უამრავ რამეს სთავაზობს დამსვენებლებს, კულტურული ღონისძიებანი უზადო გემოვნებისაა, ფესტივალი ხომ ახლომახლო ტერიტორიებიდან უამრავ ხალხს კრებს. ძალიან დიდი რაოდენობით სასტუმროები ფუას არიეჟის დეპარტამენტის ერთგვარ ცენტრადაც აქცევს.



სენ-ლარი სულენი ტიპიური პირინეული პატარა სოფელია, რომელიც კოხტა არქიტექტურით და ძალიან მოვლილი გარემოთი გამოირჩევა. აქ მშვენიერი შესაძლებლობებია დასასვენებლად და სპორტის ზამთრის სახეობებით გასართობად. მსურველებს მთელი დღისა და ღამის განმავლობაში შეუძლიათ სნოუბორდით, სამთო თხილამურობით და სხვა რამეებით დაკავება, ზაფხულობით კი მთის ველოსიპედით სარგებლობა და ხმაურიან, ჩქარ მდინარეებზე ნავებით დაშვება. პირინეის ეროვნული პარკის მახლობლად მდებარე სენ-ლარი სულენი ულტრათანამედროვე თერმული გამაჯანსაღებელი კომპლექსითაცაა ცნობილი.



ტარბი ბელურასნაირთა რიგის ფრინველია, რომელიც საქართველოშიც გვხვდება. იგი ბუდეს კლდის ნაპრალებში იკეთებს. ამასთანავე, ტარბი საფრანგეთის ქალაქიცაა, რომელიც პირენეებშია. ვერ გეტყვით, ფრინველს ქალაქის გამო დაერქვა სახელი, თუ პირიქით და იქნებ საერთოდ არც არანაირი კავშირი არ არის მათ შორის. უბრალოდ, ტარბი ტარბშიც ყოფილა და ამის გამო ვახსენეთ. ქალაქ ტარბის მოსახლეობა ერთობ უფრთხილდება თავის ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს — უმშვენიერეს ბაღებსა და შადრევნებს. სამთო-სათხილამუროდ გამზადებული ფერდობები აქედან 45 წუთის სავალზეა (მანქანით), დაახლოებით იგივე სიჩქარით თუ ივლით, ერთ იმდენ დროში ატლანტის ოკეანესაც მიადგებით. ტარბი ეკონომიკურადაც ძალიან განვითარებული ქალაქია და მხოლოდ ტურისტების მიღება-გასტუმრებით არაა დაკავებული. აქაა აერონავტიკის, ელექტრონიკის, კერამიკის საკმაოდ დიდი და მძლავრი საწარმოები. ტარბის უნივერსიტეტში დაახლოებით 4 ათასი სტუდენტი სწავლობს. დაბოლოს, ყველაფერ ამის მიუხედავად, ტარბი მსოფლიოში უპირველეს ყოვლისა მაინც იმითაა ცნობილი, რომ სწორედ აქაური იყო ალექსანდრ დიუმას ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟი დ'არტანიანი. გასულ სეზონში აქაურ სარაგბო კლუბში თამაშობდა „ბორჯღალის კაცი“ ვიქტორ დიდებულიძე.



ლიუზ-სენ-სოვერი პატარა სოფელია, სადაც მთელი წლის განმავლობაში ცხოვრება, რომ იტყვიან, სამურია. იგი ზემო პირინეების შუაგულში და ეროვნული პარკიდან ორ ნაბიჯზეა. აქედან პირინეების უმაღლეს ადგილებამდე (გავარნის ცირკი, მიდის პიკი...) ფეხით მისასვლელად ძალიან ცოტა დრო დაგჭირდებათ. ასე რომ, ლიუზ-სენ-სოვერის გარშემო უმშვენიერესი ბუნებაა. ზამთარში მის გვერდით არსებული ლიუზ-არდიდანის კურორტი (1730-2450 მეტრი ზღვის დონიდან) ბევრ სამთო თხილამურების მოყვარულს იზიდავს, რადგან ერთობ გემოვნებითაა გაკეთებული.

# ურჯუკაშვილმა პატარძეულში ვეფხვები მოაშენა

*პატარძეულში, იქ, სადაც გიორგი ლეონიძის აკვანი დარწეულა, ახლა სარაგბო კერა გახურებულა.*

*დიდ საქმეს შესჭიდებია საქართველოს მორაგბეთა ნაკრების 20 ნლის ნევრი მალხაზ ურჯუკაშვილი და მისი ოჯახობა. დედულეთში რაგბის დანერგვა განიზრახეს ურჯუკაშვილებმა და საამისოდ ძალ-ღონე არ დაიშურეს. პატარძეულში ახლა ქართულ-ბრიტანული ნავთობის მომპოვებელი კომპანია საქმიანობს. მის პრეზიდენტს, ნიკო თევზაძეს დახმარების ხელი გაუწვდია რაგბზე ფანატიკურად შეყვარებული ხალხისთვის. მთელი სოფელიც ჩაბმულა ამ საქმეში, უბრალო მოსახლით დაწყებული გამგეობით დამთავრებული. ჰოდა, პატარძეულის ლამის მთელი ბავშვობა ახლა რაგბიზე დაიარება.*

*კლუბმა ოფიციალურად გაიარა რეგისტრაცია და მას „ვეფხვები" ეწოდა. ნორჩებს ისეთი პირობები აქვთ, უმაღლესი ლიგის ბევრი ბობოლაც ვერ დაიტრაბახებს — კოპწია მოედანი, ინვენტარი, კეთილმოწყობილი გასახდელები და სავარჯიშო დარბაზი. იქვე კარგა ხნის წინ გაუქმებული კინოთეატრიც აღადგინეს. ვეებერთელა ეკრანზე დიდი რაგბის ვიდეოფირების ცქერის საშუალება აქვთ პატარებს, თეორიულ ცოდნასაც იქ ილრმავებენ. მარტო რაგბი რას გვიქვიაო, უთქვამთ კლუბის მესვეურებს და ბავშვებს ექსკურსიებზეც დაატარებენ, ბურთის გარდა ქვეყნის ისტორია, სამშობლოს სიყვარული უნდა გაუჯდეთ ძვალრბილშიო.*

*ნორჩ „ვეფხვებს" მალხაზ ურჯუკაშვილის მეგობრები წვრთნიან. მახოს კბილა ზურაბ ამონაშვილი და ზვიად ცუხიშვილი კვირაში ოთხჯერ თბილისიდან პატარძეულში ჩასვლას არ იზარებენ და თავიანთ ცოდნას უზიარებენ ბავშვებს. ხანდახან თვითონ მახოც მონაწილეობს საწვრთნელ პროცესში. აბა, იმას რა სჯობს, ბორჯღალოსანთა ერთ-ერთი ლიდერი რომ გასწავლის ამ ვაჟკაცური თამაშის ანბანს. ბავშვებიც გულმოდგინედ უსმენენ მწვრთნელებს და სიხარულით დადიან მომქანცველ ვარჯიშებზე.*

*რაც მთავარია, გაკეთებულით არ კმაყოფილდებიან კლუბის უფროსები. მალე საშხაპეებს, ტრენაჟორების ოთახს მოვაწყობთ, მაისურებსაც შევუკვეთავთ, რომლებზეც კლუბის და ჩვენი სპონსორის სიმბოლიკა იქნება ამოქარგულიო, გვითხრა „ვეფხვების" პრეზიდენტმა მერაბ ურჯუკაშვილმა, მალხაზის უფროსმა ძმამ.*

*ჩვენს დღევანდელ დუხჭირ ყოფაში პატარძეულელ ბავშვებს ყველაფერი აქვთ, კარგი მორაგბეები რომ დადგნენ. მორაგბეები თუ არა, ქუჩას ხომ მოშორდებიან კარგა ხნით და რაგბის არსიდან გამომდინარე, კაცებად ჩამოყალიბდებიან. ერთი სიტყვით, ჰა ბურთი, ჰა მოედანი: იქნებ პატარძეულში დაიზარდონ მომავალი ურჯუკაშვილები, ცაბაძეები, მთიულიშვილები, ზედგინიძეები...*

**ბაჩო სვანიძე**

**ნუგზარ ძეთილაძის ფოტოები**



პატარძეულის „ვეფხვები"



ნორჩი მორაგბეები შებოჭვას სწავლობენ



მალხაზ ურჯუკაშვილი შეგირდებს არიგებს



პატარძეულელი ბავშვები ოვალურ ბურთს და რაგბის უკვე გაუშინაურდნენ


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია აჩალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge